

„ბიზანტიური ნახტომი“ სამხედრო სფეროში

A3



ძველი ქიშკრებიდან ისევ აქ...

A6



ჯოლისა და პიტის ქველმოქმედი ქალიშვილი

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 14 ივნისი, 2006 წელი. №130 (1282) — ფასი 50 თეთრი


## პრესკონფერენცია - დებატები

# სააკაშვილი VS პუტინი

დიმიტრი ავალიანი

*„ეს ანექსიაა“, „ვერც ერთ მეტრს ვერავინ მიიღებს“, - საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუს კოლეგასთან ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის შემდეგ არნახულად კატეგორიული იყო. ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობის არსებობა და მათი ნორმალიზაციის აუცილებლობა ორივე მხარემ აღიარა. თუმცა, კონკრეტული გადაწყვეტილება შეხვედრის შედეგად არ მიღებულა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# ბრავო!!!




## ბენდუქიძის პირველი მარცხი

სავალუტო ფონდი მისი ინიციატივის ექსპერტიზას მოითხოვს

**B**

*საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის ინიციატივით შემუშავებული კანონპროექტთა პაკეტის განხილვა გადადო. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კანონპროექტების (ცვლილებები კანონებში: კომერციული ბანკების შესახებ, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ) საერთაშორისო ექსპერტიზა მოითხოვა, რასაც პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძეც დაეთანხმა.*



## მაჟორულიდან მინორულ ტონზე

გიორგი ასანიშვილი

ინფორმაცია სანკტ-პეტერბურგში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დანიშვნის შესახებ ივნისის დასაწყისში გახდა ცნობილი. მასზე ქართველი პოლიტიკოსების რეაქცია, თავდაპირველად, გადაჭარბებულად ოპტიმისტური იყო. ისევე, როგორც ბევრი სხვა, იმედიანად იყო განწყობილი პარლამენტის თავმჯდომარეც.

**„არსებობს ყველა წინაპირობა იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრამ ბევრი საკითხი დადებითად გადაწყვიტოს. იმედი გვაქვს, რომ ზემოხსენებული შეხვედრა გადაწყვეტს ჩვენთვის ძალზე მტკივნეულ პრობლემებს, მათ შორის - კონფლიქტის ზონებთან დაკავშირებულ საკითხებს. ორი ქვეყნის ლიდერი, ალბათ, მხოლოდ პოზიტიური განცხადებებით არ შემოიფარგლება და მათი შეხვედრა კონკრეტული შედეგებით დასრულდება,“** - ივარაუდა ნინო ბურჯანაძემ 5 ივნისს გამართულ ბიუროს სხდომაზე.

ორი დაპირისპირებული მეზობლის „დიდი შერიგების“ პროცესს ხელი რომ არ შეშლოდა, საპარლამენტო უმრავლესობამ რუსეთის კრიტიკაზე დროებითი მორატორიუმიც კი გამოაცხადა. გადაწყდა ისიც, რომ სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის დასრულებამდე, პარლამენტი შეფასებებს არ მისცემდა რუსეთის სამშვიდობო ძალების ქმედებებს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

მოგვიანებით, მოჭარბებული ოპტიმიზმი ფრთხილმა მიდგომამ და მსუბუქმა შეშფოთებამ შეცვალა. უკვე რამდენიმე დღის შემდეგ, მაშინ, როდესაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ირაკლი ალასანია დეპუტატებს ე.წ „საგზაო რუკას“ აცნობდა, ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ „რუსეთისა და საქართველოს მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით, ცალკეული უწყებებიდან, მაინცდამაინც სასურველი და კარგი სიგნალები არ მოდის“. საქართველოს პარლამენტის სპიკერს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადება იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული შეხვედრა მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის და გლობალური საკითხები ვერ გადაწყდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## არაღიარებულთა სამიტი სოხუმში

სოხუმში გუშინ აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების პრეზიდენტების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტები სერგეი ბაგაფში, იგორ სმირნოვი და ედუარდ კოკოითი.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ აღნიშნა, შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ორი დოკუმენტი შეათანხმეს, რომელთა საზეიმო ხელმოწერაც დღევანდელ „სამიტზე“ იგეგმება. პირველი დოკუმენტი, შამბას თქმით, რუსი სამშვიდობოების მიმართ სამი რესპუბლიკის დამოკიდებულებას ეხება. მეორე დოკუმენტი ერთობლივი დეკლარაციაა, სადაც ასახულია დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო ხედვა.

როგორც შამბა განმარტავს, დეკლარაციაში საუბარია მჭიდრო თანამშრომლობაზე უსაფრთხოების საკითხებში. **„აფხაზეთს აქვს ორმხრივი შეთანხმება დნესტრისპირეთთან და სამხრეთ ოსეთთან, სადაც აღნიშნულია, რომ სამხედრო საფრთხის შემთხვევაში მივიღებთ ერთობლივ ზომებს. რა ზომებზეა საუბარი, არ დავაკონკრეტებ, რადგან იმედი მაქვს, რომ მათი გამოყენება საჭირო არ გახდება,“** - განაცხადა შამბამ.

გუშინდელი შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ასევე იმსჯელეს სამი ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი ასოციაციის შექმნაზე. **„ამ იდეის განხორციელებას ჩვენ არ ვჩქარობთ, რადგან არ გვინდა, რომ ის მხოლოდ ქაღალდზე არსებობდეს. როდესაც საამისო წინაპირობა გაჩნდება, ამგვარ ასოციაციას აუცილებლად შევქმნით,“** - აცხადებს შამბა.

დღეს სოხუმში სამი თვითაღიარებული რესპუბლიკის გაფართოებული შეხვედრა გაიმართება. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სამივე თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები - სერგეი შამბა, ვალერი ლიცკაი, მურად ჯიოევი, აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, აფხაზური პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა, ვიცე-სპიკერები - კონსტანტინე ოზგანი და ალბერტ კაპიკიანი, პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, ვიცე-პრემიერები - ალექსანდრე სტრანიჩკინი, ბესლან კუბრავა და უშიშროების სამსახურის უფროსი იური აშუბა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## 12 წლის შემდეგ გახსნილი მკვლელობა

მოსკოვის პროკურატურამ 90-იანი წლებში მოსკოვში მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მკვლელობა გახსნა.

**„დაკავებული არიან პირები, რომლებმაც ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობა დაგეგმეს და 1994 წლის 5 აპრილს განახორციელეს. ესენი არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების „ორეხოვსკისა“ და „მედვედკოვსკის“ წევრები,“** - განაცხადა რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა.

დაკავებულია „ორეხოვსკისა“ და „მედვედკოვსკის“ კრიმინალური დაჯგუფების 14 წევრი, მათ შორის - დაჯგუფების ლიდერები სერგეი ბუტორინი და ოლეგ პილევი.

მოკვლევამ დაადგინა, რომ კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა, 90-იანი წლების დასაწყისიდან, სამოცამდე მკვლელობა და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. მოსკოვის პროკურატურა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო აგრძელებს „ორეხოვსკისა“ და „მედვედკოვსკის“ დაჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოვლენას. პროკურატურის ინფორმაციით, ბოლო ექვსი თვის მანძილზე გახსნილია ამ დაჯგუფებების მიერ ჩადენილი 10 მკვლელობა.

12 წლის წინათ, სნაიპერის მიერ გასროლილი სამი ტყვიით მოკლული, სერიოზული კავშირებისა და დიდი გავლენის მქონე ცნობილი ქართველი ავტორიტეტის ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობის საქმის გახსნა გუშინ რუსული მედიის წამყვანი თემა გახდა.

გაგრძელება A4 გვერდზე


"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**



"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

**"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"**

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**






ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html


A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 14/06 | 15/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 35 |
| ტყიბული | 32 | 28 |
| სოხუმი | 30 | 25 |
| გორი | 31 | 30 |
| ონი | 26 | 22 |
| ზუგდიდი | 33 | 29 |
| ახმეტა | 33 | 35 |
| გაგრა | 27 | 24 |
| სამტრედია | 35 | 30 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7856 |
| ევრო | 2.2529 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.2955 |
| რუბლი | 0.0661 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

## ფოთის გემთსაშენის თანამშრომლები გაიფიცნენ

სააქციო საზოგადოება „ფოთის გემთსაშენის" გენერალური დირექტორის, დიმიტრი ელეფთერიუს პროგნოზი არ გამართლდა. ერთკვირიანი ვადა, რა დროშიც იგი საწარმოს ამოქმედებას გეგმავდა, წელიწადია გრძელდება. ირღვევა აქციონერების მიერ დადებული პირობაც: პროფილის შენარჩუნების, ანუ გემთმშენებლობა-გემთშემკეთებლობის კუთხით ქარხანაში არაფერი გაკეთებულა. სამი ათასიდან სამასამდე შემცირებულ მუშა-მოსამსახურეებს ექვსი თვეა, კუთვნილი ხელფასები არ მიუღიათ. 12 ივნისს ისინი პროტესტის ნიშნად საამქროებში არ შევიდნენ და „გემთსაშენის" მიმდებარე ტერიტორიაზე აქცია გამართეს.

„ქარხანაში შემოსასვლელი კარები ჩავკეტეთ. იქნებ ხელმძღვანელობიდან ვინმე გამოგვეხმაუროს და გვითხრას, როდის დარიგდება ჩვენი ხელფასები," - ამბობს აქციის მონაწილე, დაცვის სამსახურის მუშაკი რევაზ ჩარქსელიანი.

„ექვსი თვეა, გვატყუებენ. სამსახურში ჩვეულებრივად დავდივარ, მაგრამ რისთვის, ვერ ვხვდები. ჩვენთვის უცნობია, ვინ არის საწარმოს პატრონი, სამუშაოების დამკვეთი, დირექციის წარმომადგენელი, არავინ არაფერი იცის," - აცხადებს აქციის მონაწილე ენვერ ძაძუა.

„გემთსაშენის" ადმინისტრაცია ინფორმაციას არ ფლობს; მოვლენების განვითარებაზე აქ მხოლოდ ვარაუდებით მსჯელობენ. აქციონერების მიერ დაქირავებული ბერძენი დირექტორისთვისაც, პოლიტიკური მოტივის მომიზეზებით, საკითხი ტაბუდადებულია. როდესაც „24 საათი" დიმიტრი ელეფთერიუს შეხვდა, იგი ჰოლანდიურ კომპანია „დამიან შიპიარდთან" გაფორმებულ ხელშეკრულებასა და უახლოეს დღეებში საწარმოო ციკლის განახლებაზე საუბრობდა. იგივეს ამბობს დღესაც „გემთსაშენის" ტექნიკური დირექტორი გულივერ კიზირია.

„აქციონერებს შორის აქციების გადანაწილების თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ყველა პრობლემა მოგვარდება. ელეფთერიუს ჰოლანდიიდან ჩამოსვლის შემდეგ ქარხანა სრული დატვირთვით ამუშავდება. გასტუმრებული იქნება სახელფასო დავალიანება," - აცხადებს კიზირია.

არაოფიციალური ინფორმაციით, სამუშაოები „გემთსაშენის" ერთ-ერთი აქციონერის, ყოფილი დეპუტატის, ვალერი გელაშვილის საბანკო ანგარიშების დაყადაღებამაც შეაფერხა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ქარხანაში მხოლოდ ის იციან, რომ მეპატრონეებს საპრივატიზაციო პირობების შესრულების ბოლო ვადად 1 ივნისი განესაზღვრათ. არის საუბარი საწარმოს გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში უკვე მესამედ შეტანის მცდელობაზეც. 1980-იან წლებში გიგანტი ქარხანა 101 ათას ამერიკულ დოლარად გაიყიდა. და ეს მაშინ, როცა, სხვა ქონებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთ-ერთ საამქროში უკვე მზა წყალქვეშაფრთიანი ხომალდი მილიონ ორასი ათასად იყო შეფასებული. გაირკვა ფიქტიური შემსყიდველის, კორეული ფირმა „დარლინგ უორთედ ლიმიტედის" უკან ამოფარებული ქართველი ჩინოვნიკების ვინაობაც. ხელმეორე პრივატიზირების პროცესი დახურულ კარებს არ გასცილებია, თუმცა არც მის კანონიერებაზე ეჭვი გაჩნდა უსაფუძვლოდ. „ინტელექტბანკის" დამფუძნებელი კახა გიუაშვილი, რომლის გვარიც „კორეელებთან" ერთად ფიგურირებდა, დღესაც „გემთსაშენის" აქციონერია.

12 ივნისის აქციის მონაწილეებს მეპატრონეთა შორის წილების ვერგაყოფის პროცესი ნაკლებად აინტერესებთ. სამუშაო საათებს ისინი ქარხანაში ატარებენ და კუთვნილ ხელფასებსაც სამართლიანად ითხოვენ. მუშა-მოსამსახურეებმა კიდევ ერთხელ დაიჯერეს, რომ პრობლემა მოგვარდება. აქცია რამდენიმე საათში დაიშალა, თუმცა გენერალური დირექტორის ჰოლანდიიდან დაბრუნების შემდეგ საპროტესტო გამოსვლების განახლება არ გამოირიცხება.

## მშენებარე სახლებში წყალმზომები დამონტაჟდება

თამარ დვალი



თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, „თბილწყალკანალს" სახელწოდება შეეცვალა და „თბილისის წყალი" ეწოდა. „თბილისის წყალის" ხელმძღვანელობას სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია უკვე დაევალა.

აღსანიშნავია, რომ „თბილწყალკანალი" 1922 წელს შეიქმნა, მაშინ როცა ნატახტრის სათავე ნაგებობა აიგო.

დღეისთვის თბილისს სასმელ-სამეურნეო წყლით, ძირითადად ჟინვალის ჰიდროენერგოკომპლექსი ამარაგებს. გუშინ ქალაქის მთავრობამ ჟინვალის ჰიდროკომპლექსის სადერივაციო გვირაბის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოების დაწყების საკითხზეც იმსჯელა.

დედაქალაქის პრემიერის თემურ ქურხულის თქმით, „ჟინვალჰესის" სადერივაციო გვირაბის რამდენიმე მონაკვეთი მაღალი სამთო წნევებისა და უხარისხო მშენებლობის გამო 1996 წლიდან ავარიულ მდგომარეობაშია. გვირაბის გაჩერების შემთხვევაში დედაქალაქის წყალმომარაგება თბილისის ზღვის წყალზე გადაერთვება.

სადერივაციო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოთა დაფინანსების საკითხი მიმდინარე წლის 20 აპრილს თბილისის მერიისა და ენერგეტიკის სამინისტროს ერთობლივ თათბირზე გადაწყდა. პროექტს 4 მილიონი ლარით ენერგეტიკის სამინისტრო დააფინანსებს, 1,8 მილიონი ლარი კი თბილისის ბიუჯეტიდან გამოიყოფა. პრემიერის განცხადებით, სამუშაოები სექტემბრამდე უნდა დასრულდეს.

გადაწყდა, რომ კომპანია „თბილისის წყალი" გამოაცხადებს ტენდერს, რის შედეგადაც გამოვლინდება, თუ რომელი კომპანია შეასრულებს აღდგენით სამუშაოებს. შპს „თბილისის წყალს" (ყოფილი „თბილწყალკანალი") საკუთარი შემოსავლებიდან აღნიშნული აღდგენითი სამუშაოების თანადაფინანსების უზრუნველყოფა დაევალა.

გუშინ თბილისის მთავრობამ წყალთან დაკავშირებით კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო. ამიერიდან, დედაქალაქში ახლად აშენებულ კორპუსებში წყლის მრიცხველები (წყალმზომები) დამონტაჟდება.

მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურს დაევალა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცეს მშენებლობის ნებართვა და დაამტკიცოს პროექტი, თუკი წყალმზომების დაყენება პროექტით იქნება გათვალისწინებული.

მთავრობის გადაწყვეტილებით, თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მშენებარე ყველა შენობა-ნაგებობა წყალმზომით უნდა აღიჭურვოს. ამავდროულად, ინდივიდუალური წყალმზომები უნდა დამონტაჟდეს თითოეულ ბინაში.

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ცოტა ხნის წინ თბილისის მთავრობამ მენაშენეებს კიდევ ერთი მოთხოვნა წაუყენა. თბილისის მთავრობის დადგენილებით, მშენებარე უბნებში საკანალიზაციო და სასმელი წყლის სისტემების დასამონტაჟებელ ხარჯებს სანახევაროდ მშენებელი კომპანიები გაიღებენ.

შპს „თბილისის წყალს" დაევალა ტექნიკური პირობების გაცემის დროს უზრუნველყოს ასაშენებლი ობიექტების წყალსადენკანალიზაციის ქსელებისა და ნაგებობების მშენებლობის ხარჯების გაანგარიშება. შპს „თბილისის წყალი" ვალდებულია თბილისის მთავრობას ყოველთვიურად წარუდგინოს ანგარიში, გაცემული ტექნიკური პირობებისა და გადახდილი საფასურის თაობაზე.

„აქამდე მენაშენეები წყლისა და კანალიზაციის სისტემებს პირდაპირ ძველ სისტემას უერთებდნენ. მართალია ახალი გადაწყვეტილებით მენაშენეებს ცოტა გაუძვირდებათ სამუშაოები, თუმცა ეს ჩვენთვის შეღავათი, მათთვის კი აუცილებელი პირობა იქნება", - განაცხადა თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა.

## მალარია საზღვრისპირა სოფლებში

*ზაფხულს მოსვლასთან ერთად დედოფლისწყაროს ალაზნისპირა სოფლების მოსახლეობას საფიქრალი გაუჩნდათ. წყალდიდობების შემდეგ სოფლებში არხილოსკალოში, საბათლოსა და ქედში მალარიის მატარებელი კოღო - ანოფელესი მომრავლდა.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ამ სოფლების თავკაცები მოსახლეობას საღამოს ათი საათის შემდეგ ქუჩაში გასვლას არ ურჩევენ. კოღოს საწინააღმდეგო პრეპარატებით შეწამლვა დღემდე ჭიანურდება.

პრობლემის მოსაგვარებლად დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ ჯანდაცვის რაიონულ სამსახურებთან ერთად მუშაობს, თუმცა გამოსავალი ამ დრომდე ვერ მოიძებნა. დედოფლისწყაროს გამგეობა ცდილობს შეიძინოს პრეპარატი, რომელიც რაიონის ბიუჯეტისათვისაც ხელსაყრელი იქნება და წამალიც ქმედითუნარიანი აღმოჩნდება.

**„მალარიის კერების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებები აქამდე იმიტომ გაჭიანურდა, რომ ჯანდაცვის სამინისტროდან იმ პრეპარარტის მოწოდებას ველოდებოდით, რომელსაც უფასოდ გვჩუქნიდნენ, თუმცა როგორც აღმოჩნდა და სპეციალისტები გვეუბნებიან, ეს პრეპარატი ძალიან სუსტი და არაქმედითუნარიანი ყოფილა. სწორედ ამის გამო, დავიწყეთ ახალი პრეპარატის ძიება და ვცდილობთ, დროულად მოვაგვაროთ საქმე. „**-აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებლის პირველი მოადგილე ზურა ბუჩუკური, რომელიც იქვე ამბობს, რომ მალარიის შემთხვევა დედოფლისწყაროს რაიონში ჯერ არ დაფიქსირებულა.

თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ლაგოდეხის რაიონზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის კახეთის რეგიონული სამსახურის უფროსის მერი კიკნაძის განცხადებით, ამ დროისთვის ლაგოდეხის რაიონში მალარიის უკვე სამი შემთხვევა დაფიქსირდა. იმისთვის, რომ დროულად მოხდეს პრობლემის თავიდან აცილება, როგორც მერი კიკნაძე ამბობს, უკვე დაიწყო პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება. **„უნდა ითქვას, რომ კახეთი მალარიის კერაა. აღნიშნული დაავადების მატარებელი კოღო - ანოფელესი განსაკუთრებით სიღნაღში, ლაგოდეხში და დედოფლისწყაროშია მრავლად. თუმცა, ამჯერად სამი შემთხვევა მხოლოდ ლაგოდეხის რაიონში დაფიქსირდა. დაავადებულ ადამიანებს უკვე ჩაუტარდათ პროფილაქტიკური და სამედიცინო გამოკვლევა, რომელიც ყოველთვის უფასოა. აქვე მინდა გითხრათ, რომ წინა წლებთან შედარებით მალარიით დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა",** - აცხადებს ჯანდაცვის ცენტრის კახეთის რეგიონული სამსახურის უფროსი მერი კიკნაძე.

მალარიის საწინააღმდეგო პროგრამების განხორციელება ყოველთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ხორციელდება. მას შემდეგ კი, რაც ლაგოდეხის რაიონს სტიქია დაატყდა თავს, პრემიერ-მინისტრის ბრძანებულების თანახმად, 1 მილიონ 500 ათასი ლარი გამოიყო, რომელიც ძირითადად მალარიის კერად ქცეული ჭიაურის ტყის გამწნედი სამუშაოებისთვის არის განკუთვნილი. თუმცა, მანამდე ჭიაურის ტყის გასაწმენდად 450 ათასი ლარი გარემოს დაცვის სამინისტრომაც გამოყო, მაგრამ სამუშაოები დღემდე არ ჩატარებულა.

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 98.0

*ახალი მედიაპროექტი რადიო „უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანს. გადაცემის თემაა მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა, ხოლო სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაციის „ საქართველო ნატოში" თავმჯდომარე შალვა ფიჩხაძე.*

**თამარ ჩიქოვანი:** აქამდე ცნობილი არ იყო , თუ ორი ქვეყნის პრეზიდენტები შეხვედრისას რაზე ისაუბრებდნენ. დღეს კი „კრემლის" ერთ-ერთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტების საუბრის თემა საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანა, სასაზღვრო პრობლემები, სპეცსამსახურების თანამშრომლობა, ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები იქნება. ეს ის საკითხებია, რომელზეც რუსეთი მზად არის, ისაუბროს. თქვენი აზრით, ამ შეხვედრაზე საქართველომ რა საკითხები უნდა წამოჭრას?

**შალვა ფიჩხაძე:** მიმაჩნია, რომ ბაზების თემა დახურულია და ამაზე საუბარი არ იქნება. თუ საპირისპიროდ მოხდა, მაშინ, ჩემი აზრით, ეს საქართველოს მხრიდან უკან დახევაა. რაც შეეხება, სასაზღვრო უწყებებს შორის თანამშრომლობას, რა თქმა უნდა, ასეთი თანამშრომლობა აუცილებელია. კარგი იქნება თუ ამაში იგულისხმება, რომ ორივე მხარე თავ-თავის საზღვარს თვითონვე დაიცავს. კონფლიქტები არის ერთ-ერთი პირველი საკვანძო თემა რუსულ -ქართულ ურთიერთობებში. მეორე კი - ენერგეტიკა. რუსეთისთვის საქართველოზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი კონფლიქტია. ის, რომ რუსეთი ამ ბერკეტს ხელიდან არ გაუშვებს, ესეც ცხადია. ჩემი აზრით, რუსეთმა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენისთვის შეიძლება მოითხოვოს ის, რომ საქართველომ შეასუსტოს პროდასავლური კურსი და პრორუსულს დაადგეს. ამაში ნაგულისხმებია, რომ საქართველო შეუერთდეს ლიდერულ გაერთიანებას, მათ შორის, ე.წ. „დკბ-ეს", საიდანაც საქართველო გამოვიდა, ჯერ კიდევ, 90-იანი წლების მიწურულს. საქართველომ უნდა დაამყაროს ისეთი ტიპის ურთიერთობები, რომ რუსეთმა შეძლოს ქართული ხელისუფლების კონტროლი.

**თ.ჩ.** გამოდის, რომ „ახალი მემარჯვენეების" ლიდერის მოწოდება ხელისუფლების მისამართით, რომ არ დათმონ აღებული კურსი, საფუძვლიანი ჩანს. რამდენად შესაძლებელია, რომ თუნდაც ტაქტიკური თვალსაზრისით, საქრთველოს ხელისუფლება დათმობაზე წავიდეს, რადგან ამ შემთხვევაში დასავლეთთან ურთიერთობები კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება...

**შ.ფ.** ეს მრავალპლანიანი შეკითხვაა და პასუხიც შესაბამისიც უნდა იყო. თუ ხელისუფლება დაინახავს, რომ დასავლეთი მაინც და მაინც არ უჭერს მხარს, ისე როგორც ეს იყო რევოლუციიდან რამოდენიმე თვის განმავლობაში და დასავლეთი არ ჩქარობს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში, ანუ მას ეპყრობა როგორც რიგით ასპირანტ ქვეყანას, მაშინ ხელისუფლებაში შეიძლება გაჩნდეს ეჭვი: მაინც არ ვეხუტებით გულში და ხომ არ გავცვალოთ ნატოში გაწევრიანების გზა კონფლიქტების მოგვარებაში? საქმე იმაშია, რომ ხელისუფლება არ ჩქარობს დემოკრატიული რეფორმების გატარებას და დასავლეთიდან ამაზე არა ფარულად, არამედ უკვე ღიად მიგვანიშნებენ. არ ჩქარობს, რადგან დემოკრატიული რეფორმების გატარება და ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, ხელისუფლებას, რომელიც ცოტა არ იყოს ავტორიტარიზმის კურსს ადგას, საფრთხეს უქადის.

ნებისმიერ განვითარებულ, ცივილიზებულ, დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში ხელისუფლების შეცვლა საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენთან საფრთხეს წარმოადგენს.

### მოკლედ

**ორდღიანი ვადა მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირების მოსაგვარებლად**

საქართველოს ტელერადიოცენტრის ხელმძღვანელს გიორგი დეკანოსიძეს გუშინ მაჟორიტარმა დეპუტატებმა საქართველოს რეგიონებში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირების მოსაგვარებლად ორი დღის ვადა მისცეს.

აღნიშნულ ვადაში ტელერადიოცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი დეკანოსიძემ განათლების კომიტეტს გეგმა უნდა წარუდგინოს, რომლის მიხედვითაც საქართველოს რეგიონებში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირება შეუფერხებლად განხორციელდება.

გუშინ პარლამენტის განათლების კომიტეტის წევრებისა და მაჟორიტარი დეპუტატების გარდა, შეხვედრას ტელერადიოცენტრის ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილიც ესწრებოდნენ.

როგორც გიორგი დეკანოსიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სარელეო ხაზები ძალიან მოძველებულია, ამიტომ რეგიონებში საფეხბურთო მატჩების ტრანსლირება შეფერხებით ხორციელდება.

გიორგი დეკანოსიძის განცხადებით, სარელეო ხაზების ქსელი სულ 800 კილომეტრს შეადგენს და თუკი მისი აღდგენა მოხერხდება, ტრანსლირების შეფერხებაც აღმოიფხვრება.

დეკანოსიძე კატეგორიულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ ტელეცენტრისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ძველი, არგადახდილი ვალების გამო ტრანსლირების პრობლემა ხელოვნურად არის შექმნილი.

დეკანოსიძის განცხადებით, ტელეცენტრისადმი საზოგადოებრივი მაუწყებლის დავალიანება აბსოლუტურად სხვა საკითხია და ტრანსლირების საკითხს არ უკავშირდება. თუმცა, გასული ხუთი წლის განმავლობაში, საზოგადოებრივ მაუწყებელს ტელეცენტრის დავალიანება 3 მილიონი ლარი დაუგროვდა. გიორგი დეკანოსიძის განცხადებით, ეს ის თანხაა, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ოფიციალურად აღიარებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელის თამარ კინწურაშვილის განცხადებით, ტელერადიოცენტრი საზოგადოებრივი მაუწყებლობის გასავრცელებლად ყოველწლიურ თანხას იღებს და მას ვალდებულება აქვს აღებული საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელების თაობაზე, ამიტომაც ეს ვალდებულება უნდა შეასრულოს. **ინტერპრესნიუსი**

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ინციდენტი მოხდა**

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა.

12 ივნისს ღამე ოსურ სოფელ ფრისთან ახლოს, ჯერჯერობით დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა ოსი ეროვნების სამ მოქალაქეს სასტიკად ცემეს.

ეს ინფორმაცია ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა გაავრცელა, თუმცა მას მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

სამშვიდობო ძალების სარდალი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ დაზარალებულებმა ვერ შეძლეს თავდამსხმელების ამოცნობა და რაიმე კონკრეტულ დეტალს ვერ იხსენებენ.

ოსურ მხარეს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებიათ. პირად საუბარში ისინი არ გამორიცხავენ, რომ ოსი ეროვნების მოქალაქეების ცემის ფაქტი შეიძლება უკავშირდებოდეს გუშინ ამავე ტერიტორიის მახლობლად ქართველებზე თავდასხმის ფაქტს. ოსურმა მხარემ მომხდარის შემდეგ მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე ავტომაგისტრალი გადაკეტა, თუმცა მოძრაობა მალე აღდგა. **ინტერპრესნიუსი**




24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# პრესკონფერენცია - დებატები

პირველი გვერდიდან



მეათე საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის მსვლელობისას, რომელშიც 51 ქვეყნის 3 ათასზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა, რუსეთის პრეზიდენტს ქართველ კოლეგასთან შესახვედრად დროისა და ადგილის გამოძებნა გაუჭირდა.

შეხვედრამ, რომელიც 20 საათზე უნდა დაწყებულიყო, საათზე მეტი ხნით გადაიწია. ეს დრო პუტინმა „ნისანისა" და „ჯენერალ მოტორსის" ხელმძღვანელებთან შესახვედრად გამოიყენა. საბოლოოდ შეხვედრა

„ლენექსპოს" პავილიონოს ნაცვლად კონსტანტინეს სასახლეში, პუტინის სანკტ-პეტერბურგის რეზიდენციაში შედგა და გვიან ღამემდე გაგრძელდა.

პუტინისა და სააკაშვილის ერთობლივი ბრიფინგი შეხვედრის დასრულების შემდეგ, ორმხრივი დიპლომატიური ტონის მიუხედავად, ერთგვარ დებატებად იქცა. პუტინის განცხადებით, შეხვედრაზე „ურთიერთქმედების მექანიზმების გაუმჯობესებაზე" შეთანხმდნენ.

პუტინმა საუბარი საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ეკონომიკური კავშირის თემით დაიწყო. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ეკონომიკური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის წარმატებით ვითარდება, საქონელბრუნვა ქვეყნებს შორის ყოველწლიურად 50 პროცენტით იზრდება, იზრდება რუსული ინვესტიციების მოცულობა ქართულ ეკონომიკაში. გარდა ამისა, პუტინმა ისიც გაიხსენა, რომ ყოველწლიურად რუსეთში მცხოვრები ქართველები სამშობლოში 1-1,5 მილიარდ დოლარს რიცხავენ. **„რაც გაცილებით მეტია, ვიდრე მესამე სახელმწიფოების დახმარება,"** - ნიშნის მოგებით აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე საუბრისას კოსოვოს სტატუსის თემაზე მიმდინარე დისკუსია გაიხსენა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ხელყოფაში დასავლეთი დაადანაშაულა: **„ჩვენი პოზიცია ყოველთვის საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების დაცვაა, რაც გაეროს წესდებაშია გათვალისწინებული. თუმცა, ბოლოს ხშორად გვესმის, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ სხვა მოსაზრებებით, პოლიტიკური მიზანშეწონილობით ან ისტორიული თავისებურებებით. ეს ღია დისკუსიაა, რომელსაც ჩვენ, სამწუხაროდ, დღეს მრავალ ჩვენს პარტნიორთან ვმართავთ".**

**„ჩვენ გვყავს 300 ათასი დევნილი აფხაზეთიდან, რთულია სიტუაცია საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე. ჩვენ კონკრეტული საკითხები განვიხილეთ. ერთის მხრივ, საქართველო განწყობილია მშვიდობიანი პროგრესული დიალოგისათვის, პირველ რიგში რუსეთის მონაწილეობით,"** - განაცხადა თავის მხრივ მიხეილ სააკაშვილმა.

**„მეორე მხრივ, რეალობა ის არის, რომ მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ანექსია. მიმდინარეობს კონკრეწტული ფიზიკური და იურიდიული პირების მიწის, ქონების ჩამორთმევა. ადამიანებს არ აბრუნებენ საკუთარ სახლებში, ადგილებზე ინიშნებიან პირები, რომლებიც ამ ტერიტორიას მართავენ. სხვას რას შეიძლება ეწოდოს ანექსია საერთაშორისო სამართალში?"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მის თქმით, **„ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ, აღვადგინოთ დიალოგი. საქართველო იმოქმედებს ყველა იმ მეთოდით, რაც სამართლებრივ ჩარჩოებში ჯდება, პირველ რიგში ეს არის დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან".**

**„ჩვენ ვიცით, რა რეგიონში ვცხოვრობთ და კონფლიქტებს რისი გამოწვევაც შეუძლია მთელი რეგიონისთვის და საერთოდ მსოფლიოსთვის... საქართველკიოს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის გარანტია. და პირიქით - ძლიერ რუსეთს, რომელიც ყველა თავის რეგიონს აკონტროლებს და კანონიერებას ამყარებს თავის რეგიონებში, ჩვენი კონფლიქტების მოგვარებაში დადებითი როლის შესრულება შაუძლია,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, აუცილებლად უნდა დაიწყოს მოძრაობა კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარებისკენ. **„ჩვენ არასდროს შევეგუებით იმას, რომ ვიღაც ტერიტორიას წაგვართმევს.... საქართველო პატარა და ლამაზი ქვეყანაა, და არავისთვის მისაცემი არაფერი გვაქვს. არც ერთ მეტრს აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიისა ვერავინ ვერასდროს მიიღებს."**

მიხეილ სააკაშვილი შეეხო ძებნილთა თემას" რომლებიც თავს რუსთს აფარებენ. **„თუ რუსეთის რომელიმე ოფიციალურ ან არაოფიციალურ სტრუქტურებს ჩვენი კრიმინალების შეფარება სურს, დიდი სიამოვნებით მოვახდენთ მათ ექსპორტირებას რუსეთში. ისინი ჩვენ არ გვჭირდება,"** - შესთავაზა რუსეთს სააკაშვილმა.

ძებნილებზე საუბარმა, სადაც ასლან აბაშიძის გვარმა გაიჟღერა, ვლადიმირ პიტინი საკმაოდ შეაშფოთა. მისი თქმით, მისთვის უცნობი იყო, რომ აბაშიძე ძებნაში გამოცხადდა საქართველოს მიერ . **„ეს უცნაურია, იმიტომ რომ აჭარის მოვლენების დროს ქართულმა მხარემ მოგვმართა, არ შეგვეშალა ხელი მისი რუსეთში შემოსვლისთვის, და პირობა მოგვცა, რომ მის გადმოცემას არ მოითხოვდა,"** - თქვა პუტინმა და აღნიშნა, რომ ეს საკითხი ცალკე მსჯელობის თემად იქცევა.

**„მე საქართველოს სამი ათასი კოლომეტრით დასავლეთით ან სამხრეთით ვერ წავიღებ. განწირულები ვართ რუსეთთან ერთად ვიცხოვროთ, ჩვენ ერთი საერთოს, ერთი სივრცისა და ერთი კულტურის ნაწილი ვართ,"** - შეახსენა რუსეთს საქართველოს პრეზიდენტმა.

საქათველოსა და რუსეთის სიახლოვე პუტინმაც თავისებურად გაიხსენა: **„სოჭში ვიყავი, იქ ფეხით გადასვლა შეიძლება". „ახლა ვლადიმირ ვლადიმირის ძემ დაადასტურა საქართველოს ტეროტორიული მთლიანობა, ვინაიდან სოჭიდან ფეხით გადასვლა მხოლოდ აფხაზეთში შეიძლება,"** - სიტყვაში გამოიჭირა პუტინი სააკაშვილმა.

# „გიგანტური ნახტომი" სამხედრო სფეროში

## საქართველო ყველაზე სწრაფად იარაღდება



საქართველო მსოფლიო ლიდერია სამხედრო ხარჯების ზრდის მიხედვით, აშშ - ხარჯების მოცულობით, რუსეთი კი - იარაღის ექსპორტის მოცულობით. ამის შესახებ ნათქვამია მსოფლიო პრობლემების სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPRI) მოხსენებაში. ინსტიტუტი იკვლევს შეიარაღების ბაზარს მთელ მსოფლიოში.

ოფიციალური თბილისის მიერ შეიარაღებაზე გაწეული ხარჯი ერთი წლის განმავლობაში 2,5-ჯერ გაიზარდა და 146 მლნ. დოლარი შეადგინა.

ამ ტემპების ზრდას SIPRI ხსნის საქართველოს სურვილით, შევიდეს ნატო-ში, თუმცა ბევრი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ აქ გასათვალისწინებელია თბილისის სურვილიც, საკუთარ კონტროლქვეშ დააბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

გასულ წელს მსოფლიოში შეიარაღებაზე 1,12 ტრილიონი დოლარი დაიხარჯა, რაც პლანეტის თითოეულ მოქალაქეზე საშუალოდ 172 დოლარს შეადგენს. ცხადია, ქვეყნების მიხედვით ეს თანხა სხვადასხვაა. მაგალითად, ჩინეთი ერთ სულ მოსახლეზე 18,5 დოლარს ხარჯავს, აშშ კი - 1604 დოლარს. შესაბამისად, აშშ არის მსოფლიო ლიდერი შეიარაღების ხარჯების მოცულობით. რუსეთი კი უკვე მეხუთე წელია, ლიდერია იარაღის ექსპორტის თვალსაზრისით. ექსპორტის დიდი ნაწილი ინდოეთსა და ჩინეთზე მოდის.

მოხსენების ავტორები აცხადებენ, რომ შეიარაღებაზე გაწეული ხარჯები იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობა მსოფლიოში შემცირდა. მეტიც, კონფლიქტების რაოდენობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. სახელმწიფოებს შორის კონფლიქტს გასულ წელს ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

ამ ინფორმაციის კომენტირებისთვის „24 საათი" სამხედრო მიმომხილველს კობა ლიკლიკაძესა და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ნიკა რურუას დაუკავშირდა.

**კობა ლიკლიკაძე:** „სამხედრო ხარჯების ზრდის თვალსაზრისით, საქართველოში მართლაც გიგანტური ნახტომია. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქვეყანას, სადაც სამხედრო ბიუჯეტი ათჯერ გაზრდილიყო. გასულ ორ წელიწადში სამხედრო ბიუჯეტი 50 მილიონი ლარიდან დაახლოებით 400 მილიონი გახდა.

პირველ რიგში, ზრდა გამოწვეულია რეალური მოთხოვნილებით, რადგან ევროპული სტანდარტებით, 35 მილიონიანი ბიუჯეტი წელიწადში მხოლოდ ერთი ასეულის შენახვისთვისაა საკმარისი.

სამხედრო ხარჯების ზრდის მეორე მიზეზი არის ის, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ნატო-ში გაწევრიანების სურვილს გამოთქვამს. ამისათვის კი არსებობს მკაფიო კრიტერიუმი - უნდა მოხდეს შეიარაღებული ძალების სრული რეფორმა. სამხედრო ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2,5-3 პროცენტს უნდა მიუახლოვდეს.

და მესამე ფაქტორი, რომელსაც ვერ ჩამოვწერთ ნუსხიდან - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. საქართველოს ორი კონფლიქტი აქვს მოსაგვარებელი და, შესაბამისად, ქვეყანას აქვს სურვილი შეიარაღებული ძალები სრულ მზადყოფნაში ჰყავდეს."

**ნიკა რურუა:** „სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ გაკეთებულ მოხსენებას არ ვიცნობ. საქართველო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების მიერ დადგენილ კვოტებს არ არღვევს. სისულელეა, რომ საქართველო სამხედრო ხარჯების ზრდის თვალსაზრისით მსოფლიოში ლიდერია. ჩვენ გვაქვს იმდენი სამხედრო ხარჯი, რაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას სჭირდება. პირიქით, შეიძლება, ცოტა ნაკლებიც. მე რომ მევალებოდეს, შეიძლება მეტიც დამეხარჯა ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში.

საქართველოში შეიარაღების ხარისხი გაუმჯობესდა და არა რაოდენობა. ითვლებოდა, რომ შევარდნაძის დროს 30 ათასიანი არმია გვყავდა. დღეს 18 ათასი ჯარისკაცი გვყავს, თუმცა, ხარისხობრივად გაცილებით უკეთესად მომზადებული.

ბუნებრივია, როცა ქალაქიდან 60 კმ-ში უკონტროლო ტერიტორია და დანაშაულის „შავი ხვრელი" გაქვს, უსაფრთხოება სერიოზული შეშფოთების საგანია. ასეც რომ არ იყოს, ნებისმიერი ქვეყანა უსაფრთხოებაზე ძალიან სერიოზულად ფიქრობს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვართ განსაკუთრებულ, მეტიც, ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა, რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე ორი მოუშუშებელი ჭრილობა აქვს."

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# მაჟორულიდან მინორულ ტონზე

პირველი გვერდიდან

ხელისუფლების ოპონენტები უარყოფითად შეხვდნენ რუსეთის კრიტიკაზე მორატორიუმის გამოცხადებას. **„გამოდის, რომ თუ სააკაშვილ-პუტინის შეხვედრა შედეგს არ გამოიღებს, ისევ რუსეთის ლანძღვას დაიწყებენ. ეს არასერიოზული პოლიტიკაა,"** - აცხადებდა „მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე.

სანკტ-პეტერბურგის შეხვედრამდე ერთი დღით ადრე საკუთარ „ეჭვებზე" უკვე სახელისუფლებო გუნდის წევრებიც ალაპარაკდნენ. **„პრობლემების მოგვარების სურვილი, რა თქმა უნდა, დიდი გვაქვს, მაგრამ საკითხების გადაწყვეტის პერსპექტივას ფრთხილად ვუყურებ,"** - აღნიშნა გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა. ვიცე-სპიკერის აზრით, რუსეთი სამ შესაძლო ვარიანტს განიხილავს. პირველი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიას გულისხმობს, მეორე - მათი დამოუკიდებლობის აღიარებას, მესამე კი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში ავტონომიური წარმონაქმნების აღდგენას, რომლებზეც საქართველოს იურისდიქცია გავრცელდება. საბოლოოდ, რომელ გზას დაადგება ოფიციალური მოსკოვი, ამაზე „მკითხაობას" მიხეილ მაჭავარიანი არ აპირებს.

ასე თუ ისე, ერთი ტენდეცია აშკარაა: სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის მოახლოების კვალობაზე, ქართველი პოლიტიკოსების მაჟორული განწყობა მინორულით შეიცვალა.

# არაღიარებულთა სამიტი სოხუმში

პირველი გვერდიდან

**„ჩვენ მშვიდობა, თავისუფლება, მეგობრობა და ჩვენი ხალხის არჩევანის პატივისცემა გვინდა,"** - განაცხადა სამიტის გახსნისას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა. მისი თქმით, სამიტზე მხარეები „სამხედრო კავშირის" საკითხს არ განიხილავენ. **„ყველა ჩვენი პრობლება დიპლომატიური გზით, მოლაპარაკებების მაგიდაზე გადაწყდება. სამხედრო კავშირზე საუბარი დღევანდელ შეხვედრაზე არ ყოფილა,"** - დასძინა ბაგაფშმა.

დნესტრისპირეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ვალერი ლიცკაი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი აუცილებლად მოიპოვებენ დამოუკიდებლობას. მისი აზრით, ჩერნოგორიის სახელმწიფოს აღიარება კანონზომიერი იყო, სწორედ ასე უნდა იყოს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის შემთხვევაშიც.

ლიცკაი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევა საბოლოოდ ახალი სუბიექტების აღიარებით დასრულდება. მისი თქმით, **„ამ რესპუბლიკებმა გაიარეს ყველა აუცილებელი დემოკრატიული პროცედურა, შექმნეს სახელმწიფო სტრუქტურები... ისინი დე ფაქტოდ არსებობენ უკვე იმდენი წელია, რამდენიც ჩერნოგორია. .გარდაუვალია აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის აღიარება".**

*24 საათი*

# საქართველოს სამართლიანი მოთხოვნები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია.

მისი თქმით, რუსეთისადმი საქართველოს მოთხოვნები აბსოლუტურად სამართლიანია და არ სცილდება სამართლებრივ ჩარჩოებს. მისივე თქმით, ქართული მხარე იმედოვნებს, რომ ეს შეხვედრა პოზიტიური შედეგებით დასრულდება.

„რუსეთს და მის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს დღეს აქვს უნიკალური შანსი, მსოფლიოს დაანახოს ის, რომ არის მართლაც დიადი სახელმწიფო და შეუძლია სამართლიანი ნაბიჯები გადადგას პატარა სახელმწიფოსთან მიმართებაში. კონფლიქტების დარეგულირებაში რუსეთის ფედერაციას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ძალიან კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომლითაც შეიძლება დაიძრას სამშვიდობო პროცესები", - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# პრემიერ-მინისტრი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ, სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში, ნოღაიდელი ნატო-სა და ევროპის კავშირის წარმომადგენლებს შეხვდება. ნატოს შტაბ-ბინაში ზურაბ ნოღაიდელს ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალესანდრო მინუტო-რიზო მიიღებს. პრემიერ-მინისტრი საქართველოსადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენასაც გახსნის.

ზურაბ ნოღაიდელი გამართავს შეხვედრებს ევროპის კავშირის გენერალურ მდივანთან ხავიერ სოლანასთან, კომისართან ენერგეტიკის საკითხებში ანდრის პიბალგსთან, ასევე კომისართან საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერთან და კომისართან ვაჭრობის საკითხებში პიტერ მანდელსონთან.

14 ივნისს, ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციისადმი მიძღვნილი დონორთა კონფერენცია გაიმართება, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე კარელ დე გუხტი გახსნიან.

ვიზიტი 3 დღეს გაგრძელდება. პრემიერ-მინისტრი საქართველოში 15 ივნისს, გვიან ღამით დაბრუნდება.

*24 საათი*

# თავდაცვის მინისტრი ლიტვაში ოფიციალურ შეხვედრებს მართავს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ლიტვაში იმყოფება. დელეგაციას მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობს.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, საქართველოს თავდაცვის მინისტრი შეხვედრებს გამართავს ქვეყნის პრეზიდენტ ვალდას ადამკუსთან, ლიტვის თავდაცვის მინისტრ გედიმინას კირკილასთან და ლიტვის შეიარაღებული ძალების სარდალთან, გენერალ-მაიორ ვალდას ტუტკუსთან.

შეხვედრისას მხარეები საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხს, შიდა სიტუაციას და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას განიხილავენ. საუბარი ასევე შეეხება თავდაცვის რეფორმის მიმდინარეობის პროცესს და ლიტვასა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებს.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეხვედრა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ანტანას ვალიონისთან. დღის წესრიგით ასევე გათვალისწინებულია ვიზიტი ლიტვის პარლამენტში, სადაც ირაკლი ოქრუაშვილი ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის წევრებს შეხვდება.

საქართველო და ლიტვა თავდაცვის სფეროში 2001 წლიდან თანამშრომლობენ. ლიტვა გენერალ იონას იუემაიტის სამხედრო აკადემიაში და ესტონეთის ბალტიისპირეთის თავდაცვის კოლეჯში ქართველი სამხედრო მოსამსახურეების სასწავლო ხარჯებს აფინანსებს.

*ინტერპრესნიუსი*

### მოკლედ

## ლიკვიდაციით დასრულებული ოპერაცია

ლიკვიდაციით დასრულდა მორიგი სპეცოპერაცია საგარეჯოში. სპეცოპარაციას საგარეჯოს პოლიციის უფროსი თემურ შეყლაშვილი ხელმძღვანელობდა. როგორც პოლიციის უფროსი აცხადებს, ის თავად შევიდა ძებნილი მიხეილ ბერძენიშვილის საცხოვრებელ სახლში. ძებნილმა უკანა კარიდან გაქცევა სცადა და ეზოში მყოფ სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია.

პოლიციის უფროსი ირწმუნება, რომ მიხეილ ბერძენიშვილის აყვანის ოპერაციაში პოლიცია კანონის სრული დაცვით მოქმედებდა და სამართალდამცველების ინტერესებში არ შედიოდა ძებნილის ლიკვიდაცია, ვინაიდან დაღუპული ბერძენიშვილი საგარეჯოში მომხდარ არა ერთ გახმაურებულ დანაშაულზე ფლობდა ინფორმაციას.

პოლიციის ინფორმაციით, მიხეილ ბერძენიშვილი 2003 წლის 16 თებერვლიდან ერევანში განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმისთვის იძებნებოდა. სომეხ სამართალდამცველთა მტკიცებით, მიხეილ ბერძენიშვილი და მისი თანამზრახველები ერევანში ერთ-ერთ ოჯახს დაესხნენ თავს და მათგან 50 ათასი აშშ დოლარი მოითხოვეს. თანხის მიღების შემდეგ, მათ სახლის პატრონს თავის ქალა და ოთხივე კიდური ოჯახის წევრების თვალწინ მოახერხეს და მდინარეში გადაგდებას შეეცადნენ. სამართალდამცველებმა მათ სწორედ ამ დროს მიუსწრეს. დამნაშავეთა ჯგუფის რამდენიმე წევრმა გაქცევა მოახერხა. მათ შორის იყო საგარეჯოელი მიხეილ ბერძენიშვილი. **ინტერპრესნიუსი**

## ახალი თავმჭდომარის დაპირება

სააპელაციო სასამართლოში 80 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა.

როგორც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ ეკა ტყეშელაშვილმა განაცხადა, კონკურსი გამოცხადდა მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნის და აპარატის თანამშრომლის ვაკანტურ ადგილებზე.

განცხადებების მიღება გუშინ უკვე დაიწყო და ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. მოგვიანებით, ჩატარდება ტესტირება და გასაუბრება, რომლის შემდეგაც კანდიდატები შეირჩევიან.

როგორც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, მოსამართლის თანაშემწე დაიტვირთება იურიდიული ინტელექტუალური სამუშაოებით.

„თუ დღემდე თანაშემწის ფუნქცია მხოლოდ საორგანიზაციო საკითხები იყო, დღეიდან მათ მეტი საშუალება მიეცემათ მოსამართლეებს დახმარება იურიდიულ საკითხებშიც გაუწიონ, ამიტომ, მათი შერჩევისას აუცილებელი მოთხოვნა იურიდიული განათლება იქნება“, - განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა.

მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში ახლად აშენებული სასამართლო უახლესი ტექნიკით აღიჭურვება და სხდომის მდივანს საშუალება ექნება სხდომა ავტომატურ რეჟიმში ჩაწეროს.

„დღეს სხდომების ჩაწერა ძველი მეთოდით, ხელით ხდება, უახლოესი პერიოდიდან კი სხდომების ჩაწერა ავტომატურ რეჟიმში აუდიო ფაილებში მოხდება, ამიტომაც, სხდომის მდივნები იქნებიან ის ადამიანები, ვისაც კომპიუტერის გამოყენება შეეძლებათ და იურიდიული განათლება ექნებათ“, - აცხადებს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. **24 საათი**

## კურიერის ინსტიტუტი რეგიონებში

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს აჭარის რეგიონის რაიონულ სამსახურებში კურიერის ინსტიტუტი ამოქმედდა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, კურიერის ინსტიტუტის ამოქმედება მოსახლეობას საშუალებას მისცემს, საქართველოს მოქალაქის პასპორტი საკუთარი რაიონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში მიიღოს.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ განაცხადა, რომ აჭარა, კახეთის შემდეგ, მეორე რეგიონია, სადაც კურიერის ინსტიტუტის ამოქმედებით ახალი მომსახურება დაინერგა. აჭარის რეგიონის მოსახლეობას მოქალაქის პასპორტის მისაღებად ბათუმში ჩასვლა აღარ მოუწევს.

ქავთარაძის თქმითვე, სამოქალაქო რეესტრის სისტემაში განხორციელებული ცვლილებით, საქართველოს მოქალაქეებს პასპორტის მიღება ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ყველა იმ სამსახურში შეუძლიათ, სადაც პასპორტი გაიცემა. ამასთან, მოქალაქეს საშუალება აქვს, აიღოს იმდენი პასპორტი, რამდენიც მას სჭირდება.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის ირაკლი ფორჩხიძის ინფორმაციით, 2006 წლის ბოლომდე კურიერის ინსტიტუტი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ყველა ტერიტორიულ ოფისში დაინერგება. კახეთისა და აჭარის შემდეგ, უახლოეს მომავალში, მოქალაქის პასპორტის მიღება იმერეთის რეგიონის მოსახლეობას გაუიოლდება.

ფორჩხიძის თქმით, სამოქალაქო რეესტრის სისტემის რეფორმა ორიენტირებულია მოქალაქეებისთვის მომსახურების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრო და სამოქალაქო რეესტრის სააგენტო სხვა ინოვაციების დანერგვასაც გეგმავენ. **24 საათი**

## ტრეფიკინგით მიღებული შემოსავალი - წელიწადში 9 მილიარდი

ადამიანებით ვაჭრობისგან მიღებული არალეგალური შემოსავლები წელიწადში 9 მილიარდ დოლარს აღწევს. ამის შესახებ ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში აცხადებენ, რომლის მონაცემებითაც, ყოველწლიურად მსოფლიოში 2 მილიარდამდე ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება, მათგან 15-18 ათასი ადამიანის მონური შრომით აშშ-ში ისარგებლეს.

საგამოძიებო ბიუროს არქივების თანახმად, მსხვერპლი ხშირად ძალის, ძირითადად კი, მოტყუების ხერხით მიჰყავთ საზღვარგარეთ, მათი დასაქმება კი სექსუალური ბიზნესის გარდა, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც ხდება.

ტრეფიკინგით დაკავებული კრიმინალური დაჯგუფებები პარალელურად იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდაშიც არიან მხილებულნი და მსხვერპლი ქვეყანაში იმავე გზებით შეჰყავთ, რომლითაც კონტრაბანდული საქონელი შეაქვთ.

ამ დროისთვის ტრეფიკინგის შესახებ საქმეები აშშ-ის 48 შტატის სასამართლოებში განიხილება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# 12 წლის შემდეგ გახსნილი მკვლელობა

პირველი გვერდიდან

გავრცელებული ინფორმაციით, ოთარ კვანტრიშვილმა მისი არალეგალური ბიზნესის „კრიშად“ ცნობილ მომღერალთან იოსიფ კობზონთან ერთად ჩამოყალიბებული ასოციაცია „21-ე საუკუნე“ გაიხადა. ასევე, იგი ხელმძღვანელობდა ლევ იაშინის სახელობის სპორტსმენთა სოციალური დაცვის ფონდს.

არსებული ინფორმაციით, ოთარ კვანტრიშვილმა თავისი სპორტული კარიერა გამოიყენა და შექმნა ყოფილი სპორტსმენებით - კარატისტებითა და მოკრივეებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც რეკეტით იყო დასაქმებული. გარდა ამისა, ეს ჯგუფი იცავდა კრიმინალურ ბიზნესს და სახელისუფლებო სტრუქტურების ზოგიერთ წარმომადგენელს.


*რუსეთის პროკურატურა კვანტრიშვილის მკვლელობის ვერსიაზე ჯერჯერობით არ საუბრობს.*

გავრცელებული ინფორმაციით, ოთარ კვანტრიშვილი, მფარველობის სანაცვლოდ, რუსი ბიზნესმენებისგან მათი შემოსავლების 10 პროცენტს იღებდა. კვანტრიშვილის ფირმები მუშაობდნენ შავი ფულის გათეთრებაზე, რაშიც იყენებდა სათამაშო ბიზნესს, რომელსაც 90-იანი წლების დასაწყისიდან აკონტროლებდა. მას კავშირები ჰქონდა უცხოელ ბიზნესმენებთან და „კრიმინალური სამყაროს“ ლეგენდარულ წარმომადგენლებთან - „იაპონჩიკთან“ და „ტაივანჩიკთან“.

ოთარ კვანტრიშვილის დაკრძალვაზე რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტიც კი მივიდა. როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლების გარდა ოთარ კვანტრიშვილი დაახლოებული იყო პრეზიდენტებთანაც - გორბაჩოვთან და ელცინთან.

იგი არ სარგებლობდა „შავი სამყაროს“ სტატუსით, თუმცა მაფიის „ნათლიმამად“ იწოდებოდა. თავად კვანტრიშვილი მის ამ სტატუსს უარყოფდა და აცხადებდა: „მე მხოლოდ საზოგადოებრივი მოღვაწე ვარ. ჩემს შესახებ წერენ, რომ ვარ მაფიის ნათლიმამა, მაგრამ ასე არ არის - მე არავის არაფერს ვართმევ და არ ვთხოვ, ისინი თავად მოდიან ჩემთან, მაძლევენ და მთხოვენ.“

მოგვიანებით ოთარ კვანტრიშვილს პოლიტიკური ინტერესი გაუჩნდა და 1994 წელს შექმნა პოლიტიკური პარტია „რუსეთის სპორტსმენები“. არსებული ინფორმაციით, სწორედ დიდი პოლიტიკა გახდა ოთარ კვანტრიშვილისთვის საბედისწერო. მისი საიდუმლოებით მოცული მკვლელობის შესახებ არა ერთი ვერსია არსებობდა, მათ შორის - პოლიტიკური მკვლელობის ვერსიაც. სწორედ ამის გამო, წლების წინათ, ოთარ კვანტრიშვილის საქმის შესახებ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისთვის მომზადდა სპეციალური ცნობა, რომელსაც გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“ ედო.

ერთი ვერსიით, მკვლელობაში არაოფიციალურად დაადანაშაულეს „21-ე- საუკუნის“ ვიცე-პრეზიდენტი იოსეფ კობზონიც, რომელიც მისი ყოფილი მეგობრის მკვლელობის დროს უკვე ამერიკას აფარებდა თავს.

ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობის შემდეგ მისი ადგილი ანზორ კიკალიშვილმა დაიკავა. კიკალიშვილი საქართველოში ოთხი წლის წინათ გამოჩნდა. მან საქართველოს შეაფარა თავი მას შემდეგ, რაც ასოციაცია „ანზორი-21-საუკუნის“ პრეზიდენტზე ამერიკელმა და იტალიელმა სამართალდამცველებმა საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს. უცხოელ სამართალდამცველთა მიერ შედგენლ შავ სიაში კიკალიშვილ-კობზონის ჯგუფიც მოჰყვა, რომელიც ბრალდებული იყო 90-იანი წლების დასაწყისიდან წარმოებულ კონტრაბანდაში, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში, პროსტიტუციის ბიზნესის წარმოებაში, გამოძალვაში, თაღლითობაში, რუსეთში უკანონო იმპორტის განხორციელებაში და ფულის გათეთრებაში. ჩამოთვლილი შავი ბიზნესის სფეროებთან 90-იანი წლების დასაწყისიდან სწორედ ოთარ კვანტრიშვილის სახელი იყო დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, მაფიის „ნათლიმამის“, ცნობილი ოლიგარქის ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობის საქმე გახსნილია. თუმცა, რუსეთის პროკურატურა მკვლელობის ვერსიაზე ჯერჯერობით არ საუბრობს. რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს მომავალში პროკურატურა დაასახელებს მოტივს - შეკვეთილ პოლიტიკურ მკვლელობას, შემკვეთთა შორის კი ცნობილი გვარები დასახელდება.

*24 საათი*

# შეცვლილი ჩვენებები

*თბილისის საქალაქო სასამართლოში 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიება გრძელდება. გუშინდელ სხდომაზე, რობაქიძის ოჯახის ადვოკატების მოთხოვნით, საპატრულო პოლიციის ის თანამშრომლები დაიკითხნენ, რომლებმაც 23 ნოემბერის სპეცოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა.*

წინა სასამართლო სხდომაზე რობაქიძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, ერთადერთი ბრალდებული, საპატრულო პოლიციელი გრიგოლ ბაშალეიშვილი დაიკითხა, რომელიც გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის არის განსასჯელი.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2004 წლის 23 ნოემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს შავი ფერის ავტომანქანა, რომელშიც იმყოფებოდა ამირან რობაქიძე. საპატრულო პოლიციამ გამოიძახა დამატებითი ჯგუფი, რომელშიც ირიცხებოდა გრიგოლ ბაშალეიშვილი. ღონისძიების დროს მოხდა გაუფრთხილებლობით გასროლა, რა დროსაც ორივე თირკმლისა და აორტის დაზიანებით ადგილზევე გარდაიცვალა ამირან რობაქიძე. სამართალდამცველების მტკიცებით, მანქანაში მყოფებს დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი აღმოუჩინეს, რის საფუძველზეც ისინი დააკავეს კიდეც.

როგორც დაკითხულმა ბაშალეიშვილმა განაცხადა, მან მოსალოდნელი შურისძიების თავიდან აცილების მიზნით, თავდაპირველად, წინასწარ გამოძიებაში საგანგებოდ ცრუ ჩვენება მისცა. პირველი ჩვენებით, მას პირველად ორჯერ რობაქიძემ ესროლა და თავად მხოლოდ ამის შემდეგ გაისროლა. თუმცა, მოგვიანებით, ბაშალეიშვილმა გადაიფიქრა და საქმეში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის სურვილით ჩვენება შეცვალა.

ბაშალეიშვილის აღიარებით, მას ოპერაციის დროს ამირან რობაქიძის ხელში იარაღი და, მით უმეტეს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი არ შეუნიშნავს. თუმცა, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღები მან მოგვიანებით შეამჩნია, რომელიც ამოღებული იყო დაკავებულთა ავტომანქანიდან და ეწყო ახალგაზრდების „ბმვ“-ს მარკის ავტომანქანის საბარგულზე.

გუშინდელ პროცესზე დაკითხულმა პოლიციის თანამშრომლებმა ლევან ლობჟანიძემ, გიორგი ჭანტურიამ და დავით აბუაშვილმა აღიარეს, რომ წინასწარი გამოძიების დროს ბრალდების მხარეს არასწორი ჩვენება მისცეს, რაც მოგვიანებით შეცვალეს.

გუშინ დაკითხულმა პატრულის თანამშრომლებმა უარყვეს რობაქიძის მხრიდან სროლის ფაქტი და განაცხადეს, რომ ამირან რობაქიძის ხელში მათ იარაღი არ დაუნახავთ.

**„რაც შეეხება პოლიციელების პირველ ჩვენებას, გამოძიებისთვის არასწორი ინფორმაციის მიცემა მათ სტრესული მდგომარეობით ახსნეს, რაც, მათი განმარტებებით, გამოწვეული იყო რობაქიძის გარდაცვალებით. ვინაიდან სტრესული მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება, პატრულის თანამშრომლებს საშუალება ჰქონდათ მაშინვე დაეფიქსირებინათ სიმართლე. თუმცა, ჩვენებები რამდენიმე თვის შემდეგ შეცვალეს. ვინაიდან, როგორც აცხადებენ, რამდენიმე თვის განმავლობაში სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, თუმცა მუშაობას მაინც განაგრძობდნენ, მე მათთვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნას მოვითხოვ“,** - ასეთი შუამდგომლობა დააყენა გუშინდელ პროცესზე რობაქიძის ოჯახის ადვოკატმა ალეკო ალადაშვილმა. თუმცა, მოსამართლემ ადვოკატის მოთხოვნაზე უარი განაცხადა.

რობაქიძის ნათესავები და ახლობლები მიიჩნევენ, რომ მკვლელობის საქმე საგანგებოდ გაყალბდა, რის დასამტკიცებლადაც რობაქიძის ოჯახის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი შს სამინისტროდან კვლავ იმ ვიდეომასალის გამოთხოვას ავალებს სასამართლოს, რომელიც ვიდეოპატრულის არქივში ინახება. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ვიდეოპატრულმა ობიექტურად აღწერა შემთხვევის ადგილზე მომხდარი მოვლენები, რისი დამახინჯებაც მოგვიანებით საგანგებოდ მოხდა.

გარდაცვლილის ადვოკატი ცრუ ჩვენებების მიცემისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისთვის პოლიციელებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას მოითხოვს. ალეკო ალადაშვილი „ვიდეოპატრულის“ იმ ჟურნალისტების დაკითხვასაც მიიჩნევს საჭიროდ, რომლებმაც 2004 წლის 23 ნოემბერს მომხდარი შემთხვევა გააშუქეს.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე ამირან რობაქიძის მეგობრების დაკითხვაა დაგეგმილი.

*24 საათი*

# ვიდეოთვალი „კანონიერი ქურდების“ საკანში

ე.წ. კანონიერი ქურდის ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატის ინფორმაციით, დაკავებულის საკანში ვიდეოთვალი დაამონტაჟეს.

ტარიელ ფოცხვერიას, მეტსახელად „ტარასას“ ინტერესების დამცველი შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ ფოცხვერია რუსთავის N6 საპყრობილეში გადაიყვანეს, მის საკანში კიდევ ორი პატიმარი იმყოფება. ერთ-ერთი მათგანი ე.წ. კანონიერი ქურდი „წრიპაა“.

ადვოკატის განმარტებით, საკანში სათვალთვალო კამერის დამონტაჟება პირდაპირ კანონის დარღვევაა, ვინაიდან, „პატიმრობის შესახებ კანონით“ დაუშვებელია იზოლატორში ოპერატიული საქმიანობის წარმოება.

ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატი ირწმუნება, რომ ბრალდების მხარეს ტარიელ ფოცხვერიას გამამტყუნებელი არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია.

„ვიდეოკამერით ჩაწერილ მასალაში, შესაძლოა, დაკავებულს რაიმე ისეთი წამოსცდეს, რასაც, შემდეგ, პროკურატურა გამამტყუნებელ მტკიცებულებად გამოიყენებს“, - აცხადებს ადვოკატი.

გარდა ამისა, ადვოკატის ინფორმაციით, ტარიელ ფოცხვერია მძიმე ავადმყოფია და მისი ჯანმრთელობის საკითხის დასადგენად ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს. ადვოკატი აცხადებს, რომ მას, კანონის თანახმად, პატიმართან პირისპირ, ცალკე შეხვედრის უფლება აქვს, თუმცა ამის საშუალება არ ეძლევა, ვინაიდან ტარიელ ფოცხვერიასთან ადვოკატის საუბარს მუდმივად ისმენს ციხის ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომელი.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველოს სახალხო დამცველი აცხადებს კონკურს სახალხო დამცველის ლოგოს შესაქმნელად

**მითითება ლოგოს შემქმნელთათვის:**

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ტერიტორიაზე ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. ერთის დარღვეული უფლება ყველას დარღვეული უფლებაა.

სახალხო დამცველის და მისი აპარატის საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სახალხო დამცველის და მისი აპარატის ვებ-გვერდი www.ombudsman.ge

დაინტერესებულმა ლოგოს დიზაინერებმა გთხოვთ წარმოადგინოთ:

- საქართველოს სახალხო დამცველის შავთეთრი და ფერადი ლოგო, დაბეჭდილი და ელექტრონული სახით (ვექტორული გრაფიკული ფორმატით)
- ლოგოსთან თანდართული წერილობითი განმარტებები - ლოგოს სიტყვიერი აღწერილობა, მისი სიმბოლოების ახსნა

კონკურსის გამარჯვებული დაჯილდოვდება 750 ლარით

წარმოდგენილი ლოგო (4 ეგზემპლარი ფერადი, 4 ეგზემპლარი შავთეთრი. ელექტრონული ვერსიები კომპაქტ-დისკით) უნდა მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:
ი.მაჩაბლის ქუჩა N 11,
თბილისი, 0105, საქართველო

საკონტაქტო პირები: ეკატერინე მაჭავარიანი, ნინო ერემაშვილი
ტელეფონი: (995 32) 922479; 922470
ელექტრონული ფოსტა: info@ombudsman.ge

**ნამუშევრების ჩაბარების ბოლო ვადა 15 ივლისი, 2006.**



# დევნილებს სასტუმროებიდან გამოსახლება არ სურთ

*შავი ზღვის კურორტების სასტუმროებში მცხოვრები დევნილები ტურიზმის განვითარების გრანდიოზული საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში მათი გამოსახლების გეგმებს აპროტესტებენ.*

რევაზ საყევარიშვილი,
ბათუმი

საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ფართომასშტაბიანი საინვესტიციო პროექტი იწყება. ამჟამად სასტუმროებში მცხოვრები დევნილების მიერ გამოთქმულ პროტესტს ამ გეგმების რეალიზების დაწყებისთვის ხელი არ შეუშლია. დევნილები სასტუმროებიდან გამოსახლების სანაცვლოდ შეთავაზებული კომპენსაციების სიმცირეზე ჩივიან და შენობების დატოვებაზე უარს აცხადებენ.

გასულ წელს ყაზახეთში ვიზიტის დროს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ყაზახი ინვესტორების ჯგუფი, „თურან ალემ ბანკის" ხელმძღვანელობით, აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით „დაახლოებით 800 მილიონიდან მილიარდ დოლარამდე" ინვესტიციას ჩადებდა.

პრეზიდენტის განცხადებამ აჭარაში დიდი იმედები გააჩინა, თუმცა ყაზახური საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, ინვესტიციების მასშტაბი გაცილებით მცირე – დაახლოებით 200 მილიონი დოლარი იქნება. თუმცა რამ გამოიწვია თანხის ასე შემცირება, ჯერჯერობით, უცნობია.

როგორც „თურან ალემ ბანკის" პრესმდივანმა ვალენტინა ვლადიმირსკაიამ ალმა-ატაში IWPR-თან საუბრისას განაცხადა, საინვესტიციო პროექტის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ განხორციელების საწყის ეტაპზეა.

„თურან ალემ ბანკი" კრედიტებს იმ კომპანიებზე გასცემს, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა პროექტებში თანხის ინვესტირებას ახდენენ. ზოგიერთი პროექტის შესახებ მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, სხვები კი უკვე ხელმოწერის ეტაპზეა. ყაზახური ბანკები დასავლელი პარტნიორების მოზიდვასა და ამ პროექტების ეტაპობრივად დაფინანსებას გეგმავენ", – განაცხადა ვლადიმირსკაიამ.

„თბილისში „რადისონ-ივერიისა" და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის საკითხი უკვე შეთანხმებულია. კონკრეტულად ეს პროექტი 150 მილიონი დოლარი ჯდება. აჭარის ჩათვლით მთელი საქართველოს მასშტაბით განსახორციელებელი პროექტების მთლიანი ღირებულების დასახელება კი ძალიან რთულია", – დასძინა მან.

აჭარაში ინვესტიციების ბუმის დაწყებას ადგილობრივი მოსახლეობა მოუთმენლად ელის. მათ სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის დამატებითი წყაროს გაჩენის იმედი აქვთ.

პროექტის განსახორციელებლად მუშაობას აჭარის ხელისუფლება წლის დასაწყისიდან შეუდგა. თებერვალში აჭარის მთავრობის მეთაურმა ლევან ვარშალომიძემ აჭარაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კურორტების ბალანსზე მყოფი დაახლოებით 20 სასტუმროს, დასასვენებელი სახლისა და სანატორიუმის ახალი კომპანიისთვის – „აჭარა რეზორტ ჰოლდინგისთვის" მიყიდვის გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა. აღნიშნული კომპანია ყაზახური ინვესტიციების პროექტის განხორციელების მიზნით შეიქმნა. გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში სასტუმრო „მესხეთის" აქციების 53 პროცენტიც მოხვდა.

სასტუმრო „მესხეთის" კუთვნილი წილის ჩათვლით აღნიშნული ობიექტების საბოლოო ფასი 17.5 მილიონი დოლარით განისაზღვრა. ამ თანხიდან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასტუმროების ფასი მხოლოდ 4 მილიონ დოლარს შეადგენს.

დანარჩენი 13.5 მილიონი დოლარი სასტუმროებში მცხოვრები დაახლოებით 2 ათასი დევნილის განსახლებისთვის საჭირო კომპენსაციის გასაცემად არის განკუთვნილი. სასტუმროებში დევნილები ათ წელზე მეტია ცხოვრობენ.

აჭარის ფინანსთა მინისტრის მოადგილე თამაზ მღებრიშვილი, რომელიც ამ პროცესებს ხელმძღვანელობს, 21 სასტუმროს მეტისმეტად იაფად გაყიდვის შესახებ გავრცელებულ მოსაზრებას უარყოფს. „თუ შენობების მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ეს ძალიან რეალური ფასია. მათი უმეტესობა სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. რამდენიმე მათგანი კი მთლიანად დასანგრევია", – განაცხადა მღებრიშვილმა.

აჭარაში ტურიზმი შემოსავლის მთავარი წყაროა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ 1992-93 წლების კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო დაკარგა. აჭარის კურორტები ყოველ ზაფხულს დანარჩენი საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული დამსვენებლებით ივსება.

გასულ წელს აჭარაში სომხეთიდან ჩამოსული ტურისტების მოზღვავება იგრძნობოდა.

„ალბათ, წელს კიდევ უფრო მეტი სომეხი ტურისტი ჩამოვა. დამსვენებლების ნაკადი უკრაინიდან, რუსეთიდან და ასევე ცენტრალური აზიიდანაც გაიზარდა", – განაცხადა IWPR-თან საუბრისას ტურისტული სააგენტო ABK+-ის დირექტორმა თენგიზ სურმანიძემ. „საქართველოში კი ხუმრობენ – თუ ზაფხულში თბილისში ვინმეს ვერ პოულობ, ბათუმში წადი და აუცილებლად ნახავ", – თქვა სურმანიძემ.

რაც შეეხება საკომპენსაციო თანხებს, შავი ზღვის სანაპიროს სასტუმროებში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა 1921 ოჯახიდან თითოეულისთვის 7 ათასი დოლარია გამოყოფილი. ამ თანხით მათ საცხოვრებლის პრობლემა უნდა გადაჭრან.

დევნილთა გამოსახლების პროცესი უპრობლემოდ არ წარმართულა. მათ სასტუმროები 30 მაისამდე უნდა დაეტოვებინათ, თუმცა ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ იქ ცხოვრობს.

ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი ჯგუფის ხელმძღვანელის პაატა ჯალაღონიას განცხადებით, 500 ოჯახი შენობიდან გამოსვლაზე უარს აცხადებს, რადგან კომპენსაციის პაკეტით შეთავაზებულ პირობებს მიუღებლად მიიჩნევენ.

„ზოგიერთ ოჯახში ექვსი-რვა ადამიანია და ისინი ორ ოთახში ცხოვრობენ. შეთავაზებული თანხით – 7 ათას დოლარად მათ ერთოთახიანი ბინის ყიდვაც კი არ შეუძლიათ, რომელიც ბათუმში დაახლოებით 11-12 ათასი დოლარი ღირს. ამიტომ საკომპენსაციო თანხის გაზრდას ითხოვენ, რათა ისეთი ფართობის საცხოვრებლის ყიდვა მაინც შეძლონ, როგორშიც ახლა ცხოვრობენ", – განაცხადა მან.

თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ დევნილთა მოთხოვნები დააკმაყოფილონ. როგორც „აჭარა რეზორტ ჰოლდინგის" პრესმდივანი ნოდარ ანდღულაძე აცხადებს, კომპენსაციების განსაზღვრა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ოჯახების წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით მოხდა.

„ოჯახების სია, რომლებზეც კომპენსაციები უნდა გაიცეს, ჯანდაცვის სამინისტრომ მოგვაწოდა. შესაბამისად, თუ ვინმეს პრეტენზია აქვს, სამინისტროს უნდა მიმართოს", – განაცხადა ანდღულაძემ.

ბევრი ოჯახი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის პროცედურას ასაჩივრებს. აჭარის პროკურატურა ამ საკითხთან დაკავშირებით 116 საჩივარს განიხილავს. მათგან ერთ-ერთი მირიან კალანდიას საქმეა. იგი ამჟამად სასტუმროს ორ ნომერში მეუღლესთან, ქალიშვილთან, სიძესა და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს. მარტამდე ისინი ორ ოჯახად ითვლებოდნენ, თუმცა ახლა ერთი ოჯახის სტატუსი მიანიჭეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთ საკომპენსაციო პაკეტს სთავაზობენ.

მიუხედავად იმისა, რომ კომპენსაციების გაცემასთან დაკავშირებით დავები ჯერ არ გადაწყვეტილა, ინვესტორებმა მუშაობა უკვე დაიწყეს. სანატორიუმ „კოლხიდაში", სადაც დევნილები ჯერ კიდევ ცხოვრობენ, ფანჯრის მინები მოხსნეს.

„მთავრობასთან და ჩვენთან შეთანხმებით ვადები უკვე განსაზღვრულია. მაგალითად, სასტუმროები „მედეა" და „მესხეთი", აგრეთვე ქობულეთის სანატორიუმი 2007 წელს უნდა ამოქმედდეს. პროექტის თითოეულ ეტაპზე 5 ათასი ადამიანი, უმეტესად ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. ჩვენ მიერ აშენებული სასტუმროები, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა, მოსახლეობის ყველა ფენას მოემსახურება. ასე რომ, განსაზღვრულ ვადებში აუცილებლად უნდა ჩავეტიოთ", – განაცხადა ანდღულაძემ.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ალეკო შველიძის განცხადებით, თუ ინვესტორები და დევნილები შეთანხმებას ვერ მოახერხებენ, „სხვა საშუალებებს" გამონახავენ.

„ნებისმიერ შემთხვევაში, პირობას ვდებ, რომ ქუჩაში არც ერთი ოჯახი არ დარჩება", – დასძინა შველიძემ.

თუმცა, დევნილებს, რომლებიც აჭარის მთავრობის შენობასთან რამდენიომე დღეა მიტინგებს მართავენ, ამგვარი განცხადებები არადამაჯერებლად ეჩვენებათ.

„სხვაგვარად ვერაფერს მივაღწიეთ. ბაბუა, ბებია, ორი შვილი, ორი რძალი და ერთი შვილიშვილი ორ ოთახში ვცხოვრობთ. იქედან გვასახლებენ და მხოლოდ ერთი ოთახის ფულს გვაძლევენ", – გვითხრა ვახტანგ არდიამ, რომელიც, როგორც თავადვე აცხადებს, ,,დევნილთა სიიდან კინაღამ ამოიღეს". „მაშინ პირდაპირ გვითხრან, რომ ბავშვები არ გავაჩინოთ, ჩვენც წავალთ და საცხოვრებელს სხვაგან მოვძებნით – იქ, სადაც ხალხი ისე მოგვექცევა, როგორც ნორმალურ ადამიანებს", – დასძინა არდიამ.



დევნილები სასტუმროებიდან გამოსახლების გეგმას აპროტესტებენ

www.iwpr.net

# ჩრდილოეთ კავკასია: პრესა საფრთხეშია

*დამოუკიდებელი ჟურნალისტის მუშაობის სირთულეები ჩრდილოეთ კავკასიაში.*

ფატიმა ტლისოვა,
სტამბული

ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკაში, სადაც მუშაობა მიხდება, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამართალდამცველ ორგანოებთან და საზოგადოების სხვადასხვა წრეებთან ურთიერთობა მიწევს. სამწუხაროდ, ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ვაღიარო, რომ რეგიონში როგორც სიტყვის თავისუფლება, ისე თავისუფალი პრესა ჩანასახის სტადიაშია. საინფორმაციო საშუალებების ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ სამი-ოთხი გაზეთის გარდა, რეგიონში დამოუკიდებელი, პროფესიონალური მედია არ არსებობს.

არავინ უარყოფს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში არა მარტო სამთავრობო მედია, არამედ ისეთი გაზეთები და ელექტრონული გამოცემებიც არსებობს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისგან განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობენ. მაგრამ, როგორც წესი, ამ შედარებით დამოუკიდებელ საინფორმაციო საშუალებებს სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფები აფინანსებენ. ამიტომ ხშირად სტატიებში რეალური სიტუაცია დამახინჯებულადაა გადმოცემული.

რადგანაც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები გეოგრაფიულად საკმაოდ მცირეა, ამა თუ იმ გაზეთის რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაცია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. ამიტომ მოსახლეობა ასეთ გაზეთებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას დიდი სკეპტიციზმითა და უნდობლობით ეკიდება. ასეთი ჟურნალისტიკა კი თავისუფლად და დამოუკიდებლად ვერ ჩაითვლება.

თავად პრესა თავს თავისუფლად და საზოგადოების გავლენიან ნაწილად არ მიიჩნევს. ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიაში ჟურნალისტს მომსახურების სფეროს წარმომადგენლად უფრო აღიქვამენ, ისევე როგორც, მაგალითად, რესტორნის მიმტანს. სამწუხაროდ, ამ მდგომარეობას ხშირად თვითონ ჟურნალისტებიც ეთანხმებიან.

რატომ ხდება ეს თანამედროვე რუსეთში – სახელმწიფოში, რომელიც ოფიციალურად დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებას ადასტურებს? ამის ბევრი საკმაოდ თვალსაჩინო მიზეზი არსებობს. თუმცა მათი ანალიზი გაცილებით დიდ დროს საჭიროებს, ვიდრე ამის საშუალებას ეს მოკლე ანგარიში იძლევა.

მოკლედ ვიტყვი. ერთი მხრივ, ხელისუფლება ყველანაირი ინფორმაციის ,,გადაკეტვით" არის დაინტერესებული. ეს იმიტომ ხდება, რომ მას ბევრი რამ აქვს დასამალი. ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა, კორუფცია და სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ყოველდღიური რეალობაა.

მეორე მხრივ, ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის დონე ძალიან დაბალია. კორესპონდენტები ძირითადად რედაქტორებზე არიან დამოკიდებული. რედაქტორები კი, თავის მხრივ, ხელისუფლებასა და იმ ჯგუფებს ეყრდნობიან, რომლებიც მათ აფინანსებენ. ასეთი სისტემის პირობებში ცენზურის დონე უკიდურესად მაღალია.

უფრო დეტალურად მინდა ვისაუბრო იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც დამოუკიდებელი პრესის წინააღმდეგ გამოიყენება. მოსკოვში ურჩი მედიის პრობლემა შედარებით ცივილიზებული გზით წყდება. ჩრდილოეთ კავკასიაში კი გაცილებით უხეში მეთოდები გამოიყენება. ეს მარტივად აიხსნება: კავკასია დაძაბულობის ზონაა. ეს ობიექტური რეალობა კი ძალიან ხშირად ხელისუფლებისთვის კარგი საბაბია არა მარტო დამოუკიდებელი მედიის, არამედ ზოგადად მოქალაქეების წინააღმდეგ სამოქმედოდაც.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მოსკოვი ადგილობრივ ხელისუფლებას ლოიალური დამოკიდებულებისთვის გულუხვად აჯილდოებს, მათ შორის იმითაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე თვალს ხუჭავს. კავკასიაში ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები ურჩი ჟურნალისტების ღიად დასჯას არ ერიდებიან; მათ არც საქმის შესაძლო გახმაურება და პოტენციური სკანდალები აშინებთ.

და მაინც, როგორ ხორციელდება მასმედიაზე ზეწოლა? პირველი და ყველაზე პოპულარული მეთოდი, რომელიც უკვე ვახსენე, ცენზურაა. ცენზურა ჟურნალისტს მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დოკუმენტების გაშუქების შესაძლებლობას ართმევს. როგორც წესი, ცენზურისადმი დაუმორჩილებლობას მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვება. სწორედ ასე მოექცნენ ოს ჟურნალისტს ლუიზა ორაზაევას. იგი კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე გაბედული, კეთილსინდისიერი ჟურნალისტია და პრინციპული პოზიციისა და სიმტკიცის გამო მრავალი წლის განმავლობაში უმუშევარი იყო.

დამოუკიდებელი პრესის წინააღმდეგ ხშირად გამოყენებული მეთოდი მოქრთამვაა, რომელიც ჟურნალისტების დაბალი ხელფასების გამო რეგიონში განსაკუთრებით ეფექტურია. ასევე წარმატებით გამოიყენება ჟურნალისტების იზოლაციისა და შემდეგ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მეთოდიც. მაგალითად, ინგუშეთის პრეზიდენტი მურატ ზიაზიკოვი ჟურნალისტების სამსახურში აყვანისა და გათავისუფლების საკითხებში რეგულარულად ერევა. შედეგად, ჩვენს საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმს" კორესპონდენტის მოძებნა უჭირს, რადგან ზიაზიკოვის პრესსააგენტოს მიერ შემოთავაზებული ჟურნალისტები სამსახურში არ აგვყავს, სხვა ჟურნალისტები კი იმდენად არიან შეშინებული, რომ ჩვენთან მუშაობაზე უარს სხვადასხვა საბაბით თავად ამბობენ.

სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობასთან შეგუება გვიწევს, რადგან ჩვენი კორესპონდენტებისთვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა არ შეგვიძლია.

უშიშროების სამსახურს დამოუკიდებელ პრესასთან ურთიერთობის უფრო დახვეწილი მეთოდები აქვს – მათდამი ლოიალურ გაზეთში ურჩი საინფორმაციო საშუალების ან ჟურნალისტის დისკრედიტირებას მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის გამოქვეყნებით ახდენენ. ამის ბევრი მაგალითი არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ გამოცემაში ყაბარდო-ბალყარეთის ცნობილი ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი ვალერი ხატაჟუკოვი დასავლეთის უშიშროების სამსახურებთან მუშაობასა და მათგან დაფინანსების მიღებაში დაადანაშაულეს.

ცივი ომის დროინდელი მიდგომის მსგავსად, ჩრდილოეთ კავკასიაში მომუშავე ნებისმიერ უცხოურ საინფორმაციო საშუალებას დასავლეთის ჯაშუშად ნათლავენ. ასეთი ბრალდება ლონდონში დაფუძნებული ავტორიტეტული ორგანიზაციის – ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) კოორდინატორს, ვლადიკავკაზში მცხოვრებ ვალერი დზუცევს წაუყენეს. მე კი ნალჩიკის მუსლიმანური საზოგადოების ლიდერი მიწოდეს. ამას ჩემი მშობლების ბინის გაჩხრეკა მოჰყვა, სადაც თითქოსდა იარაღს ვმალავდი.

ჟურნალისტების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნასა და ფიზიკური ძალადობასაც მიმართავენ. ერთი კვირის წინ საშინელი რამ მოხდა. ჩერკესკში ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში ჩვენი კორესპონდენტის მურატ გუკემუხოვის მამა სასტიკად სცემეს. ამის შემდეგ 70 წლის მუჰამედ გუკემუხოვს ორი ოპერაცია ჩაუტარდა. მან ერთი თვალი დაკარგა. მუჰამედ გუკემუხოვი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ჩერქეზი მეცნიერის შვილია. ეს თავდასხმა მხოლოდ მისი ვაჟის პროფესიულ საქმიანობას შეიძლება უკავშირდებოდეს. თავიდან მურატის მოქრთამვა სცადეს, შემდეგ კი – დაშინება. მილიციამ თავდასხმასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ თავდასხმის ნამდვილი მოტივებსა და მის უკან მდგომი ადამიანების შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი არასდროს გახდება.

ყველა ჟურნალისტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში პატიოსნად და მიუკერძოებლად მუშაობს, კარგად აცნობიერებს, რომ ამით საკუთარ თავსა და ნათესავებს საფრთხეში აგდებს. მაგრამ მიუკერძოებელი პრესა ერთადერთი სარკეა, რომლის საშუალებითაც მსოფლიოს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების რეალური და შეულამაზებელი სურათის დანახვა შეუძლია. როგორც მოქალაქემ და ჟურნალისტმა, მინდა საზოგადოებას ვუთხრა, რომ ზეწოლა, რომელიც ჩემზე ხორციელდება, სისხლის სამართლებრივი დევნის მცდელობები, რითაც ჩემი სახელის შეურაცხყოფას ცდილობენ, მხოლოდ ჩემს პროფესიულ საქმიანობასა და პირად მოსაზრებებს უკავშირდება. მე მრავალტანჯულ ადიღეს ერს წარმოვადგენ და მოვლენებისთვის სახელის დარქმევა ჩემი საქმეა. ადიღელი ხალხი გენოციდი გენოციდის ობიექტი გახდა.

დისკრიმინაცია, რომელიც დღემდე გრძელდება, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის დამანგრეველი ეროვნული პოლიტიკის საფუძველია. ოქტომბერში ნალჩიკში მომხდარი ამბოხება ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტის ნიშანი იყო. რუსეთის ხელისუფლება მსოფლიო საზოგადოების წინაშე ნალჩიკის ამბოხების ტერორისტულ აქტად, ხოლო ამბოხებულების ტერორისტებად წარმოდგენას ცდილობს. მაგრამ ეს სიმართლე არაა. ამბოხების დროს და მოგვიანებითაც მილიციის საკნებში წამებით დაღუპულთა სხეულების ნათესავებისთვის გადაცემაზე უარის თქმა კაცობრიობისა და ჰუმანიზმის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. ეს ჩემი პირადი მოქალაქეობრივი პოზიციაა და დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ გონიერ ადამიანს ამგვარი მოსაზრება ექნება.

როგორც კონფერენციის მონაწილეებს ჩემს გამოსვლამდე აცნობეს, აქ ჰამბურგიდან ჩამოვედი, სადაც გერდ ბუცერიუსის ფონდის მიწვევით ვიმყოფებოდი. აღნიშნული ფონდი აღმოსავლეთ ევროპაში დამოუკიდებელ მედიას უჭერს მხარს. გერმანიაში ჩემს პროგრამაში სხვადასხვა გაზეთის, ჟურნალისა და ჟურნალისტთა საგანმანათლებლო დაწესებულების მონახულება შედიოდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე ჟურნალისტიკის სკოლის დირექტორმა, პროფესორმა კრისტოფ ფასელმა განაცხადა, რომ მისი ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ ბევრი ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსი თანამდებობიდან გადადგა.

მის სიტყვებს სიმწრითა და ამავე დროს, იმედით ვისმენდი. სიმწრით იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები კი არ თავისუფლდებიან თანამდებობიდან და ისჯებიან, არამედ ის ჟურნალისტები, რომლებიც მათ შესახებ სიმართლეს ამბობენ. პროფესორის სიტყვებს იმედითაც ვისმენდი, რადგან სინდისის, აზრის, სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიული პრინციპები ისტორიულად კავკასიელი ხალხის მენტალიტეტის შემადგენელი ნაწილია.

***ეს სტატია ეფუძნება საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის" ჩრდილოეთ კავკასიის ბიუროს მთავარი რედაქტორის ფატიმა ტლისოვას მიერ 2006 წლის 21 მაისს სტამბულში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ წარმოთქმულ სიტყვას.***

www.iwpr.net

# ჩრდილოეთ ოსეთის ოქროს ხანის მემკვიდრეობა იძარცვება

*ხელისუფლებას განძის მაძიებელთა მიერ უძველესი საფლავების ძარცვის გახშირებული ფაქტების მიმართ გულგრილობაში ადანაშაულებენ.*

ვიქტორ ბუივიდასი,
ვლადიკავკაზი

არქეოლოგები ჩრდილოეთ ოსეთიდან ამბობენ, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მუდმივად იძარცვება და ნადგურდება, თუმცა ხელისუფლება ამის აღსაკვეთად არაფერს აკეთებს.

,,ჩვენი ინსტიტუტი ყოველწლიურად მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ისტორიულ ძეგლებს ძარცვისა და დანგრევისგან იფარავს", – უთხრა IWPR-ს მარკ ბლიევმა, ჩრდილოეთი ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა.

ბლიევი და მისი კოლეგები არქეოლოგიურ გათხრებს რეგულარულად აწარმოებენ, რათა საფლავების მძარცველებს ღირებული ნივთების მოპარვაში ხელი შეუშალონ.

ამგვარად, ინსტიტუტს შთამბეჭდავი კოლექცია დაუგროვდა, სადაც, ბლიევის თქმით, ,,სულ 200 ათასზე მეტი ნივთია". ,,მაგალითად, ბესლანის გარეუბანში, ზილგინსკის პატარა დასახლებაში ოქროს ლაგამი აღმოვაჩინეთ, რომელიც მსოფლიო ბაზარზე 2 მილიონი აშშ დოლარი ღირს. ის ჩვენ წელთ აღრიცხვამდე მესამე საუკუნით თარიღდება", – დასძენს იგი.

თუმცა ზოგჯერ ბლიევი და მისი კოლეგები ე.წ. შავი ბაზრის არქეოლოგების შეჩერებას, რომლებიც უკანონო გათხრებს აწარმოებენ, ვერ ახერხებენ.

,,დიახ, სამწუხაროდ ასეთი ადამიანები მართლაც არსებობენ. მაგრამ თუ მოსახლეობა შეგვატყობინებს, რომ რომელიმე კონკრეტული სამარხის თავზე, ასე ვთქვათ, ,,შავი ღრუბლები გროვდება" და იქ მძარცველები არიან, მაშინვე ექსპედიციას ვაგზავნით. ასეთ ინფორმაციას, როგორც წესი, შემთხვევით ვაწყდებით ხოლმე. უამრავ ღირებულ ნივთს თიხის კარიერების ბულდოზერით თხრისას მუშებიც პოულობენ", – აღნიშნა მარკ ბლიევმა.

მაგალითად მან ერთი ბოლოდროინდელი შემთხვევა მოიყვანა, როცა მუშებმა ოქროს დიდი ნაკეთობა აღმოაჩინეს.

,,იმის მაგივრად, რომ ნივთი ჩვენთვის გადმოეცათ, აიღეს და ოქრო ოთხ ნაწილად გახერხეს. საბოლოოდ, იძულებული გახდნენ, რელიქვია დაებრუნებინათ, მაგრამ ის უკვე სავალალო მდგომარეობაში იყო", – თქვა ბლიევმა.

მსგავს შემთხვევას ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ჰასან ჩშიევიც იხსენებს. გასული წლის სექტემბერში მათ აცნობეს, რომ სოფელ ნიკოლაევსკაიას სასაფლაოს ძარცვავდნენ. არქეოლოგებმა სასწრაფოდ მიაშურეს შემთხვევის ადგილს, მაგრამ დააგვიანდათ.

,,ქურდებს უკვე მოესწროთ მთელი ტერიტორიის გადათხრა", – თქვა ჩშიევმა.

ბოლო 15 წლის განმავლობაში ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლები 50 სამარხიდან გაიტაცეს. ზოგი 3 ათასი წლის წინანდელი პერიოდით იყო დათარიღებული. მხოლოდ 2001 წლის მონაცემებით, გაძარცვული სამარხების რიცხვმა ოცდაათს მიაღწია. მას შემდეგ ყოველწლიურად საშუალოდ ხუთი სამარხი მაინც იძარცვება.

სამხრეთ ოსეთში ძვირფასი არქეოლოგიური აღმოჩენები ძირითადად სკვითების, სარმატებისა და ალანების კულტურას მიეკუთვნება – ეს უძველესი ირანული ხალხებია ევრაზიული სტეპებიდან, რომლებიც თანამედროვე ოსების წინაპრებად არიან მიჩნეული.

სამწუხაროდ, გარდაცვლილებთან ერთად დამარხული ოქროს რელიქვიები მძარცველთათვის ძალზედ მიმზიდველია. ჩრდილოეთი ოსეთის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ნაზიმ გიჯრატიმ სახელი გასული საუკუნის 80-იან წლებში სარმატთა მოგვის სამარხის აღმოჩენით გაითქვა.

,,სამარხი ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეს მიეკუთვნება; ანუ ქალი ქრისტეს დროს ცხოვრობდა და როგორც ჩანს, მქადაგებელი იყო. მხოლოდ ამ ერთ სამარხში ათასი ოქროს ნივთი აღმოჩნდა", – თქვა მან.

ამჟამად ეს განძი სხვა რელიქვიებთან ერთად შემნახველი ბანკის საცავებშია დაცული. ნაზიმ გიჯრატი ამბობს, რომ ჩრდილოეთ ოსეთში ისტორიული ძეგლების ძარცვის მხრივ საკმაოდ რთული სიტუაციაა, მაგრამ მისივე თქმით, ამ პრობლემამ გაცილებით დიდი მასშტაბი მეზობელ რეგიონებში შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთი ოსეთის ისტორიული მემკვიდრეობისთვის კრიმინალებს უდიდესი ზიანი მოაქვთ, მილიცია მდგომარეობის გამოსასწორებლად თითქმის არაფერს აკეთებს.

ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში IWPR-ს განუცხადეს, რომ უძველესი სამარხების ძარცვის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ და უწყებაში ამ კონკრეტული პრობლების მოგვარებაზე პასუხისმგებელი პირი არ არსებობს.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისტორიული ძეგლების განადგურებისთვის ან ზიანის მიყენებისთვის სასჯელი ორწლიანი პატიმრობა ან ჯარიმაა, მაგრამ მძარცველებს, რომლებიც ისტორიული რარიტეტების გაყიდვით საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებენ, კანონი არ აშინებს.

ისტორიული და კულტურული რელიკვიების დაცვის ცენტრის დირექტორი ლუდმილა გაბოევა ამბობს, რომ ამ სამსახურში მუშაობის ხუთი წლის განმავლობაში უკანონო გათხრების წარმოებისთვის არც ერთი ადამიანი არ გაუსამართლებიათ.

ჰასან ჩშიევს კი ის აშფოთებს, რომ ხალხი მათ დახმარებას არ ცდილობს. ,,განცვიფრებული ვარ ადამიანთა ინდიფერენტულობით. ,,შავი არქეოლოგები" ერთ-ერთ სამარხს ესკავატორებით რამდენიმე დღის განმავლობაში თხრიდნენ. ამ ადგილს უახლოეს ქალაქამდე მხოლოდ სამი კილომეტრი აშორებს, ასე რომ, ყველაფერი კარგად ჩანდა, მაგრამ თავი არავის შეუწუხებია და ვანდალიზმის აქტის შესახებ მილიციისთვის არ შეუტყობინებია", – ამბობს იგი.

ზოგჯერ მძარცველები სამართალდამცავებთან არიან შეკრული. გაზეთ ,,სევერნაია ოსეტიას" კორესპონდენტი იგორ ლიანოვი რამდენიმე წლის წინ მომხდარ შემთხვევას იხსენებს, რომელსაც თავად აშუქებდა. ბესლანთან ახლოს მდებარე სოფელ კოსტის მაცხოვრებელმა სამარხის ორი მძარცველი დააკავა, რომლებსაც ძვირფასი ქვებით მორთული თასი და ხანჯალი აღმოაჩნდათ. მან მძარცველები ადგილობრივ მილიციას გადასცა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც სამართალდამცავები მილიციის განყოფილებაში მისულ მამაკაცს ესაუბრნენ, ,,სიძველეთა მოყვარულები" სასწრაფოდ იმ ადგილზე დაბრუნეს, სადაც ისინი დააკავეს. მალე იქ მანქანა მივიდა და მძარცველები (და მათთან ერთად თასი და ხანჯალიც) თან გაიყოლა", – გვიამბო ლიანოვმა.

მისი თქმით, ისტორიული მემკვიდრეობა, რომელსაც ჩრდილოეთ ოსეთიდან იტაცებენ, საბოლოოდ კერძო კოლექციებში ხვდება, რომლებიც საეჭვოა, საზოგადოებამ ოდესმე იხილოს.

www.iwpr.net



## აფიშა

### 14 ივნისი

**თეატრი**

**თეატრალური სარდაფი**
კლოდ მანიე
„ოსკარი“
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
ნოდარ დუმბაძე
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**„ამირანი“**
„ტყის საძმო“
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00
„ქაოსი“
დასაწყისი: 20:00; 22:00

**„რუსთაველი“**
„ X ადამიანები: გადამწყვეტი ბრძოლა“
დასაწყისი: 13:00; 15:15; 17:30; 19:45; 22:00

**გალერეა**

**„კოპალა“**
„ჩემს სიზმრებში“
პარიზელი მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის
სკულპტურული ნამუშევრები

**TMS**
ქართველ ქალთა ნაქარგობის გამოფენა

## მოკლედ

### მნიშვნელოვანი შენაძენი

„მოგონებათა წიგნი“ - ასეთი სახელწოდება შეარჩია ახალი თხზულებისათვის გამოჩენილმა მეცნიერმა და მწერალმა რევაზ თვარაძემ. ის მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდისაა, აცოცხლებს მთელს ეპოქას XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე და, რაც მთავარია, შთამბეჭდავად, ცოცხლადაა დაწერილი.

ამ წიგნის წარდგინება გაიმართა წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში. საღამო გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ლია ნადარეიშვილმა, ხოლო უძღვებოდა გაზეთ „კალმასობას“ რედაქტორი შარლოტა კვანტალიანი.

რევაზ თვარაძის მოღვაწეობაზე, პიროვნულ ღირსებებსა და გამორჩეულად, ცხადია ახალ წიგნზე, აგრეთვე მხატვრულ-დოკუმენტური თუ მემუარული ჟანრის მნიშვნელობაზე ისაუბრეს მწერლებმა და მეცნიერებმა: გურამ ბენაშვილმა, გენო კალანდიამ, ემზარ კვიტაიშვილმა, ნონა კუპრეიშვილმა, მაკო ჯანჯიბუხაშვილმა, მაია ჯალიაშვილმა.

აღინიშნა, რომ „მოგონებათა წიგნი“ ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. მკითხველი გაუნელებელი ინტერესით ჩაიკითხავს ბოლომდე და დაელოდება მეორე ნაკვეთის გამოცემას, რომლის დასრულებასაც სულ მალე გვპირდება ავტორი. **მედიანიუსი**

### „მოიარე მსოფლიო, მოუარე სამშობლოს“

ამ ლოზუნგით რამდენიმე დღის წინ ტურისტულმა სააგენტო „ენ-ტურმა“ მცხეთაში ჟურნალისტებისა და შოუბიზნესის წარმომადგენლებისთვის აქცია გამართა. ის, ვინც პირველი აღმართავდა „ენ-ტურის“ დროშას ბებრის ციხეზე, ფასდაკლების ბარათს მიიღებდა.

„აქციის მიზანია ისტორიული ძეგლების შენარჩუნებისა და მათი მოვლის აგიტაცია. „ენ-ტურის“ დროშა, რომელიც აღიმართება ბებრისციხეზე მოგვიწოდებს დავიცვათ ჩვენი ძეგლები განადგურებისგან. სანამ სხვა ქვეყნის ღირსშესანიშნავ ადგილებს მოვინახულებთ, უმჯობესია, ჯერ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს გავეცნოთ. ეს პირველი ნაბიჯია, შემდგომში კი სოციალური ვალდებულების შესასრულებლად უფრო ფართომასშტაბიან აქციებს ვგეგმავთ,“ - განაცხადა „ენ-ტურის“ გენერალურმა დირექტორმა ნინო ჟამიერაშვილმა. მისივე თქმით, მცხეთაში აქციის გამართვა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგანაც იქ ყველაზე მეტი ღირშესანიშნავი ძეგლია თავმოყრილი. მომავალში იგეგმება კახეთის რეგიონის დალაშქვრა და ამ ციხესიმაგრეების აღდგენაში წვლილის შეტანა. **24 საათი**

### ძეგლთა რესტავრაციის ახალი ეტაპი

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მიმდინარე ზაფხულს კულტურის ძეგლთა რესტავრაციის და კონსერვაციის ახალ ეტაპს განახორციელებს.

მუშაობა ხაშურის რაიონის სოფელ წრომში დაიწყება, სადაც ღვთისმშობლის ეკლესიას აღადგენენ. ხარაგაულის რაიონში უბისის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია ჩატარდება, გორის რაიონში - ატენის სიონის, ასევე აღადგენენ ისტორიულ ძეგლებს სამცხე-ჯავახეთში.

ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში მთავარანგელოზ მიქაელისა და გაბრიელის ეკლესიის სამრეკლოს აღადგენენ, ზესტაფონის რაიონის სოფელ წევაში სამუშაოები წმინდა გიორგის ეკლესიაში დაიწყება, ხოლო საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში - ღვთისმშობლის ეკლესია აღდგება.

კულტურის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილის განცხადებით, ასევე დაგეგმილია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის იატაკის რემონტი.

მისი თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოების გარდა 2006 წლის ბოლომდე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდება სამთავისის ტერიტორიაზე, ბაგრატის ტაძრისა და მიხეილ ულუმბოელის მონასტრის ტერიტორიაზე.

კულტურის ძეგლთა აღდგენის პროექტი გრძელვადიანია და საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს. **ინტერპრესნიუსი**

# ძველი ჭიშკრებიდან ისევ აქ...

## უნიკალური მონახაზები ყოფაში

სოფო კილასონია

ალბათ ზუსტად არავინ იცის, თუ რა დარჩება მომავალს იმ ყველაფრისგან, რასაც დღეს ვქმნით. იშვიათია შემთხვევა, როცა ზუსტად ვუძებნით სახელსა და კატეგორიას კულტურის იმ მოვლენებსა და ხელოვნების იმ ნამუშევრებს, რომლებიც დღევანდელობაში მეტ-ნაკლებად ჩვენთვის აღსანიშნავი ხდება. გარკვეულწილად ამგვარი ვითარება ბუნებრივია, გარკვეულწილად კი აზროვნებისა და ახალი ხედვის, ფასეულობების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მდგომარეობის ბრალიცაა, რომელიც ჩვენი თანამედროვე კულტურის ქაოსსა და უსახურობას განაპირობებს.

უსახურობაზე კი პირველ რიგში ჩვენი ქალაქის განაშენიანებისა და მისი მორთულობის ახალი შედევრები მახსენდება. მე ნამდვილად არ ვარ გამონაკლისი. ის, ვისაც ფორმის, პროპორციის, სიმეტრია-ასიმეტრიის, მასშტაბის, დიდებული ზომიერებისა და ბოლოს და ბოლოს, სილამაზის აღქმის საშუალო უნარი მაინც გააჩნია, ამ საკითხში ზომაზე მეტად კატეგორიულია, მაგრამ ამით არც ამ ბოლო დროს მომრავლებულ-გამდიდრებულ სამშენებლო კომპანიების სტილსა და არჩევანზე ახდენს რაიმე გავლენას და არც სახელმწიფოს იმ პოლიტიკაზე, რომელიც ხელოვნების პერიპეტიებზე გადის და მისით მეტყველებს.

დროს ალბათ შემორჩება თითქმის ყველაფერი, თუმცა დროთა ცვლაში, ისე როგორც ადამიანებსა და ხელოვანებს, მათ ქმნილებებსაც ეცვლებათ იერსახე. ხელოვნების ფართო და ამოუწურავმა ისტორიამ ცის არაერთი სახელოვნებო მოვლენა, რომელიც თავის დროზე აქტუალური და მოდურიც გახლდათ, თუმცა უკვე ჩვენთვისა და თავად ისტორიისთვის ერთ ძველ, მაგრამ ჩვეულებრივ კიჩად აქცია.

პარადოქსულ მოვლენათა დაგროვებას დავეჩვიეთ ამ ბოლო დროს და მე კიდევ ერთი მაქვს.



*დავით კაკაბაძე, კუბისტური პეიზაჟი.*

არც ისე კონკრეტული და არც ისე რთული. თანმიმდევრული ვიქნები:

გუშინ, დღისით, ასათიანის 38-ში, რესტავრირებული კარიბჭის პრეზენტაცია მოხდა:

გასულ წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სპეციალური მოწვევით, ავსტრიელი ექსპერტები თბილისში რამდენიმე თვის განმავლობაში ისტორიული ნაწილის ჭიშკრებს იკვლევდნენ.

ექსპერტთა დასკვნებში აღინიშნება, რომ ქართული ჭიშკრის ანალოგი მთელ ევროპაში არ არსებობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ძლიერი სამხატვრო და არქიტექტურული სკოლის არსებობას.

საუკუნოვანი ჭიშკრების უნიკალურობას მათი შესრულების ტექნიკა, ორნამენტთა მრავალფეროვნება და მხატვრული ღირებულება განსაზღვრავს.

ასათინის N38-ის ჭიშკარი რესტავრაციისთვის მისი უნიკალურობის გათვალისწინებით შეირჩა, მოხდა მისი დემონტაჟი, ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა და მექანიკური წმენდა.

დადგინდა ჭიშკრის პირვანდელი სპილოსძვლისფერი, რის შედეგადაც დაიწყო ტექნიკური რესტავრაცია, დაფერვა და მოოქროვება.

გაწმენდილი ჭისკრისთვის გამოიჭედა, მიდუღაბდა და ჩაიხრახნა ყველა დაკარგული დეტალი, გასწორდა დეფორმაციები, აღდგა ქვედა ფირფიტების ორიგინალი ზომა. ჭიშკარს გაუკეთდა 2 დამატებითი გასაღებიანი საკეტი.

მოსახლეობას აღდგენილი ჭიშკარი უკვე დაუბრუნდა. ჭიშკრის რესტავრაცია მოხდა დიზაინერ რატი ერაძის მიერ. პროექტი დააფინანსა კულტურის სამინისტრომ.

მოკლედ ყველაფერი ისე გიამბეთ საინფორმაციო ფურცლებში, ე.წ. პრესრელიზებში რომ წერია ხოლმე.

მაგრამ, ყველაფერი რეალურად სწორედ ასე მოხდა და სხვა რა დაგვრჩენია, გულწრფელი სიხარულის გარდა, რადგანაც ლითონში გამოსახული „სტილი მოდერნის“ ის უნიკალური ნიმუშები, რომლებსაც თბილისის არაერთი აივანი, კიბის მოაჯირი და ჭიშკარი წარმოადგენს, სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ეს იმის ნიშანია, რომ სტილის განცდის უნარი აშკარად გვაქვს და უნიკალურ მონახაზებსა და დახვეწილ ფორმებთან სინთეზში გვინდა ყოფაცა და შემოქმედებაც. ამ ყველაფერში საკვირველი კი ის არის, რომ მაშინ, როცა გარკვეული პირები, (პროფესიონალები, ხელოვანები და ის, მოქალაქეები, რომლებისთვისაც ჯერ კიდევ სულ ერთი არაა საკუთარი ქალაქის „იმიჯი“ და „არსი“ საერთოდ), თავისუფლების მოედნის ახალი მონუმენტის, მეტადრე „რთული სემანტიკის“ სკულპტურის აღმართვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მერიასა და კულტურის სამინისტროში ირონიული, ღიმილნარევი დუმილი არ დარღვეულა. თუმცა არა, რიგ შემთხვევებში მათ ვერ გაიგონეს ვერც პროფესიული შეფასებები და ვერც მოქალაქეთა აზრი. დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილებები რომ არა, რომ არა რაღაც ისეთი მიზეზი, რომელსაც მოკვდავნი ვერ ამოვხსნით, ხომ არ შეიძლება ვერ დაინახონ ის დიდი რღვევა, რასაც დღეს თავისუფლების მოედანზე აქვს ადგილი. მოედანი, რომელსაც საერთოდ სივრცის რეგულარულ განლაგებასთან ერთად მისი ორგანიზება და მისი შექმნა ევალება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღარ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მონუმენტი სრულად ჯერ არ აღუმართავთ.

წინააღმდეგობა, არა ადეკვატურობა, სპონტანურობა - ეს ჩვენი ახალი ჩვევაა, რომელსაც კულტურის პოლიტიკასა და მის პროცესებში ძალიან თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ასათიანის 38-ში ქალაქის არქიტექტურის, განაშენიანების ერთ მოხდენილსა და დახვეწილ რიგით მაგალითთან გვაქვს შეხება, სულ ცოტა რომ ჩამოქვეითდებით, ანდა თუნდაც ჭავჭავაძეზე რომ გავივლით და მარჯვნი-მარცხნივ, სიღრმეებში მიმოვიხედავთ, ყველაფერი დაგვავიწყდება. არა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაც ისე ეამაყებათ, როგორც წერეთლის პრიალა და დიდრონი საჩუქარი. საქმე სიამაყეში როდია, საქმე და პრობლემა სხვა თვისებებისა და სულ სხვა ხარისხის ნების უქონლობაშია.


**გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)** “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემების ინოვაციური რეორგანიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა“ პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ
ვებ-ბვერდზე www.undp.org.ge

**კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის ინფორმაცია**

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ვაცხადებთ: ქ. საგარეჯოში, საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვალა შ.პ.ს „იმედი“, რომელთანაც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება მ.წ. 8 ივნისს.

**განცხადება**

**2006 წლის 3 ივნისის გაზეთ „24 საათი“-ს N121-ში ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ ავტომანქანების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები. კერძოდ:**

**ლოტი N2-ში ნაცვლად 3 ერთეული ავტომანქანისა განისაზღვროს 2 ერთეულით.**

**სატენდერო განცხადებას დაემატოს ლოტი N6 მიკროავტობუსი 1 ცალი, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**

- საწვავის ტიპი - დიზელი;
- ძრავის მოცულობა - არანაკლებ 2000 სმ3;
- მექანიკური სიჩქარეთა კოლოფი;
- საშუალოჭერიანი;
- საჭის ჰიდროგამაძლიერებელი;
- უსაფრთხოების სისტემები - ABS;
- უსაფრთხოების ბალიში - არანაკლებ 1 ცალი;
- ადგილების რაოდენობა - არანაკლებ 9-10;
- გამოშვების წელი - არანაკლებ 1997.

**საქართველოს ბანკის აქციონერთა საყურადღებოდ!**

გთხოვთ მობრძანდეთ დივიდენდების მისაღებად საქართველოს ბანკის სათავო ოფისში, პუშკინის ქ. 3, ყოველ სამუშაო დღეს 10:00- 16:00 საათამდე.
შეკითხვებისათვის: 444 152

**განცხადება**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იწვევს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ფასთა კოტირების საშუალებით თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული და ეროვნული აკადემიის შენობების მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საფარის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვაზე.

ფასთა კოტირების დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია 2006 წლის 16 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №201. ტელ.: 91-03-91.



**ავიაკომპანია "არკია ისრაელის ავიახაზები"**
აგრძელებს რეგულარულ
რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს
**თბილისი - თელ-ავივი**

**თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40**
**თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25**
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე.
გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

**ბილეთის ფასია:**
**275 აშშ დოლარი (ერთი გზა)**
**349 აშშდოლარი (ორი გზა)**
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.
აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.
**ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99**
**e-mail: mail@arkia.ge**

**მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი**

საქართველოს მე-3 საერთაშორისო
**სამშენებლო გამოფენა**

**GeorgiaBuild**
საქართველო, თბილისი

**15-17 ივნისი, 2006**
**სპორტის სასახლე**
შესვლა უფასოა

ორგანიზატორები:
ტელ.: +44 (0) 20 7596 5004; ფაქსი: +44 (0) 20 7596 5111
E-mail: building@ite-exhibitions.com
ტელ.: +995 32 25 37 80; ფაქსი: +995 32 25 08 47
E-mail: build@iteca.ge

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**
**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 10.01.21.**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**გულრიფშის რიონის სოფ. ომარიშარას დაწყებითი სკოლის რეკონსტრუქცია**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **გულრიფშის რიონის სოფ. ომარიშარას დაწყებითი სკოლის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება „აჟარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, „აჟარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 15 ივნისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 13 ივლისს** 11:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 13 ივლისს** 11:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**
**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 10.01.20.**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**გულრიფშის რიონის სოფ. მარცხენა პტიშის დაწყებითი სკოლის რეკონსტრუქცია**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **გულრიფშის რიონის სოფ. მარცხენა პტიშის დაწყებითი სკოლის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება „აჟარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, „აჟარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 15 ივნისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. დაინტერესებულ კონკურსანტებს კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 13 ივლისს 12:00**-მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 13 ივლისს** 12:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
## ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად ერთი წლის ვადით. საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ორი კვირა. აუქციონზე „ბიჯი" შეადგენს საწყისი ფასის 10 %-ს.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

ოდიშის, თიანეთის, ამბროლაურის, ბაღდათის, ხაშური-ქარელის, ახალციხის, ზემო სვანეთის, საჩხერის, მარტვილის სატყეო მეურნეობის ტყეკაფები მთავარი და მოვლითი სახის ჭრებით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

1) განცხადება სასურველი ტყეკაფის მითითებით (სატყეო, კვარტალი, უბანი)

2) იურიდიული პირის ან ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას თან უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები

3) სალიცენზიო მოსაკრებლის (8 ლარი) გადახდის ქვითარი

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **300033050.**

**4)** „ბე"-ს გადახდის ქვითარი

„ბე"-ს გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **302003000.**

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 13 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 13 ივლისს 11 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს.

5). გამარჯვებული ასევე ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს ტყეკაფის გამოყოფის ხარჯები შემდეგნაირად: პირწმინდა და პლანტაციური ჭრები 0.66 ლარი ერთ კუბ.მ ლიკვიდურ მერქანზე.

სხვა სახის ჭრებზე 2.70? ლარი ერთ. კუბ. მ ლიკვიდურ მერქანზე.

მისამართი: ქ. თბილისი (ორთაჭალა), გია გულუას ქუჩა N6.
T 27-57-60.
www.moe.gov.ge

| № | სატყეო მეურნეობა | სატყეო | კვარტალი | უბანი | ჭრის სახე | ფართობი | ჯიში | სანიხრე | ს უ ლ მთავარი სარგებლობა, კბმ | | | საწყისი ფასი | „ბე" | „ბიჯი" 10 % | ახალი გზის მშენებლობა(კმ) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სამასალე | საშეშე (ვარჯის ჩათვლით) | სულ (ლიკვიდი) | | | | სამანქანო | სატრაქტორო |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 1 | ოდიშის | მაგანი | 1 | 3 | მთავარი | 18.0 | თხმ. | IV | 368 | 295 | 663 | 2 113 | 422 | 211 | 1.0 | 0.5 |
| 2 | | მაგანი | 22 | 1 | მთავარი | 14.0 | ფოთლ | IV | 704 | 605 | 1309 | 16 883 | 3376 | 1688 | 0.7 | 0.3 |
| 3 | | მაგანი | 36 | 33ა | მთავარი | 16.0 | ფოთლ | IV | 480 | 389 | 869 | 11 450 | 2290 | 1145 | 0.8 | 0.5 |
| 4 | | მაგანი | 17 | 6 | მთავარი | 7.0 | ფოთლ | IV | 200 | 190 | 390 | 4 843 | 968 | 484 | 0.7 | 0.6 |
| 5 | | მაგანი | 33 | 6 | მთავარი | 14.0 | ფოთლ | IV | 402 | 324 | 726 | 9 584 | 1916 | 958 | 1.0 | 0.5 |
| 6 | | მაგანი | 10 | 8 | მთავარი | 15.0 | წიწვ. | IV | 212 | 123 | 335 | 2 057 | 411 | 206 | - | 0.7 |
| 7 | | ხუდონი | 30 | 2 | მთავარი | 18.0 | ფოთლ | IV | 1096 | 787 | 1883 | 25 879 | 5175 | 2588 | - | - |
| 8 | | ხუდონი | 9 | 14-16 | მთავარი | 13.0 | თხმ. | IV | 161 | 49 | 210 | 785 | 157 | 78 | - | - |
| 9 | | ჯვარი | 47 | 6 | მთავარი | 14.0 | ფოთლ | IV | 589 | 387 | 976 | 13 814 | 2762 | 1381 | 0.8 | 0.5 |
| 10 | თიანეთის | სიონი | 36 | 33 | მოვლითი | 3.8 | ფოთლ | IV | 74 | 138 | 212 | 1 969 | 393 | 197 | | 0.4 |
| 11 | | სიონი | 51 | 7 | მოვლითი | 10.0 | ფოთლ | IV | 227 | 343 | 570 | 5 830 | 1166 | 583 | | 1.5 |
| 12 | | სიონი | 51 | 5 | მოვლითი | 10.0 | ფოთლ | IV | 227 | 412 | 639 | 6 010 | 1202 | 601 | | 1.0 |
| 13 | | ღულელები | 21 | 6,7,8 | მოვლითი | 5.7 | ფოთლ | III | 227 | 453 | 680 | 7 892 | 1578 | 789 | | 1.0 |
| 14 | | ღულელები | 52 | 15 | მოვლითი | 6.5 | ფოთლ | IV | 95 | 147 | 242 | 2 449 | 489 | 245 | | 1.5 |
| 15 | | ღულელები | 21 | 10 | მოვლითი | 3.5 | ფოთლ | III | 102 | 186 | 288 | 3 485 | 697 | 348 | | 1.2 |
| 16 | | ბოჭორმა | 25 | 9 | მთავარი | 3.0 | ფოთლ | IV | 123 | 226 | 349 | 3 263 | 652 | 326 | | |
| 17 | ამბროლაური | თლუღი | 41 | 4 | მთავარი | 12.0 | წიწვ. | III | 357 | 197 | 554 | 4 860 | 972 | 486 | | |
| 18 | ბაღდათი | ზეგანი | 3-ა | 16 | მთავარი | 10.0 | ფოთლ. | IV | 170 | 118 | 288 | 4 003 | 800 | 400 | | 0.6 |
| 19 | | საირმე | 60 | 6 | მოვლითი | 4.0 | წიწვ. | IV | 77 | 49 | 126 | 754 | 150 | 75 | | 0.3 |
| 20 | | ლაშურა | 31 | 11 | მთავარი | 8.0 | ფოთლ. | IV | 82 | 58 | 140 | 2 548 | 509 | 255 | | 0.7 |
| | | | | | | | წიწვ. | | 63 | 38 | 101 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 145 | 96 | 241 | | | | | |
| 21 | | ზეგანი | 22 | 7 | მთავარი | 17.0 | ფოთლ. | IV | 310 | 210 | 520 | 7 287 | 1457 | 729 | | 0.5 |
| 22 | | საირმე | 29 | 2 | მოვლითი | 6.9 | წიწვ. | IV | 168 | 119 | 287 | 1 668 | 333 | 167 | | 0.7 |
| 23 | | საირმე | 20 | 10 | მთავარი | 9.5 | წიწვ | IV | 251 | 165 | 416 | 2 556 | 511 | 256 | | 0.8 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 3 | 8 | 11 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 254 | 173 | 427 | | | | | |
| 24 | | ქერშავეთი | 9 | 10 | მთავარი | 6.0 | ფოთლ | IV | 352 | 196 | 548 | 8 452 | 1690 | 845 | | |
| | | | | | | | წიწვ | | 32 | 6 | 38 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 384 | 202 | 586 | | | | | |
| 25 | | საირმე | 63 | 3 | მოვლითი | 7.0 | ფოთლ | IV | 3 | 5 | 8 | 1 838 | 367 | 184 | | 0.8 |
| | | | | | | | წიწვ | | 176 | 132 | 308 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 179 | 137 | 316 | | | | | |
| 26 | ხაშური-ქარელის | გვერძინეთი | 34 | 6-12 | მოვლითი | 23.0 | წიწვ. | III | 710 | 518 | 1228 | 9 995 | 1999 | 999 | | 2.5 |
| 27 | | ძამა | 15 | 33 | მოვლითი | 3.2 | წიწვ. | II | 145 | 135 | 280 | 2 739 | 547 | 274 | 1.0 | |
| 28 | | ძამა | 15 | 36 | მოვლითი | 3.6 | წიწვ. | II | 141 | 138 | 279 | 2 687 | 537 | 269 | | 1.0 |
| 29 | | ალი | 35 | 11,12,13,14 | მოვლითი | 43.0 | წიწვ. | II | 180 | 452 | 632 | 4 390 | 878 | 439 | | |
| 30 | | ძამა | 20 | 6 | მოვლითი | 10.0 | წიწვ. | II | 174 | 153 | 327 | 10 271 | 2054 | 1027 | | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 178 | 158 | 336 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 352 | 311 | 663 | | | | | |
| 31 | ახალციხის | ძველი | 6 | 25 | მოვლითი | 2.0 | წიწვ. | III | 6 | 24 | 30 | 135 | 27 | 14 | | |
| 32 | | ასპინძა | 13 | 6 | მოვლითი | 22.0 | წიწვ. | III | 670 | 704 | 1374 | 9 993 | 1998 | 999 | | |
| 33 | | ძველი | 11 | 4,6 | მოვლითი | 4.0 | წიწვ. | III | 11 | 33 | 44 | 220 | 44 | 22 | | |
| 34 | | ძველი | 6 | 23 | მოვლითი | 5.0 | წიწვ. | III | 4 | 41 | 45 | 155 | 31 | 156 | | |
| 35 | | ძველი | 5 | 9-12 | მოვლითი | 4.0 | წიწვ. | III | 6 | 56 | 62 | 219 | 43 | 22 | | |
| 36 | | ურაველი | 24 | 2.4.10.12.15 | მოვლითი | 12.0 | წიწვ. | II | 35 | 175 | 210 | 1 157 | 231 | 116 | | |
| 37 | | ძველი | 13 | 1 | მოვლითი | 13.0 | წიწვ. | III | 23 | 125 | 148 | 606 | 121 | 61 | | |
| 38 | | ახალციხე | 7 | 10 | მოვლითი | 2.0 | წიწვ. | I | 9 | 32 | 41 | 316 | 63 | 32 | 1.0 | |
| | | | | | | | ვერხვ. | | 0 | 1 | 1 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 9 | 33 | 42 | | | | | |
| 39 | | ახალციხე | 23 | 5 | მოვლითი | 7.0 | წიწვ. | II | 22 | 77 | 99 | 612 | 122 | 61 | | |
| 40 | | ვალე | 19 | 14 | მოვლითი | 14.0 | წიწვ. | II | 113 | 157 | 270 | 2 315 | 463 | 231 | | |
| 41 | | ახალციხე | 17 | 3 | მოვლითი | 7.0 | წიწვ. | II | 15 | 47 | 62 | 398 | 79 | 40 | 1.5 | |
| 42 | | აწყური | 32 | 3 | მოვლითი | 19.0 | წიწვ. | I | 121 | 154 | 275 | 2 993 | 598 | 299 | 2.0 | |
| | | | | | | | ვერხვ. | | 0 | 2 | 2 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 121 | 156 | 277 | | | | | |
| 43 | ახალციხის | ვალე | 18 | 8 | მოვლითი | 13.0 | წიწვ. | II | 146 | 170 | 316 | 2 981 | 596 | 298 | | |
| | | | | | | | ვერხვ. | | 0 | 30 | 30 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 146 | 200 | 346 | | | | | |
| 44 | | ვალე | 21 | 26 | მოვლითი | 10.0 | წიწვ. | II | 190 | 249 | 439 | 4 024 | 804 | 402 | | |
| | | | | | | | ვერხვ. | | 0 | 53 | 53 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 190 | 302 | 492 | | | | | |
| 45 | ზემო სვანეთის | ჯორკვალი | 47 | 3 | მთავარი | 20.0 | წიწვ. | IV | 692 | 427 | 1119 | 6 760 | 1352 | 676 | 1.5 | |
| 46 | | ჯორკვალი | 46 | 3-4 | მთავარი | 17.0 | წიწვ. | IV | 612 | 377 | 989 | 5 977 | 1195 | 598 | 2.6 | |
| 47 | | ჯორკვალი | 14 | 3-4 | მთავარი | 16.0 | წიწვ. | IV | 712 | 437 | 1149 | 6 951 | 1390 | 695 | 1.0 | |
| 48 | | ჯორკვალი | 43 | 13 | მთავარი | 12.0 | წიწვ. | IV | 656 | 375 | 1031 | 6 357 | 1271. | 636 | 1.3 | |
| 49 | | ჯორკვალი | 80 | 2 | მთავარი | 13.0 | წიწვ. | IV | 696 | 454 | 1150 | 7 485 | 1497 | 748 | 1.5 | 0.5 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 26 | 30 | 56 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 722 | 484 | 1206 | | | | | |
| 50 | | ხუბერი | 10 | 8 | მთავარი | 20.0 | წიწვ. | IV | 387 | 272 | 659 | 7 509 | 1501 | 751 | 2.4 | |
| | | | | | | | ფოთლ. | | 154 | 124 | 278 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 541 | 396 | 937 | | | | | |
| 51 | | ხუბერი | 106 | 3 | მთავარი | 19.0 | წიწვ. | IV | 352 | 281 | 633 | 8 591 | 1718 | 859 | 1.3 | 0.9 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 206 | 216 | 422 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 558 | 497 | 1055 | | | | | |
| 52 | | ჭუბერი | 74 | 6 | მთავარი | 8.0 | ფოთლ. | IV | 233 | 217 | 450 | 8 887 | 1777 | 889 | | 0.6 |
| | | | | | | | წიწვ. | | 335 | 197 | 532 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 568 | 414 | 982 | | | | | |
| 53 | | ჭუბერი | 64 | 7 | მთავარი | 32.0 | წიწვ. | IV | 445 | 309 | 754 | 11 249 | 2249 | 1125 | | |
| | | | | | | | ფოთლ. | | 285 | 248 | 533 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 730 | 557 | 1287 | | | | | |
| 54 | | ჭუბერი | 97 | 9 | მთავარი | 7.0 | წიწვ. | IV | 535 | 246 | 781 | 5 763 | 1152 | 576 | | 0.5 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 29 | 20 | 49 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 564 | 266 | 830 | | | | | |
| 55 | | ჭუბერი | 55 | 1-8 | მთავარი | 21.0 | წიწვ. | IV | 443 | 340 | 783 | 4 443 | 888 | 444 | 0.8 | |
| 56 | | ჭუბერი | 99 | 6 | მთავარი | 31.0 | წიწვ. | IV | 472 | 456 | 928 | 4 897 | 979 | 490 | 1.0 | |
| 57 | | ხაიში | 93 | 5 | მთავარი | 9.0 | წიწვ. | IV | 379 | 201 | 580 | 5 624 | 1124 | 562 | | 0.5 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 83 | 67 | 150 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 462 | 268 | 730 | | | | | |
| 58 | | ხაიში | 94 | 5 | მთავარი | 17.0 | წიწვ. | IV | 473 | 238 | 711 | 8 637 | 1727 | 864 | | 0.8 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 173 | 134 | 307 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 646 | 372 | 1018 | | | | | |
| 59 | | ხაიში | 7 | 4 | მთავარი | 23.0 | წიწვ. | IV | 1018 | 739 | 1757 | 10 137 | 2027 | 1014 | 2.0 | |
| 60 | | ლახამულა | 59 | 4 | მთავარი | 8.0 | წიწვ. | IV | 167 | 102 | 269 | 11 068 | 2213 | 1107 | | |
| | | | | | | | ფოთლ. | | 396 | 318 | 714 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 563 | 420 | 983 | | | | | |
| 61 | | ლახამულა | 50 | 4 | მთავარი | 10.0 | წიწვ. | IV | 350 | 184 | 534 | 3 504 | 700 | 350 | 0.8 | |
| | | | | | | | ფოთლ. | | 6 | 4 | 10 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 356 | 188 | 544 | | | | | |
| 62 | ზემო სვანეთის | ორმელეთი | 46 | 4 | მთავარი | 8.0 | წიწვ. | IV | 347 | 207 | 554 | 8 582 | 1716 | 858 | | 1.2 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 219 | 170 | 389 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 566 | 377 | 943 | | | | | |
| 63 | | ორმელეთი | 35 | 4 | მთავარი | 10.0 | წიწვ. | IV | 474 | 295 | 769 | 7 293 | 1458 | 729 | | 0.5 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 114 | 69 | 183 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 588 | 364 | 952 | | | | | |
| 64 | | ორმელეთი | 26 | 5 | მთავარი | 11.0 | წიწვ. | IV | 655 | 362 | 1017 | 8 483 | 1696 | 848 | | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 91 | 69 | 160 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 746 | 431 | 1177 | | | | | |
| 65 | | ორმელეთი | 22 | 10 | მთავარი | 8.0 | წიწვ. | IV | 615 | 337 | 952 | 6 072 | 1214 | 607 | | 0.8 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 6 | 3 | 9 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 621 | 340 | 961 | | | | | |
| 66 | | ორმელეთი | 70 | 3 | მთავარი | 9.0 | წიწვ. | IV | 630 | 337 | 967 | 9 018 | 1803 | 902 | | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 124 | 99 | 223 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 754 | 436 | 1190 | | | | | |
| 67 | | ორმელეთი | 97 | 4 | მთავარი | 7.0 | წიწვ. | IV | 261 | 186 | 447 | 7 043 | 1408 | 704 | 0.4 | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 186 | 156 | 342 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 447 | 342 | 789 | | | | | |
| 68 | საჩხერე | მოხვი | 1 | 17 | მთავარი | 8.0 | ფოთლ. | II | 117 | 215 | 332 | 5 191 | 1038 | 519 | | |
| 69 | | მოხვი | 1 | 36 | მთავარი | 9.0 | ფოთლ. | II | 284 | 325 | 609 | 11 574 | 2315 | 1157 | | |
| 70 | | მოხვი | 1 | 16 | მთავარი | 23.0 | ფოთლ. | II | 337 | 576 | 913 | 14 727 | 2945 | 1473 | | |
| 71 | | მოხვი | 1 | 15 | მთავარი | 6.0 | ფოთლ. | II | 121 | 198 | 319 | 5 242 | 1048 | 524 | | |
| 72 | | მოხვი | 1 | 29 | მთავარი | 11.0 | ფოთლ. | II | 143 | 176 | 319 | 5 892 | 1178 | 589 | | |
| 73 | | კვერეთი | 15 | 5 | მთავარი | 12.0 | ფოთლ. | II | 130 | 259 | 389 | 5 873 | 1175 | 587 | | |
| 74 | | კვერეთი | 15 | 13 | მთავარი | 11.0 | ფოთლ. | II | 212 | 416 | 628 | 9 544 | 1909 | 954 | | |
| 75 | | კვერეთი | 10 | 3 | მთავარი | 22.0 | ფოთლ. | II | 350 | 323 | 673 | 13 859 | 2772 | 1386 | | |
| 76 | | კვერეთი | 10 | 14 | მთავარი | 10.0 | ფოთლ. | II | 197 | 194 | 391 | 7 864 | 1573 | 786 | | |
| 77 | | ცხამი | 15 | 5 | მთავარი | 12.0 | ფოთლ. | II | 409 | 491 | 900 | 16 788 | 3358 | 1679 | | |
| 78 | | ჯალაბეთი | 91 | 6 | მთავარი | 23.0 | ფოთლ. | IV | 239 | 285 | 524 | 5 939 | 1188 | 594 | | |
| 79 | | ჭალა | 7 | 5 | მთავარი | 14 | ფოთლ. | II | 440 | 372 | 812 | 17 245 | 3449 | 1724 | | |
| 80 | ოდიში | მუხური | 26 | 10 | მთავარი | 36.0 | წიწვ. | IV | 1220 | 1155 | 2375 | 24 830 | 4966 | 2483 | | 1.5 |
| | | | | | | | ფოთლ. | | 482 | 665 | 1147 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 1702 | 1820 | 3522 | | | | | |
| 81 | თიანეთის | ღულელები | 49 | 10 | მოვლითი. | 11.0 | ფოთლ. | III | 198 | 251 | 449 | 6 383 | 1276 | 638 | | 1.8 |
| 82 | | ღულელები | 45 | 14 | მოვლითი. | 4.5 | ფოთლ. | IV | 131 | 176 | 307 | 3 307 | 661 | 331 | | |
| 83 | | ღულელები | 24 | 3 | მოვლითი | 6.0 | ფოთლ. | III | 148 | 256 | 404 | 5 009 | 1002 | 501 | | |
| 84 | | ღულელები | 10 | 5 | მოვლითი | 8.0 | ფოთლ. | III | 100 | 126 | 226 | 3 221 | 644 | 322 | | |
| 85 | | ღულელები | 48 | 1 | მოვლითი | 6.1 | ფოთლ. | III | 142 | 183 | 325 | 4 588 | 917 | 459 | | |
| 86 | ამბროლაურო | სხვავა | 9 | 26 | მოვლითი | 10.0 | წიწვ. | III | 79 | 217 | 296 | 1 528 | 305 | 153 | | |
| 87 | ხაშური-ქარელის | ძამა | 32 | 3 | მოვლითი | 17.0 | ფოთლ. | II | 278 | 420 | 698 | 11 861 | 2372 | 1187 | 2.0 | |
| 88 | | ზღუდერი | 32 | 18 | მოვლითი | 7.2 | ფოთლ. | II | 58 | 232 | 290 | 3 228 | 645 | 323 | | |
| 89 | | ზღუდერი | 30 | 11 | მოვლითი | 17.0 | ფოთლ. | II | 53 | 294 | 347 | 3 325 | 665 | 332 | | 0.8 |
| 90 | | გვერძინეთი | 13 | 2,3,7 | მოვლითი | 24.6 | წიწვ. | III | 356 | 226 | 582 | 4 923 | 985 | 492 | | |
| 91 | | გვერძინეთი | 19 | 18 | მოვლითი | 11.0 | წიწვ. | III | 242 | 181 | 423 | 3 418 | 684 | 342 | | |
| 92 | | გვერძინეთი | 7 | 9-13 | მოვლითი | 13.5 | წიწვ. | III | 327 | 273 | 600 | 4 693 | 939 | 469 | | 1.0 |
| 93 | | ქარელი | 17 | 13-15,.22 | მოვლითი | 57.0 | წიწვ. | II | 215 | 826 | 1041 | 6 238 | 1248 | 624 | | 2.0 |
| 94 | მარტვილი | სალხინო | 25 | 1 | მოვლითი | 7.0 | ფოთლ. | IV | 289 | 504 | 793 | 7 597 | 1519 | 759 | | |

# ცილისწამებაზე ადვილი რა არის, თქვენ საქმე მითხარით!

ალბათ, ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ შენიშნო: ქვეყანაში უკვე მთავრდება უძრაობის ხანგრძლივი პერიოდი, იწყება დიდი ცვლილებები და გარდაქმნები ყველა მიმართულებით. ახალგაზრდა ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა ერგო, ამას მის გამოუცდელობასაც თუ დავუმატებთ, ბუნებრივია, რომ იგი ზოგჯერ სერიოზულ შეცდომებსაც უშვებს (მაგალითად, საკადრო პოლიტიკაში). მაგრამ ნათქვამია, ვინც მუშაობს, შეცდომაც მას მოსდისო. იდეალური და ყველასთვის თანაბრად მოსაწონი ხელისუფლება კი არც ყოფილა და არც მომავალში იარსებებს, რაგინდ ლამაზი პროგრამებითა და დაპირებებითაც არ უნდა გამოგვკვებონ ოპოზიციურმა პარტიებმა. ხალხმა ხომ საკუთარი გამოცდილებით იცის: ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იმ ოპოზიციასაც გაუჩნდება საკუთარი ოპოზიცია და ასე შემდეგ, პლუს-მინუს უსასრულობამდე....

დღეს ხდება, ალბათ, ყველაზე საინტერესო და რთული მომენტი უახლეს ისტორიაში: სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებას ერგო უმძიმესი ხვედრი, რომ დაანგრიოს საბჭოთა სახელმწიფოს დარჩენილი მეტასტაზები, ბოლომდე დაამსხვრიოს კომუნისტური იდეოლოგია და მენტალიტეტი, დანერგოს ღია საზოგადოების პრინციპები, ქვეყანა სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადაიყვანოს, ქალაქებს და სოფლებს თანამედროვე იერსახე მისცეს და, ბოლოს და ბოლოს, პატარა საქართველო მსოფლიო რუკაზე გამოაჩინოს.

დიახ, უშვებს შეცდომებს ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლება, მაგრამ დიდ საქმესაც აკეთებს.

დავინახოთ, ბატონებო, დავინახოთ და ვაცალოთ. ქვეყანა ხომ მართლაც არც სიმღერით შენდება და არც ორიოდე საათში, ამას დრო სჭირდება. ხელისუფლებაში მოსულ ახალგაზრდებს კი არც ზღაპრული ხალიჩა უპყრიათ ხელთ და არც ნატვრისთვალი, არც სურაში ჩამწყვდეული კეთილი ჯინი ეხმარებათ და არც ოქროს თევზი აღუთქვამთ სურვილის შესრულებას - მათ ყველაფერი თავად უნდა გააკეთონ, საკუთარი ზურგით უნდა ზიდონ ტვირთი, რასაც ახალი სახელმწიფოს მშენებლობა ჰქვია.

ქირქილზე, დაცინვასა და შორიდან სეირის ყურებაზე ადვილი რა არის! ან კიდევ იმაზე, რომ რომელიღაც მედიასაშუალებამ პიროვნების (პიროვნებების, პარტიის..) მაკომპრომეტირებელი მასალები გამოაქვეყნოს, - დაინტერესებული კლანის ან კერძო პირისგან შეკვეთილ-შეთითხნილი. დღეს ხომ სხვისი ღირსების შელახვა, სხვის თავმოყვარეობაზე საჯაროდ ფეხის დაბიჯება და ცრუ "არგუმენტების" გამოფენა ძალიან მარტივად ხდება. ეს "ტექნოლოგია" ჩვენში უკვე საკმაოდაა აპრობირებული: ვთქვათ, არ უნდა რომელიღაც კლანს ქალაქის მერად ეს კაცი, თავისი კაცის "ჩასმა" და პოლიტიკურ-ეკონომიკური ბერკეტების გამაგრება სწადია. ამ შემთხვევაში, დაიხმარს რომელიღაც ანგაჟირებულ ჟურნალისტს, ან მედიასაშუალებას, შეუკვეთავს სასურველ მასალას და, ჰაიდა, იწყებს საზოგადოებრივ აზრზე "მუშაობას" ესა თუ ის ცილისმწამებლური ტელესიუჟეტი, საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაცია.

კონკრეტული მაგალითითაც შემიძლია დაგიდასტუროთ - იმ ფაქტით, რომელმაც გულწრფელად ვიტყვი, ძალიან შემაშფოთა: ქუთაისში ერთ წელიწადში სამჯერ შეიცვალა ხელისუფლება და ერთი და იგივე ხალხი მუშაობს და ადგენს სახელისუფლებლო კადრს. განა ეს არ არის შემაშფოთებელი? ძალთა პოლიტიკურ გადანაწილებას, სკამების ომს, ქალაქის, საზოგადოების ინტერესები ეწირება. სადღაა ქუთაისის ეკონომიკური და კულტურული ძლიერება, სადღაა ქვეყნის მეორე ქალაქის კეთილდღეობა! სატრანზიტო გზამ, რკინიგზამ, ნავთობსადენმა, საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევის პერსპექტივამ - ყველაფერმა გვერდი აუარა ქუთაისს და ერთ დიდ სოფელს დაამსგავსა. იმის ნაცვლად, რომ ქალაქისთვის ფუნქციის მინიჭებაზე და ახალი პრიორიტეტების მოძებნაზე იფიქრონ, ადგილობრივი ხელისუფლების სათავეებში კულუარული ომია გამოცხადებული.

ამ ბოლო პერიოდში ტელეარხებზე თუ რეგიონულ პრესაში, ერთსა იმავე დროს, დაიწყო ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის, ახლადდანიშნული კადრის, გიგა ჩოგოვაძის რეპუტაციის შელახვაც. გასაგებია, რომ სახელმწიფო მოხელე, ჩინოვნიკი, მზად უნდა იყოს ნებისმიერი კრიტიკისა თუ ოპოზიციური აზრისთვის, მაგრამ რომელ კონსტრუქციულ კრიტიკაზეა საუბარი, როცა ქალაქში კარგად ცნობილი ოჯახის შვილს, სამი შვილის მამას, კარგ სპეციალისტს და საუკეთესო ცხოვრებისეულ გზაგავლილ ადამიანს ხან ქურდთან ერთად ქორწილში ქეიფს (?) აბრალებენ, ხან რომელიღაც კრიმინალური ელემენტისაგან "ნაჩუქარი" მანქანით სახელმწიფო ფულის გათეთრებას, ხანაც ვაშლებით სავსე დახლთან მჯდომს ხატავენ (ფანტაზია უსაზღვროა..)

მე გიგას ყოფილი პედაგოგი გახლავართ, მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩემ თვალწინ გაიარა. ვიცი მისი ჩვევები, პრინციპში, ცხოვრების წესი და ამ "ბრალდებებზე", ალბათ, კარგად გამეცინებოდა. მართლა სასაცილო რომ იყოს და შორსგამიზნული ტექსტები არ ედოს. მართლაც, განა იუმორის საფუძველს იძლევა ის, რომ მავან ჟურნალისტს დღეს შეუძლია, საჯაროდ განაცხადოს, მაქვს კასეტა, სადაც მერის მოვალეობის შემსრულებელი ქურდთანაა გადაღებული, მეორე დღეს კი უარყოს: არა, ბატონო, იმ კასეტაში ეგ კაცი არ არისო!... ვინც ის "უარყოფა" ვერ მოისმინა, ან ვერ წაიკითხა, იმისთვის ხომ გიგა ჩოგოვაძე სამუდამოდ დარჩება საეჭვო რეპუტაციის ჩინოვნიკად?

ჟურნალისტი მშვიდად გაიღიმებს, ღირსებაშელახულ და უსაფუძვლოდ გალანძღულ ადამიანს კი თავის მართლებაის დრო და საშუალებაც არა აქვს, წინ იმდენი საქმეა დახვავებული.

მე ვიცი, რომ გიგა ძალიან ბევრს ფიქრობს ქუთაისისათვის ფუნქციის დაბრუნებაზე, ქალაქის იერსახის გამოცვლაზე, უკვე პირველი ნაბიჯებიც გადადგა ამ მხრივ... დიახ, ვიცი და მეამაყება, რომ ჩემი ყოფილი მოსწავლე, აწ უკვე ქალაქის ხელისუფალი, თავისი მშობლიური ქუთაისისთვის ზრუნავს და იღწვის. ამას მალე იგრძნობს და დაინახავს საზოგადოებაც, თუ რასაკვირველია, აცალეს მუშაობა და წინამორბედების გზას არ გაუყენეს იმის გამო, რომ დაინტერესებული კლანის "კაცი" აღარ არის.

გიგა ჩოგოვაძე კლანის კი არა, ახალი ხელისუფლების კაცია, პრეზიდენტისგან უფლებამინიჭებული და მივცეთ დრო და საშუალება აკეთოს საქმე. მას ცრუ დამსმენებსა და ცილისმწამებლებზე უკეთ ის ხალხი იცნობს, ვინც აქ, ამ თანამდებობაზე მუშაობის რეკომენდაცია მისცა. სირცხვილია, ბატონებო, რომ ერთ დროს აყვავებული და უმდიდრესი ქალაქი დღეს ლამის მიწასთანაა გასწორებული. ჩვენ კი, იმის ნაცვლად, რომ მის რეანიმაციასა და გაცოცხლებაზე ვიზრუნოთ, ახალ ხელისუფალს მხარში ამოვუდგეთ, პირიქით, პირადი ანგარიშწორებებითა და "საოჯახო პროგრამებით" ორიენტირებულნი ვესწრაფვით ხელისუფლებაში მოსვლას.

ეს წერილი მხოლოდ ჩემი ყოფილი მოსწავლისადმი თანადგომამ კი არა, ჩემი მშობლიური ქალაქის სავალალო ბედზე დაფიქრებამ, მოქალაქეობრივმა ტკივილმა დამაწერინა. დავიღალეთ N რაოდენობის პოლიტიკოსთა და თანამდებობის მაძიებელთა პოპულისტური განცხადებებით, ინტრიგებით, აქციებითა და თოქ-შოუებით, საქმის დრო მოვიდა.

საქმე, ბატონებო, საქმე!
დრო არ ითმენს...

**ნუკრი ძოწენიძე**

# ჯოლისა და პიტის ქველმოქმედი ქალიშვილი



ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა საკუთარი ახალშობილი ქალიშვილის ფოტოების გაყიდვა გადაწყვიტეს. ამ გზით დაგროვილ თანხას ისინი ქველმოქმედებისთვის გაიღებენ.

როგორც წყვილმა განაცხადა, მაშინ, როცა მათი ქალიშვილის ცქერით ტკბებიან, მაინც არ ავიწყდებათ, რომ ყოველწლიურად განვითარებად ქვეყნებში, დაბადებიდან რამდენიმე საათში ორი მილიონი ბავშვი იღუპება.

პიტისა და ჯოლის ქალიშვილის, რომელიც ნამიბიაში 31 მაისს დაიბადა - შილონ ნუველ ჯოლი პიტის ფოტოებს Getty Images-ს კომპანია გაყიდის. ის, თუ რომელ საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება აღნიშნული თანხა, ჯერ ბავშვის მშობლებს არ გაუცხადებიათ, თუმცა ცნობილია რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი. ფოტოების სანაცვლოდ ერთ-ერთი მედია-სარეკლამო კომპანია ორ მილიონ დოლარს იხდის.

# პიკასო სამშობლოში



პრადოსა და მადრიდის დედოფალ სოფიას სახელობის მუზეუმში პაბლო პიკასოს გრანდიოზული გამოფენა გაიხსნა, რომელიც მხატვრის დაბადებიდან 125 წლისთავს ეძღვნება. გამოფენა საზეიმოდ გახსნა ესპანეთის მეფე ხუან კარლოს II-მ. ეს არის პიკასოს ყველაზე დიდი ექსპოზიცია მადრიდში და საერთოდ მსოფლიოში. ისტორიას არ ახსოვს პაბლოს შემოქმედების ამგვარი ფართო ექსპონირება.

საზოგადოებას 100 ნამუშევარზე მეტი წარუდგინეს. ექსპოზიცია მხატვრის შემოქმედების მთლიან ევოლუციურ ხაზს ასახავს, დაწყებული მისი „ცისფერი პერიოდიდან", კუბიზმით დასრულებული.

პრადოში ადგილი დაეთმობა იმის წარმოადგენას, თუ როგორ სწავლობდა პიკასო დიდი ესპანელი მხატვრების, ველასკესისა და გოიას ნამუშევრების მიხედვით. სოფიას სახელობის მუზეუმში კი მთავარი და თვალსაჩინო ადგილი „გერნიკას" და ომის საწინააღმდეგო სხვა აქცია-ნახატებს უკავიათ. როგორც „თაიმსი" იუწყება, ყველა ნამუშევარი დაახლოებით 2 მილიონ ევროდ არის დაზღვეული. რაც შეეხება ფართომასშტაბიან და ორნაწილიან გამოფენას, იგი დიდხანს, სავარაუდოდ, შემოდგომამდე გაგრძელდება.

# „ტრუბადურის" პრემიერა ოპერის თეატრში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 21 ივნისს ჯუზეპე ვერდის ოპერის „ტრუბადურის" პრემიერა გაიმართება.

ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის ზაზა აზმაიფარაშვილის განცხადებით, სპექტაკლი შვედეთის ქალაქ დალჰალას საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე წარსადგენად მზადდება.

„გარდა ამისა, „ტრუბადური" გამორჩეული მუსიკალური ღირებულებების სპექტაკლია და იგი აკადემიური თეატრის რეპერტუარში აუცილებლად უნდა იყოს", - განაცხადა აზმაიფარაშვილმა.

მისი თქმით, თბილისის ოპერის თეატრის მიწვევა შვედეთში მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტის დროს მოხდა.

ფესტივალის ორგანიზატორთა მოთხოვნის შესაბამისად, „ტრუბადურის" განხორციელებაზე ზაზა აზმაიფარაშვილი, ცნობილი ინგლისელი რეჟისორი ვერნონ მაუნდი და ინგლისელი მხატვარი კრის დევილდე მუშაობენ.

თბილისში „ტრუბადურის" საპრემიერო ჩვენებები 21, 23, 28 და 30 ივნისს გაიმართება.

*ინტერპრესნიუსი*




## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

(24) საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Toyota ახალ Prius - მოდელს უშვებს

იაპონურმა კომპანია Toyota-მ 500 ათასზე მეტი Prius მოდელის ავტომობილი გამოუშვა. ავტომწარმოებელმა, ბოლო ათი წლის მანძილზე ამ რაოდენობით, აღნიშნული მოდელის ავტომობილები პირველად გამოუშვა.

Toyota Prius პირველად 1997 წელს გამოვიდა. მან ჰიბრიდული აგრეგატის, ბენზინის ძრავა და ელექტრომოტორი გააერთიანა და ამ თვალსაზრისით პირველი სერიული ავტომობილის სტატუსიც მოიპოვა. 2003 წელს, კომპანიამ ამ ავტომობილის მეორე სერიული მოდელი წარმოადგინა, რომელიც დღესაც გამოდის.

მსოფლიოში Toyota-სა და Lexus-ის სხვადასხვა ჰიბრიდული მოდელები დიდი წარმატებებით სარგებლობს, დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოში 600 ათასი ასეთი მოდელია გაყიდული. "ჰიბრიდული" კონკურენციის თვალსაზრისით, საავტომობილო ბაზარზე კომპანია Toyota-ს კონკურენციას მხოლოდ Honda უწევს, თუმცა მისი გაყიდვების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და 150 ათასს არ აღემატება.

მიუხედავად გაყიდვების მატებისა, მსოფლიოში ჰიბრიდული ავტომობილების გაყიდვა დღემდე წამგებიანია. კომპანია Toyota იმედოვნებს, რომ "ჰიბრიდების" წარმოების თვალსაზრისით, კომპანია რენტაბელურ მაჩვენებელს 2008 წლისთვის მიაღწევს. ერთადერთი რამაც შესაძლოა, კომპანიის გეგმები შეაფერხოს, ეს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობაა, რომელიც ასეთი ავტომობილებს შესყიდვებზე, მისი პოპულარულობიდან საგადასახადო შეღავათებს გააუქმებს.

ლუკოილი ჩინეთისკენ მიიწევს

"გაზპრომი" მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიათა ათეულში მოხვდა

მსოფლიო დღეში 1,24 მილიონ ბარელ ნავთობს მოიხმარს B3

ფარული ინფლაცია B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3284 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9891 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4860 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7850 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8324 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1547 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3028 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3102 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2575 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4432 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3433 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1561 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1566 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2885 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1950 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2418 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3988 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5930 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,2455 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6040 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3391 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2883 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5719 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5997 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0661 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1214 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4261 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5519 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4607 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5674 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8564 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1748 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1485 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4405 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2445 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4486 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0799 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2227 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2300 |




# რეფორმები ელექტროენერგეტიკაში

ნუგზარ ხუჭუა
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

გაგრძელება. დასაწყისი №129

*2001 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით საქართველოში სულ პრივატიზებული იყო 35 დიდი და მცირე ელექტროსადგური. საკუთრების ფორმის შეცვლამ ელექტროსადგურებში მუშაობის გააქტიურება გამოიწვია, მაგრამ განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ელექტროსადგურების მეპატრონეები უმძიმესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. პირველი, ეს გახლდათ ფინანსური პრობლემები, რომელიც გამოწვეული იყო ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით. ეს მაჩვენებელი თბილისში 40-45 პროცენტის, ხოლო რეგიონებში 20-25 პროცენტის საზღვრებში მერყეობდა. სახსრების უქონლობის გამო ელექტროსადგურების მეპატრონეები ვერ უზრუნველყოფდნენ სადგურების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობას და შესაბამისად ელექტროენერგიის სტაბილურ გამომუშავებას. მეორე პრობლემა დაკავშირებული იყო არსებულ საგადასახადო სისტემასთან. სალტეებიდან გადაცემული ელექტროენერგია ეთვლებოდათ რა რეალიზებულად, ელექტროსადგურების მეპატრონეები ვალდებულები იყვნენ, გადაეხადათ გადასახადები, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაბამისი საჯარიმო თანხები. ყოველივე ამის გამო, ელექტროსადგურების მფლობელებისათვის ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო გაეჩერებინათ სადგურების მუშაობა.*




B4

# ბენდუქიძის პირველი მარცხი

## სავალუტო ფონდი მისი ინიციატივის ექსპერტიზას მოითხოვს

თინა შავაძე

*საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის ინიციატივით შემუშავებული კანონპროექტთა პაკეტის განხილვა გადადო. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კანონპროექტების (ცვლილებები კანონებში: კომერციული ბანკების შესახებ, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ) საერთაშორისო ექსპერტიზა მოითხოვა, რასაც პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძეც დაეთანხმა.*

- **არსებობს ევროდირექტივები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, სავალუტო ფონდი საქართველოსგან უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთისთვის დაწესებული ნორმების შესრულებას მოითხოვს.**
- **მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი ვარიანტით, გარიგებები ფასიანი ქაღალდებით შეიძლება მოხდეს, როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე მის გარეთაც. ამ ეტაპზე დავას პროექტში ჩადებული ეს ფორმულირება იწვევს.**


*ბენდუქიძეს პარლამენტარები არ ეთანხმებიან.*

B2

# ქართულ-იტალიური ბიზნესურთიერთობები

## რატომ არის საქართველო იტალიელებისთვის მიმზიდველი?

ეთერ მამულაშვილი

*იტალიელი ბიზნესმენების ინტერესი საქართველოს მიმართ წელს კიდევ უფრო გაიზარდა. ზოგიერთმა მათგანმა ქართველ კოლეგებთან ერთად რამდენიმე საინტერესო პროექტს ხელი უკვე მოაწერა. მოლაპარაკებები დღესაც გრძელდება. რა უპირატესობები აქვს საქართველოს ბაზარს იტალიელი მეწარმეებისთვის და რომელ სფეროებში აპირებენ ისინი ინვესტიციების დაბანდებას? ამ და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციას "24 საათი" ამ დღეებში აგროვებდა.*

გაგრძელება B3 გვერდზე

### 2005 წელს საქართველოდან იტალიაში ექსპორტირებული პროდუქცია

| პოზიციის დასახელება MKGE | 1000 აშშ დოლარი |
|---|---|
| სულ ექსპორტი | 9,271.7 |
| კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი | 7,752.5 |
| მანქანები ლითონების დასამუშავებლად | 302.0 |
| წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით | 257.4 |
| მოწყობილობები რეზინის ან პლასტმასის დასამუშავებლად | 206.0 |
| ხე-ტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, სისქით 6 მმ-ზე მეტი | 199.4 |
| ონკანები, სარქველები და ანალოგიური არმატურა მილგაყვანილობების, საქვაბეების | 178.6 |
| დახერხილი ხე-ტყე | 125.0 |
| 9301-9304 სასაქონლო პოზიციების ნაწარმის ნაწილები და საკუთნოები | 103.4 |
| ნაწილები განკუთვნილი 8425-8430 სასაქონლო პოზიციების დანადგარებისათვის | 52.4 |
| სამაგრი არმატურა, ფურნიტურა და ანალოგიური ნაწარმი არაძვირფასი ლითონებისაგან | 33.8 |
| ტყავი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ან ცხენების ოჯახის ცხოველების | 24.9 |
| სამშენებლო ნაწარმი ხისა | 15.8 |
| ტყავები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა ან ცხენების ოჯახის ცხოველებისა | 9.4 |
| დამხმარე მოწყობილობები და ნაწილები ტექსტილური და საბეჭდი მრეწველობისათვის | 3.6 |

| პოზიციის დასახელება MKGE | 1000 აშშ დოლარი |
|---|---|
| ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის შავი ლითონებისაგან | 2.5 |
| ყალიბები და ბოყვები; სასმხმელო ქვეშა; სასმხმელო მოდელი; ფორმები | 1.8 |
| რუკები გეოგრაფიული, ჰიდროგრაფიული და ნებისმიერი სხვა რუკები | 0.5 |
| ხალიჩები და იატაკის სხვა საფეიქრო საფარები, გაწყობილი ან გაუწყობელი | 0.4 |
| ინსტრუმენტი ხელის ელექტრომექანიკური ჩადგმული ელექტროძრავებით | 0.4 |
| ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები, ფურცლები და ანალოგიური ნაბეჭდი მასალები | 0.3 |
| საზომი ან საკონტროლო ხელსაწყოები | 0.3 |
| ხელის ინსტრუმენტების საცვლელი მუშა ინსტრუმენტები | 0.1 |
| ნაწარმი სხვა შავი ლითონებისაგან | 0.1 |
| დეტალები სამშენებლო, პლასტმასებისაგან | 0.1 |
| ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან | 0.1 |
| ხელის ხერხები | 0.1 |
| მზა წებოები | 0.1 |
| მანქანები და აპარატები ელექტრული შედუღებისათვის | 0.1 |
| ტრანსფორმატორები ელექტრული, სტატიკური ელექტრული გარდაქმნელები | 0.1 |
| ნათურები ვარვარის ელექტრული ან აირგანმუხტვის | 0.1 |

## უმუშევრების რაოდენობა 2006 წლის I კვარტალში 12,3 ათასი კაცით შემცირდა

სტატისტიკის დეპარტამენტი შრომის ბაზრის დასახასიათებლად უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) რეკომენდაციებსა და დეფინიციებს. შესაბამისად, საქართველოს შინამეურნეობებისა და სამუშაო ძალის ინტეგრირებული გამოკვლევების მონაცემებით, 2006 წლის I კვარტალში ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვმა (რომელიც მოიცავს მხოლოდ დასაქმებულებს და სამუშაოს აქტიურად მაძიებელ უმუშევრებს) 1925,1 ათასი კაცი შეადგინა და ეს მაჩვენებელი 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 60,7 პროცენტია. ანალოგიურ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხვმა 1643,1 ათასი კაცი შეადგინა.

2006 წლის I კვარტალის მონაცემებით, დასაქმების სტატუსის მიხედვით დასაქმებულთა 36 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო დანარჩენი 64 პროცენტი თვითდასაქმებულთა რიგს მიეკუთვნებოდა. უმნიშვნელოა განსხვავება სქესობრივ ჭრილში დაქირავებით დასაქმებულ ქალებსა და მამაკაცებს შორის: დაქირავებით დასაქმებული ქალები დასაქმებულთა 48 პროცენტს, მამაკაცები კი 52 პროცენტს შეადგენენ.

2006 წლის I კვარტალის მონაცემებით უმუშევართა რაოდენობამ (შსო-ს მკაცრი კრიტერიუმით - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დასაქმებული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას) 282,0 ათასი კაცი შეადგინა და 2005 წლის I კვარტალთან შედარებით (294.3 ათასი კაცი) 12,3 ათასი კაცით (4,2 პროცენტი) ნაკლებია. უმუშევრობის დონე კი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 14,6 პროცენტია, რაც გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 0,1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია:

| | 2005 წლის I კვარტალი | 2006 წლის I კვარტალი |
|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათასი კაცი) | 1999,4 | 1925,1 |
| უმუშევარი (ათასი კაცი) | 294,3 | 282,0 |
| უმუშევრობის დონე (პროცენტი) | 14,7 | 14,6 |

შრომის სტატისტიკის მონაცემების მიხედვით 2005 წელს საშუალო თვიური ხელფასი 204,2 ლარით განისაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით (156,8 ლარი) 47,4 ლარით მეტია.

## "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" მმართველები აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდნენ

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" (BSTDB) მმართველები ორშაბათს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მიიწვია. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, შეხვედრას საქართველოს მხრიდან BSTDB-ს მმართველი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ესწრებოდა. სებ-ის ინფორმაციით, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრისას საუბარი შეეხო შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, რეგიონში განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი პროექტების გლობალურ მნიშვნელობას. მათ შორის, საუბრისას აღინიშნა ის პროექტებიც, რომლებშიც საქართველო არის ჩართული და მომავალშიც მიიღებს მონაწილეობას. 11-12 ივნისს, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" მმართველთა საბჭოს რიგით მერვე წლიური სხდომა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების "ბიზნესდღე" გაიმართა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბაქოში საერთაშორისო კავკასიური კონფერენცია "ბანკინგი და ფინანსები" გაიხსნა

ბაქოში სამშაბათს საერთაშორისო კავკასიური კონფერენცია "ბანკინგი და ფინანსები" გაიხსნა. აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, კონფერენციის მუშაობაში 15 ქვეყნის 100-მდე წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას. სააგენტოს ცნობით, კონფერენციაზე 27 კომპანიაა წარმოდგენილი, საიდანაც 24 - აზერბაიჯანულია. ღონისძიების მხარდამჭერები არიან აზერბაიჯანის ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო და "აზერბაიჯანის ბანკების ასოციაცია". კონფერენცია 2-დღიანია და დღის წესრიგის მიხედვით, მასზე სიტყვით გამოვლენ მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების და საქმიანი წრეების წარმომადგენლები. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**




# ბენდუქიძის პირველი მარცხი

პირველი გვერდიდან

ბენდუქიძის ინიციატივა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ლიბერალიზაციას ისახავს მიზნად. ბენდუქიძე სახელმწიფოში მოქმედი რეგულირების მექანიზმების, გამარტივებას მოითხოვს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის გარკვეული სექტორების ნაკლები რეგულირება იყოს და მეწარმე-სუბიექტებს მეტი თავისუფლება მიეცეთ.

როგორი ფორმულირებით წარმოადგინეს ეს კანონპროექტებში? დადგენილი წესით, ქვეყანაში კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველი და მარეგულირებელი ორგანო ეროვნული ბანკია, ხოლო ეს ფუნქცია სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას აკისრია. ბენდუქიძის ინიციატივა, იდეაში, სწორედ რომ ამ ორი ორგანოს ფუნქციის შესუსტებასა და მეწარმე-სუბიექტების მეტ თავისუფლებას ისახავს მიზნად. მაგრამ საინტერესოა, რა შეიძლება მოჰყვეს ამ იდეის განხორციელებას და რამ გამოიწვია შეუთანხმებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

### რატომ გახდა სავალდებულო, კონფლიქტის ამოწურვისთვის, კანონპროექტთა პაკეტის საერთაშორისო ექსპერტიზა?

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს საფინანსო ინსტიტუტების (საბანკო და სადაზღვევო სისტემა, საფონდო ბირჟა) წარმომადგენლები მთავრობამ სასტუმრო "მარიოტში" სპეციალურ შეხვედრაზე დაპატიჟა. მაშინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ შეხვედრის მონაწილეებისგან საკმაოდ აგრესიული ტონით მოითხოვეს მთავრობის ახალ მოთხოვნებს დათანხმებოდნენ. საუბარი, ძირითადად, შეეხო ქვეყანაში საფონდო ბირჟის გარეთ გარე საბირჟო ვაჭრობების დაშვებას, ბანკებში საზედამხედველო კაპიტალის გაზრდას და კიდევ ბევრ სხვა საკვანძო საკითხებს, რომლებიც ახლა კანონპროექტების სახით პარლამენტში დევს.

მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი ვარიანტით, გარიგებები ფასიანი ქაღალდებით შეიძლება მოხდეს, როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე მის გარეთაც. ამ ეტაპზე დავას პროექტში ჩადებული ეს ფორმულირება იწვევს. დეპუტატები ამბობენ, რომ ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია სწორად აყენებს საკითხს იმის თაობაზე, რომ თუ საფონდო ბირჟის გარეთ, ბროკერის გარეშე მოხდა გარიგება, ამ შემთხვევაში გასაყიდი აქციების რაოდენობა და ფასი საფონდო ბირჟაზე უნდა დაფიქსირდეს, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაციის მიღების საშუალება იმის შესახებ, თუ რა ფასად იყიდება ესა თუ ის აქცია.

"24 საათთან" საუბარში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი თეიმურაზ კოპალეიშვილი ამბობს, რომ "საბოლოო განხილვის პროცესში თითქოს შეთანხმდნენ, რომ გარე საბირჟო გარიგების შესახებ ინფორმაცია ცნობილი იქნებოდა. მაგრამ მთავრობის მიერ ახლა შემოტანილი ვარიანტით, ასეთი გარიგება იმ შემთხვევაში გახდება ცნობილი, თუ მასში ათას ლარზე მეტი იქნება გადახდილი. ეს ვარიანტი დეპუტატებში გარკვეულ უარყოფით ემოციებს იწვევს. ასეთი წესის ამოქმედებას გარიგებების დანაწევრება შეიძლება მოჰყვეს, რის გამოც გაყიდული აქციის რეალური ფასი საფონდო ბირჟაზე არ დაფიქსირდება."

მიმდინარე წლის მაისში, როცა პარლამენტის საკომიტეტო მოსმენაზე კახა ბენდუქიძემ კანონპროექტთა პაკეტი პირველად წარადგინა, მაშინ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილების მიზეზი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობა გახდა. ბენდუქიძის განმარტებით, მისი სამიზნე გახდა საფონდო ბირჟაზე მოთამაშე სააქციო საზოგადოებებიდან ის 450 მეწარმე-სუბიექტი, რომლებიც აუტსაიდერები არიან და დღემდე აქციებს არ ყიდიან. ამიტომაც მათ უნდა მიეცეთ შანსი, საკუთარი სურვილისამებრ ივაჭრონ აქციებით, თუნდაც ეს მოხდეს გარე საბირჟო გარიგებებით, რასაც მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს. ამავე დროს, ისინი არ უნდა იყვნენ ვალდებულები, ანგარიშები ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას წარუდგინონ, რადგან ეს უფრო ქაღალდომანიის თამაშს ჰგავს, ვიდრე რეალურად საქმის კეთებას.

მეორე სადავო საკითხია ცვლილებები კანონში "ეროვნული ბანკის შესახებ". მოქმედი კანონმდებლობით, სავალუტო ჯიხურების საქმიანობას ეროვნული ბანკი არეგულირებს და ჯიხურის გახსნას გარკვეული პარამეტრების დაკმაყოფილება სჭირდება. ბენდუქიძე ამ პარამეტრების მოხსნას მოითხოვდა, თუმცა მთავრობის ბოლო ვარიანტში ტექნიკური პარამეტრები სავალუტო ჯიხურის გახსნისთვის კვლავ გაჩნდა.

რაც შეეხება კომერციული ბანკების საქმიანობას, თუ აქამდე კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შემძენი ვალდებული იყო, ნებართვა ეროვნული ბანკისგან წინასწარ მიეღო, ეს მოთხოვნა მთავრობის მიერ წარდგენილ ვარიანტში მოხსნილია. მაგრამ თუ ასეთი გარიგება შედგება, ამის შესახებ ბანკმა და მყიდველმა ათი დღის განმავლობაში უნდა შეატყობინოს ეროვნულ ბანკს.

### რატომ მოითხოვა სავალუტო ფონდმა ბენდუქიძის კანონპროექტთა პაკეტის საერთაშორისო ექსპერტიზა?

არსებობს ევროდირექტივები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, სავალუტო ფონდი საქართველოსგან უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთისთვის დაწესებული ნორმების შესრულებას მოითხოვს.

რა სახის გარიგება რა შემთხვევაში უნდა დაექვემდებაროს ფინანსურ მონიტორინგს - ამ საკითხს ქვეყანაში სათანადო კანონმდებლობა არეგულირებს. მაგრამ სადავო საკითხი პირის იდენტიფიკაციის შესახებ მთვარობას და პარლამენტს შორის მაინც გაჩნდა. მოქმედი კანონმდებლობა პირის იდენტიფიცირებისთვის გარკვეული დოკუმენტების წარდგენას ითხოვს. ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაჩნია, რომ ეს დოკუმენტები სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს გაცემული, რადგან ის ახდენს პირის იდენტიფიცირებას. თუმცა ბენდუქიძის ვარიანტით, პირის იდენტიფიცირება, საბანკო ანგარიშის გახსნის ან გარიგების დროს, უნდა მოხდეს რაღაც საშუალებით და ეს საშუალება თავად კომერციულმა ბანკმა უნდა დაადგინოს. ამ საკითხზე შეთანხმება არ არის მიღწეული. შეთანხმება მიღწეულია მხოლოდ ერთ საკითხში - პირის იდენტიფიკაცია სავალდებულო იქნება 3 ათას ლარს ზემოთ დადებული გარიგების შემთხვევაში.

# საგადასახადო დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გუშინ საკადრო ცვლილებები განხორციელდა. მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებს და ინსპექციების უფროსებს ახალი ხელმძღვანელი - კახა ბაინდურაშვილი წარუდგინა. საგადასახადო დეპარტამენტის უკვე ყოფილი თავმჯდომარე ვაჟა პეტრიაშვილი ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა.

ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, განვლილი პერიოდი გარდამტეხი იყო ქვეყნის ფისკალური სამსახურებისათვის, მათ შორის, საგადასახადო დეპარტამენტისათვის, რადგან საბიუჯეტო შემოსავლების გადაჭარბებით მობილიზების პარალელურად, მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილებები მიმდინარეობდა.

**"დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა გადამხდელზე ორიენტირებული ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნა, როცა კეთილსინდისიერი ბიზნესის მომსახურებისათვის ყველა საჭირო პირობა იქნება შექმნილი,"** - განაცხადა ალექსი ალექსიშვილმა. მისი თქმით, ორივე საკადრო ცვლილება რეფორმების ნაწილია და ის კიდევ უფრო დააჩქარებს სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციურ ცვლილებებს.



*ახალი ხელმძღვანელი მინისტრმა წარადგინა.*

საგადასახადო დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის კახა ბაინდურაშვილის განცხადებით, საგადასახადო სისტემა დღეიდან ორი ძირითადი მიმართულებით იმუშავებს: გადამხდელისათვის მომსახურების მაქსიმალურად გამარტივება, თანამედროვე სერვის-ცენტრების შექმნა და სამოქალაქო სექტორის ჩართვა სისტემაში მიმდინარე რეფორმების პროცესში.

საგადასახადო დეპარტამენტში დანიშვნამდე კახა ბაინდურაშვილი ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არის განვითარებადი ეკონომიკის მაგისტრი, 2004-2005 წლებში იყო პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში.

დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ვაჟა პეტრიაშვილი სისტემას ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მანამდე, 2005 მარტიდან 2005 ივნისამდე იყო ფინანსთა მინისტრის მოადგილე. ახალი საკადრო გადაადგილების შემდეგ ვაჟა პეტრიაშვილი ალექსი ალექსიშვილის მეექვსე მოადგილედ დაინიშნა. იგი სამინისტროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან - მაკროეკონომიკისა და ფინანსური პოლიტიკის მიმართულებებს გაუწევს კურატორობას.

*24 საათი*

# ბრიტანეთის ავიახაზები ინგლისის საფეხბურთო გუნდის ოფიციალური გადამყვანი ავიაკომპანიაა

ინლისელებისა და სხვა მრავალი ქვეყნის გულშემატკივართა საყვარელი ფეხბურთელები 5 ივნისს გერმანიის მიმართულებით ბრიტანეთის ავიახაზებმა წაიყვანა.

აღსანიშნავია, რომ ფრენა შეასრულა ა 320 აერობუსის ტიპის თვითმფრინავმა, რომელსაც ერქვა ძერის სიამაყე" და მასზე გუნდის სიმბოლო იყო გამოსახული. ინგლისის გუნდის ფეხბურთელების ბორტზე სასიამოვნო და რაც მთავარია, წამახალისებელი სიურპრიზი დახვდათ - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივართა მესიჯები, რომლებიც გაგზავნილი იქნა ბრიტანეთის ავიახაზების ვებ-გვერდის მეშვეობით: www.ba.com/football მოკითხვის მესიჯების გაგზავნა ინგლისელი ფეხბურთელებისთვის შეუძლია ყველას ბრიტანეთის ავიახაზების მეშვეობით.

მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში ბრიტანეთის ავიახაზების მგზავრების რიცხვი გერმანიის რეისებზე 20 პროცენტით გაიზარდა. ყოველდღიურ განრიგს შვიდი ფრენა დაემატა და მგზავრებს ჩვეულებრივზე დიდი თვითმფრინავი მოემსახურება.

ბრიტანეთის ავიახაზების კომერციული დირექტორი, მარტინ ჯორჯი: **"მოხარულები ვართ, რომ ჩვენი ავიაკომპანია ინგლისის საფეხბურთო გუნდის ოფიციალური გადამყვანია. ჩვენი თანამშრომლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ფეხბურთელები გაამხნევონ და გამარჯვებაში მორალურად დაეხმარონ. იმის გამო, რომ ხუთი კვირის მანძილზე გერმანიაში მიმავალი გულშემატკივრების რიცხვი მუდმივად გაიზრდება, ჩვენს ფრენებს დაემატა კიდევ 2,200 ადგილი. აეროპორტში საგანგებოდ მოვაწყვეთ მსოფლიო თასის დარბაზი, სადაც მგზავრებს გაფრენამდე მატჩების ნახვა შეეძლებათ, ხოლო ფრენის დროს ანგარიშის შესახებ ინფორმაციას ეკიპაჟის წევრები მიაწვდიან."**

ეკიპაჟის კაპიტანი, პოლ სმაილი, (41 წლის, ნიუკასლის თანი): ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ინგლისის ნაკრების თვითმფრინავის კაპიტანი რომ ვარ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, ასეთ სახელგანთქმულ ფეხბურთელებს თუ მოვემსახურებოდი.

## Visa International-ის სპეციალისტები თბილისში 2-დღიან სასწავლო კურსს ატარებენ

Visa Business School-ი ბანკების თანამშრომლებისათვის, Visa პლასტიკური ბარათების სფეროში ცოდნის გაღრმავების მიზნით, თბილისში 2-დღიან სასწავლო კურსს აწყობს. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს Visa International-ის დსთ-ს ქვეყნების რეგიონალურმა მენეჯერმა სვეტლანა გეორბელიძემ აცნობა, სასწავლო კურსს, რომლის სახელწოდებაა "Visa საკრედიტო ბარათების პორტფელის ეფექტიანი მართვა", Visa International-ის ლონდონის ოფისის სპეციალისტები წარუძღვებიან და მასში ქართველი ბანკირების გარდა, აზერბაიჯანის და მოლდოვის საბანკო სფეროების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. "სასწავლო კურსის თემატიკა შემთხვევით არ არის შერჩეული, ვინაიდან დსთ-ს ქვეყნების საბანკო სფეროების წარმომადგენლები უკანასკნელ ხანს დიდ ინტერესს იჩენენ Visa პლასტიკური ბარათების მიმართ. მხოლოდ საქართველოში დღეისათვის 300 ათასი Visa პლასტიკური ბარათია მიმოქცევაში. ბანკები საკუთარ კლიენტებს პლასტიკურ ბარათებს სთავაზობენ არა მარტო ხელფასის მისაღებად, არამედ კომუნალური გადასახადების დასაფარად. ჩვენ რეგულარულად ჩავატარებთ მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებს ბანკირებისა და სტუდენტებისათვის, ამ სფეროში მათი ცოდნის გაღრმავების მიზნით. მორიგი სემინარი 20-21 ივნისს ბაქოში გაიმართება, რომელიც ჩიპურ პლასტიკურ ბარათებს მიეძღვნება," - განაცხადა გეორბელიძემ. თბილისში სემინარი 13-14 ივნისს სასტუმრო "მარიოტში" გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ზურაბ ნოღაიდელი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამშაბათს სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც ნატო-სა და ევროპის კავშირის წარმომადგენლებს შეხვდება. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან აცნობეს, ნატო-ს შტაბბინაში ზურაბ ნოღაიდელს ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალესანდრო მინუტო რიზო მიიღებს. ამასთან, პრემიერ-მინისტრი გახსნის საქართველოსადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას, რომელიც ნატო-ში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით მოეწყობა. ზურაბ ნოღაიდელი გამართავს შეხვედრებს ევროპის კავშირის გენერალურ მდივანთან ჰავიერ სოლანასთან, კომისართან ენერგეტიკის საკითხებში ანდრის პიბალგსთან, ასევე კომისართან საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერთან და ვაჭრობის საკითხებში კომისართან პიტერ მანდელსონთან. 14 ივნისს გაიმართება ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციისადმი მიძღვნილი დონორთა კონფერენცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე კარელ დე გუხტი გახსნიან. პრემიერ-მინისტრი საქართველოში 15 ივნისს დაბრუნდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოს ევროკომისიის დელეგაცია ეწვევა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღვინისა და სპირტის პროდუქციით ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების მოსამზადებლად თბილისში ევროკომისიის დელეგაცია ჩამოვა. როგორც პრაიმნიუს ბიზნესს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, დელეგაცია, 16 მაისს საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმატებით ჩატარებული მე-3 რაუნდის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვალერი ჩეჩელაშვილის მოწვევით ჩამოვა. სამინისტროს ინფორმაციით, დელეგაციას ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და ევროპის თავისუფალი სავაჭრო სივრცის (EFTA) სამმართველოს უფროსი ნიკოლა ვერლე უხელმძღვანელებს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღვინისა და სპირტის პროდუქციით ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმება სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დაარეგულირებს მხარეების მიერ ღვინის პროდუქციის გეოგრაფიულ აღნიშვნათა და ადგილწარმოშობის დასახელებათა ურთიერთაღიარებასა და დაცვას, რაც ევროპულ ბაზარზე ქართული ღვინის ფალსიფიცირების შემთხვევებს მინიმუმამდე დაიყვანს. [illegible] ექსპორტის წახალისებისთვისაც. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ლუკოილი ჩინეთისკენ მიიწევს

ნავთობკომპანია ლუკოილი ჩინეთში სპეციალური კონსორციუმის შექმნას აპირებს. კომპანიის ეს ინიციატივა არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ფაქტორებით არის განპირობებული.

კომპანია ლუკოილის ხელმძღვანელი ვაგიტ ალეკპეროვის აზრით, ჩინეთის ბაზრის ათვისების მიზნით, ნავთობკომპანიების გაერთიანება აუცილებელი პირობაა. "დადგა დრო, რომ ჩინეთში კონსორციუმი ჩამოვაყალიბოთ. ჩვენი კომპანია ასეთ პროექტებში მონაწილეობით ყოველთვის დაინტერესებული იყო. ამასთან ერთად, ლუკოილი ნავთობის გადამუშავების თვალსაზრისით რამდენიმე პერსპექტიულ ვარიანტს განიხილავს.",- განაცხადა კომპანიის მეთაურმა პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე.

კომპანია ლუკოილში ეს ინფორმაცია დაადასტურეს, თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ამ ეტაპზე კომპანია კონსორციუმის შექმნის არც ერთ სერიოზულ გეგმას არ განიხილავს. ამის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ლუკოილის ხელმძღვანელის განცხადება უფრო პოლიტიკურია ვიდრე ეკონომიკური. საქმე იმაშია, რომ კომპანიის დასავლური გზებით სიარული ხელისუფლების ინიციატივაა, რასაც თავად კომპანია სიამოვნებით დათანხმდა. სანაცვლოდ კომპანია ხელისუფლებისგან დიდ მხარდაჭერას ელის.

თუმცა ლუკოილი, ჩინეთთან ინტეგრაციის მსურველი ერთადერთი კომპანია ნამდვილად არ არის. ექსპერტები აცხადებენ, რომ მსგავსი კონსორციუმების შექმნის ინიციატივით პერიოდულად არაერთი კომპანია გამოსულა. "ჩინეთი უზარმაზარი ბაზარია.თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსახლეობის რიცხვი ელვის სისწრაფით იზრდება. ეს იმხელა ბაზარია, რომ ნავთობით მოვაჭრე ყველა კომპანიას დაიტევს. შემოთავაზებები კი წინადადებებზეა დამოკიდებული."- აცხადებენ ექსპერტები.

იმ შემთხვევაში, თუ რუსული კომპანიები გაერთიანდებიან და ერთიან დაწესებულებას შექმნიან, მაშინ ჩინეთისთვის მათთან თანამშრომლობა ბევრად უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე სხვა პარტნიორებთან.

კომპანიის ოფიციალური მხარე ამ საკითხებზე ლაპარაკისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. ექსპერტები ლუკოილის იდეას დაზღვევის კვალიფიკაციას აძლევენ. "ნებისმიერი გაერთიანება რაღაც მიზანს ემსახურება. ეს კი თავის მხრივ რისკსა და დანახარჯებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება კომპანია ლუკოილს, მას ქვეყნის ფარგლებს გარეთ არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული. ეს გამოცდილება კი კომპანიას ჩინეთის ბაზრის უმტკივნეულოდ დაპყრობის გარანტიებს აძლევს.

ლუკოილის ინიციატივას კიდევ სხვა ახსნაც მოეძებნება. ცნობილია, რომ რუსული ენერგორესურსების აღმოსავლეთში ექსპანსია ეროვნულ ენერგეტიკულ სტრატეგიაში შედის. ამ თვალსაზრისით, კი ნავთობის შეტანა ჩინეთში ხელისუფლებისგან მოწონებულია.

## "გაზპრომი" მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიათა ათეულში მოხვდა

Financial Times-ის ინფორმაციით, რუსული ბუნებრივი აირის კონცერნი "გაზპრომი", რომლის საბაზრო კაპიტალიზაცია FT 500-ია, მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიათა რეიტინგში მეათე ადგილზე გავიდა. ერთი წლის განმავლობაში კომპანიამ მოახერხა და რეიტინგში 48-ე პოზიციაზე ავიდა. FT-ს სპეციალისტებმა რუსული ბუნებრივი აირის კონცერნი 196, 338 მილიარდ დოლარად შეაფასეს. "გაზპრომის" შემდეგ, მე-9 პოზიცია Toyota Motor-მა დაიკავა.

რეიტინგში პირველ ადგილზე კომპანია exxon Mobil გავიდა. მისი კაპიტალიზაცია 371,63 მილიარდი დოლარია. მან კომპანია General Electronic-ის სულ რაღაც 9 მილიარდით გაუსწრო. მესამე და მეხუთე ადგილები Microsoft-მა, Citigroup-მა და BP დაიკავა.

აღნიშნულ რეიტინგში, 76-ე ადგილზე "გაზპრომის" გარდა კომპანია "ლუკოილიც" მოხვდა. ბოლო ერთი წლის მანძილზე, აღნიშნულმა კომპანიამ 110-ე ადგილამდე მიაღწია. მისი კაპიტალიზაცია ამ ეტაპზე 70,77 მილიარდ დოლარს შეადგენს. Financial Times -ის რეიტინგში სატელეკომუნიკაციო კომპანია MTC ვერ მოხვდა. ის სიაში 444-ე ადგილზე იმყოფებოდა.

# ქართულ-იტალიური ბიზნესურთიერთობები

პირველი გვერდიდან

იტალიელებმა საქართველოში ბიზნესის საკეთებლად ნიადაგი ჯერ კიდევ ორი წლის წინ, 2004 წელს მოსინჯეს. როგორც ჩანს, მათთვის აქაური გარემო მისაღები აღმოჩნდა, რამაც იტალიელ საქმოსნებს ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების ჩადებისკენ უბიძგა. ბუმრობით ამბობენ, რომ იტალიელებისთვის საქართველოს ბაზარი და ბიზნესკლიმატი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარ სამშობლოში.

ბოლო რამდენიმე წელია, იტალიაში ერთი მეტად უცნაური ტენდენცია იკიდებს ფეხს. ადგილობრივი ბიზნესმენები ფულის კეთებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში იწყებენ. ტუნისი, მაროკო, ეგვიპტე, რუმინეთი და სირია - ეს ის ქვეყნებია, სადაც იტალიელებმა ადგილობრივი ბაზარი ძალიან კარგად, არცთუ დიდი ხნის წინ, აითვისეს.

ამ სახელმწიფოებში ათობით იტალიური საწარმო და კომპანია მუშაობს, რომელთა მიერ წარმოებული საბოლოო პროდუქტი, იტალიის გარდა, ევროპის სხვადასხვა ბაზრებზე წარმატებით იყიდება.

მაგალითად, ცნობილი იტალიური ყველის მოცარელას დიდი ნაწილი რუმინეთში მზადდება, რომელსაც შემდეგ იტალიელები საკუთარ სამშობლოში ფუთავენ და, უკვე აქედან, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს ამარაგებენ.

ინვესტიციების დასაბანდებლად სახელმწიფოებს ისინი, ძირითადად, შემდეგი კრიტერიუმებით არჩევენ: იაფი მუშახელი, დაბალი საგადასახადო განაკვეთები და ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე. ეს ყველაფერი კი იტალიელების ბიზნესს მაღალრენტაბელურს ხდის. მაგალითად, ტუნისში მათი წლიური მოგება 300 პროცენტამდე აღწევს.

300 არა, მაგრამ, როგორც ქართველი ექსპერტები ამბობენ, 200-პროცენტიანი წლიური მოგება იტალიელებს საქართველოში გარანტირებული აქვთ.

ამის იმედი რომ არ ჰქონოდათ, იტალიელი ბიზნესმენები ქართველ კოლეგებში პარტნიორების ძიებას, ალბათ, არც დაიწყებდნენ და შესაბამის კოტრაქტებსაც არ გააფორმებდნენ. ასეთთა რიცხვი კი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე ათამდე გაიზარდა.

სანამ უშუალოდ ქართულ-იტალიური ბიზნესპროექტების შესახებ გიამბობდეთ, თავდაპირველად გეტყვით, თუ როგორ დაინტერესდნენ იტალიელი მეწარმეები საქართველოთი.

საქართველოს საინვესტიციო გარემოთი დაინტერესება და აქ ბიზნესის კეთების სურვილი იტალიელებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც "იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტი", ანუ იგივე IGEPP-ი გააქტიურდა. ეს პროექტი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას და საქართველოში იტალიური ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებს და ის 2004 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო. ამ პროექტის საერთო ღირებულება 430 ათასი ევროა და 18 თვე გაგრძელდება. პროექტის ნახევარს იტალიის მთავრობა, უფრო ზუსტად, მრეწველობის სამინისტრო აფინანსებს. მეორე ნახევრის დაფინანსება კი საკუთარ თავზე ამ პროექტის კოორდინატორებმა, იტალიიდან - კაზერტას პროვინციის მეწარმეთა კავშირმა და საქართველოდან - ბიზნესმენთა ფედერაციამ საკუთარ თავზე აიღეს.

ქვემოთ მოყვანილი ქართულ-იტალიური ბიზნესპროექტები სწორედ ხსენებული IGEPP პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

■ ■ ■

სულ ცოტა ხნის წინათ თბილისის 31-ე ქარხანამ ანუ იგივე "თბილავიამშენმა" ერთ-ერთი მსხვილი იტალიური ბიზნესჯგუფისგან ენერგოგენერაციისთვის საჭირო ტურბინებზე მსხვილი დაკვეთა მიიღო. კონტრაქტზე ხელი უკვე მოწერილია და შეკვეთილი პროდუქციის პირველი პარტია იტალიაში მომდევნო რამდენიმე კვირაში ჩავა. საქართველოში წარმოებული ტურბინების გარკვეული ნაწილის გატანა იტალიელ ბიზნესმენებს ევროპულ ბაზრებზე აქვთ გადაწყვეტილი.

■ ■ ■

კიდევ ერთი წარმატებული ქართულ-იტალიური ბიზნესპროექტი, რომელიც ძალაში სულ მალე შევა საინტერესო იმით არის, რომ იტალიელებმა პარტნიორებად ბათუმელი კოლეგები აირჩიეს. საუბარია ბათუმში მყვინთავთა ახალი ცენტრის შექმნის შესაძლებლობაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება MARES-ის მიერ წარმოებული მყვინთავთათვის საჭირო თანამედროვე აპარატურით. აღსანიშნავია, რომ MARES-ი არა მარტო იტალიაში, არამედ მთელს ევროპაში წარმოადგენს ლიდერ კომპანიას წყალქვეშა საზღვაო აპარატურის წარმოების დარგში. სწორედ ამ კომპანიამ აჭარაში რეგისტრირებულ "სოლარ-ჯორჯიასთან" გააფორმა კონტრაქტი. გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი MARES-ის მის მიერ წარმოებული პროდუქციას მიიღებს, "სოლარ-ჯორჯიას" მიენიჭა მათი ნაწარმის დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება მთელს ამიერკავკასიაში.

■ ■ ■

რომ არა მეღვინეობა-მევენახეობის ცნობილი იტალიელი ექსპერტი, რომელიც, ამავდროულად, მსოფლიო მეღვინეების ასოციაციის საპატიო წევრია, ალბათ, ქართველ მეწარმეებს ადგილობრივი ღვინის ჩინეთის ბაზარზე გატანა კიდევ დიდხანს გაუჭირდებოდათ. ამ ცოტა ხნის წინ კი მან ჩინელ დისტრიბუტორებთან შეთანხმებას მიაღწია, და დაახლოებით ერთი კვირის წინ ქართველი მეღვინეების წარმოებული 45 ათასი ტონა პროდუქტი ჩინეთში ჩაიტანა. ამბობს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და ქართული ღვინო ჩინეთის ბაზარზე ცოტა ხანში სერიოზულ გარღვევას მოახდენს.

■ ■ ■

სულ მალე თბილისის "ბუტიკების" რიცხვს კიდევ ერთი შეემატება, თუმცა ის საკუთარი მასშტაბებით, გასაყიდი პროდუქციის ხარისხითა და ფასით რადიკალურად განსხვავებული იქნება. ერთ-ერთ იტალიურ დისტრიბუტორ კომპანიას ექსკლუზიური კონტრაქტი აქვს გაფორმებული ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვადასხვა აქსესუარების მწარმოებელ ცნობილ იტალიელ ბრენდებთან. ქართველ კოლეგასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად ის ახალ მაღაზიას იტალიური ნაწარმით მომარაგებს.

■ ■ ■

უახლოეს თვეებში საქართველოში ბინას კიდევ ერთი მსხვილი იტალიური კომპანია დაიდებს, უფრო ზუსტად, მას აქ საკუთარი წარმომადგენლობის გახსნა აქვს გადაწყვეტილი. ეს არის კომპანია, რომელიც სხვადასხვა ტიპის საწარმოებს, კომპანიებს თუ ორგანიზაციებს უტარებს აუდიტს და გასცემს ISO სერტიფიკატს როგორც პროდუქციის ხარისხსა და უსაფრთოხებაზე, ასევე ამა თუ იმ დამკვეთის მენეჯმენტის თაობაზე. ქართველი ექსპერტები ამბობენ, რომ ამ კომპანიის საქართველოში დაფუძნება ქართველ მეწარმეებს და, განსაკუთრებით კი, ექსპორტიორებს დიდ დახმარებას გაუწევს ქართული პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე მოსახვედრად.

■ ■ ■

მართალია, ჯერ შეთანხმება არ მიღწეულა, მაგრამ ქუთაისის ფეხსაცმელების ფაბრიკა აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს ერთ-ერთ იტალიურ ფირმასთან, რომელიც მცირე და საშუალო ქარხნებს ფეხსაცმლის საწარმოო დანადგარებით ამარაგებს. დაახლოებით ამ ერთი კვირის წინ ქუთაისელ მეწაღეებს იტალიელებთან შეხვედრა ჰქონდათ, თუმცა ის კვლავაც კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია მზად არის, სურვილის შემთხვევაში ქუთაისელ მეწარმეებს დანადგარის ლიზინგით შეძენაში ან შეღავათიანი კრედიტის მოძიებაში დაეხმაროს.

■ ■ ■

ცოტა უფრო შორეულ პერსპექტივაზეა გათვლილი ის ქართულ-იტალიური პროექტი, რომელიც ენერგოუსაფრთხოებას უკავშირდება. კერძოდ, საუბარია თხევადი ბუნებრივი აირისათვის საჭირო სხვადასხვა ტექნიკასა და აღჭურვილობაზე, რომლის წარმოებაში იტალიელებს, როგორც ამბობენ, ბადალი არ ჰყავთ. თავდაპირველად ეს კომპანია საქართველოს ბაზარზე საკუთარი ნაწარმის რეალიზაციას მოახდენს, თუმცა მომდევნო ეტაპზე დაგეგმილი აქვთ ამ პროდუქციის ადგილზე წარმოება. მართალია, ქართველი პარტნიორები მათ ჯერ შერჩეული არ ჰყავთ, თუმცა როგორც ბიზნესმენთა ფედერაციაში ვარაუდობენ, ეს იქნება "თბილავიამშენი", რადგან საქართველოში ის, პრაქტიკულად, ერთადერთი საწარმოა, სადაც ამის რესურსი და ბაზა გააჩნიათ.

■ ■ ■

ცნობისათვის: საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, საქართველოს პარტნიორ სახელმწიფოებს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში იტალიას მე-11 ადგილი უკავია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საქართველოს წელს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა, ანუ იტალიიდან იმპორტირებული საქონლის მოცულობა ექსპორტს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. უფრო კონკრეტულად: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში, ჩვენს ქვეყანაში იტალიიდან 21 მილიონ 512 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შემოვიდა, საქართველოდან იტალიაში ექსპორტის მოცულობამ კი ანალოგიურ პერიოდში მხოლოდ 9 მილიონ 270 ათასი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტირებულ პროდუქციას შორის პირველ ადგილზეა კაკალი, რასაც ფეროშენადნობები, მინერალური წყლები და დახერხილი ხე-ტყის მასალა მოსდევს. იმპორტს შორის კი - მზა ტანსაცმელი, სანტექნიკა, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საკვები პროდუქტები და მსუბუქი ავტომობილები ჭარბობს.

**საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2006 წლის იანვარ-აპრილის მდგომარეობით იმპორტის შემთხვევაში**

| | ქვეყანა | 1000 აშშ დოლარი |
|---|---|---|
| 1 | რუსეთის ფედერაცია | 175,576.0 |
| 2 | თურქეთი | 117,242.5 |
| 3 | გერმანია | 97,821.6 |
| 4 | აზერბაიჯანი | 74,638.2 |
| 5 | უკრაინა | 74,003.5 |
| 6 | ბულგარეთი | 43,098.0 |
| 7 | აშშ | 35,872.2 |
| 8 | არაბთა გაერთიანებული საამიროები | 28,702.3 |
| 9 | თურქმენეთი | 24,815.0 |
| 10 | საფრანგეთი | 23,778.7 |
| 11 | ჩინეთი | 23,390.6 |
| 12 | **იტალია** | **21,514.0** |
| 13 | გაერთიანებული სამეფო | 20,472.3 |
| 14 | ნიდერლანდები | 19,139.6 |
| 15 | შვეიცარია | 13,981.2 |
| 16 | სომხეთი | 12,888.6 |
| 17 | ისრაელი | 12,799.7 |
| 18 | რუმინეთი | 12,450.4 |
| 19 | ბელგია | 11,227.4 |
| 20 | იაპონია | 9,388.3 |

**საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2006 წლის იანვარ-აპრილის მდგომარეობით ექსპორტის შემთხვევაში**

| | ქვეყანა | 1000 აშშ დოლარი |
|---|---|---|
| 1 | რუსეთის ფედერაცია | 47,408.7 |
| 2 | თურქმენეთი | 44,379.2 |
| 3 | თურქეთი | 25,496.8 |
| 4 | აშშ | 23,366.3 |
| 5 | აზერბაიჯანი | 20,267.6 |
| 6 | უკრაინა | 18,211.1 |
| 7 | სომხეთი | 18,069.3 |
| 8 | ბულგარეთი | 15,457.5 |
| 9 | კანადა | 13,437.0 |
| 10 | გაერთიანებული სამეფო | 10,704.2 |
| 11 | **იტალია** | **9,271.7** |
| 12 | გერმანია | 9,021.7 |
| 13 | სეიშელის კუნძულები | 5,595.0 |
| 14 | ყაზახეთი | 4,072.0 |
| 15 | სერბია და მონტენეგრო | 3,888.1 |
| 16 | ესპანეთი | 3,020.3 |
| 17 | ჩინეთი | 2,758.0 |
| 18 | მექსიკა | 2,677.3 |
| 19 | არაბთა გაერთიანებული საამიროები | 1,756.8 |
| 20 | ბელგია | 1,637.7 |

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ კლებაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. მიუხედავად ნავთობის ფასების კლებისა, ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ინფლაციისა და ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის საშიშროებამ და მაკროეკონომიკურმა სიახლეებმა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,16 პროცენტით, 10.775,05 პუნქტამდე შემცირდა. 0,17 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.087.67 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,32 პროცენტით, 1.232,42 პუნქტამდე მოიკლო.










## მეტეოროლოგთა პროგნოზმა ნავთობი გააიაფა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების საგრძნობი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 68,23 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 68,72 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ნავთობის გაიაფების მიზეზი ბაზარზე "შავი ოქროს" მიწოდების მოცულობის გაზრდა გახლდათ. გარდა ამისა, სინოპტიკოსთა ცნობით, რომ კარიბის ზღვაში ჩამოყალიბებული შტორმი "ალბერტო" ჭაბურღილებს გვერდს აუვლის და მექსიკის ყურეში ნავთობის მოპოვებას ხელს ვერ შეუშლის. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ სტიქია ვერაფერს დააკლებს ლუიზიანასა და ტეხასში მდებარე ნავთობმომპოვებელ ობიექტებს.

შედეგად, ოპეკის "ნავთობის კალათის" ფასმა 64,57 დოლარი/ბარელი შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## მსოფლიო დღეში 1,24 მილიონ ბარელ ნავთობს მოიხმარს

მსოფლიოს ენერგეტიკული სააგენტოს ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით ნავთობის ყოველდღიური მოხმარება საგრძნობლად გაიზრდება და მიმდინარე წელს 1,24 მილიონ ბარებს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ექსპერტები ადრე უფრო მაღალ მაჩვენებელს, დღეში 1,24 მილიონ ბარელს ვარაუდობდნენ.

სააგენტოს წარმომადგენელთა აზრით, ნავთობის მოხმარების განსაკუთრებული ზრდა აშშ-ს და ჩინეთში დაფიქსირდება და გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. ნავთობის გამოყენების ზრდის სტიმულად რჩება მზარდი ეკონომიკა, თუმცა, რომ არა მაღალი ფასი, მსოფლიო კიდევ მეტ ნავთობს გამოიყენებდა.

## Mittal Steel 25,8 მილიარდ ევროზე მეტს არ გადაიხდის

მსოფლიოს უმსხვილესმა მეტალურგიულმა კონცერნმა Mittal Stell Co-მ ევროპული კონკურენტის Arcelor-ის შესაძენად ახალი წინადადების გაკეთებაზე უარი თქვა. ამით ინდურმა კონცერნმა პასუხი გასცა ევროპული კომპანიის ხელმძღვანელთა გუშინწინდელ განცხადებას, რომლებმაც აქციონერებს რუსულ "სევერსტალთან" შერწყმის მხარდაჭერისაკენ მოუწოდეს და თანაც აღნიშნეს, რომ Mittal Steel-თან მოლაპარაკებას უკეთესი წინადადების გაკეთების შემთხვევაში განაახლებს. მაგრამ, ინდური კონცერნის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ფინანსური წინადადების გაუმჯობესებას არ აპირებენ და რომ 25,8 მილიარდი ევრო (33 მილიარდი დოლარი), რომელსაც Arcelor-ის ხელმძღვანელობამ "არაადეკვატური" უწოდა, საბოლოო თანხაა. ამასთან, Mittal Steel-ის წარმომადგენლებმა Arcelor-ის და "სევერსტალის" გარიგებას "ფიქტიური" უწოდეს. ასე რომ, Arcelor-ის ბედი საბოლოოდ აქციონერთა კრებაზე გაირკვევა, რომელიც ივნისის ბოლოს გაიმართება.

## გასულ წელს შეიარაღებაზე სარეკორდო თანხა დაიხარჯა

სტოკჰოლმის მშვიდობის ინსტიტუტის მონაცემებით, 2005 წელს მთელს მსოფლიოში შეიარაღებასა და თავდაცვაზე სარეკორდო თანხა - 1 ტრილიონ 118 მილიარდ 729 მილიონი დოლარი (დაახლოებით 885 მილიარდი ევრო) დაიხარჯა. ამასთან, ამ რიცხვის თითქმის ნახევარი აშშ-ს მიერ გაღებული ხარჯები გახლავთ. აღსანიშნავია, რომ ევროპა ერთადერთი რეგიონია, სადაც მილიტარისტული ხარჯების შემცირება დაფიქსირდა. შეიარაღებასა და თავდაცვაში კი დიდი ინვესტიციებით ახლო აღმოსავლეთი, განსაკუთრებით საუდის არაბეთი გამოირჩა. იგივე უნდა ითქვას სამხრეთ ამერიკის რეგიონზე, სადაც თავდაცვაზე დიდძალ თანხებს ბრაზილია, კოლუმბია და ჩილე ხარჯავენ. განსაკუთრებით გამორჩეული ეს უკანასკნელია, რომლის არმიაც მალე რეგიონში უძლიერესი იქნება.

ამავე ინსტიტუტის მონაცემებით, სამხედრო დანახარჯების ზრდის ტემპით საქართველო პირველ ადგილზეა, ამერიკა თავდაცვის სფეროს დაფინანსების მოცულობით ლიდერობს, რუსეთი კი იარაღის ექსპორტის მიხედვით. ამერიკის შემდეგ მოდიან დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, ჩინეთი, გერმანია, იტალია, საუდის არაბეთი, რუსეთი, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, კანადა, ავსტრალია, ესპანეთი და ისრაელი. ამ ქვეყნებმა საერთო თანხის თითქმის 84 პროცენტი მოიხმარეს.

# ფარული ინფლაცია

## ლარის გაუფასურება გაგრძელდება

ნინო ნატროშვილი

რამდენიმე თვის წინ ლარით გაცილებით ბევრის ყიდვა შეიძლებოდა, ვიდრე დღეს. მართლაც, თუ სამომხმარებლო კალათას გადავხედავთ, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, ფასები დინამიურად იზრდება. ამდენად, ფულის მყიდველობითი უნარი, ან ღირებულება ფასების ზრდის ფონზე მცირდება და ფულს იმდენივე საქონლის ყიდვა აღარ შეუძლია. ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი მარტივია - როდესაც ფასები იზრდება, ფულის ღირებულება მცირდება; როდესაც ფასები მცირდება, ფულის ღირებულება იზრდება.

თბილისში სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელმა 2 ივნისიდან 8 ივნისამდე 99,07 პროცენტი შეადგინა. 26 მაისიდან 1 ივნისამდე პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 99,79 პროცენტი იყო. ეს ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს.

26 მაისიდან 1 ივნისამდე პერიოდთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,93 პროცენტით შემცირდა. მათ შორის, სასურსათო საქონელზე - 2,19 პროცენტით, არასასურსათო საქონელზე ფასები გაიზარდა 0,51 პროცენტით, ხოლო მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.

ფასები შემცირდა პამიდორზე (22.8 პროცენტით), ფოთლოვან კომბოსტოზე (15.5 პროცენტით), სიგარეტზე "ასტრა" (6.2 პროცენტით), კარტოფილზე (4.9 პროცენტით), ხახვზე (4.3 პროცენტით), კვერცხზე (2.9 პროცენტით), ღორის ხორცზე (0.6 პროცენტით); ამასთან, ფასები გაიზარდა სტაფილოზე (19.3 პროცენტით), ყველზე (3.1 პროცენტით), ქათმის ბარკლებზე (2,3 პროცენტით), ვაშლზე (2.3 პროცენტით), შაქარზე (0.6 პროცენტით).

ფასი გაიზარდა ელექტროენერგიაზე (33.56 პროცენტით).

გასულ კვირასთან შედარებით, ფასები არ შეცვლილა მომსახურებაზე.

"ფასების ზრდა საქართველოში მენტალურმა ფაქტორმაც განაპირობა. ჩვენთან ფასების მკვეთრი ზრდის შემდეგ, ლარის კურსის ცვლილება ფასების შემცირებას და დარეგულირებას არ იწვევს. ფასების მატების ერთ-ერთი ფაქტორია იმპორტის ზონები. იმპორტი გვაქვს რუსეთიდან, ევროპიდან და, ნაკლებად, ამერიკიდან. ჩვენ არ გვაქვს იმ რაოდენობის ექსპორტი (წარმოება ეროვნულ ვალუტაზე), რომ ამ იმპორტს დავუპირისპიროთ. რუსეთშიც და ევროპაშიც ბოლო წლების განმავლობაში ძალიან გაძვირდა ევროც და რუბლიც. რუბლმა 9 პროცენტი მოიმატა. როცა ვალუტა ძვირდება, ეს არ არის ექსპორტისთვის კარგი. ჩვენ იძულებული ვართ, გაძვრებულ ვალუტაზე ვაწარმოოთ ექსპორტი. ავტომატურად, ჩამოსული საქონლის ფასი არის მაღალი.

ქართული ბაზარი მიბმულია დოლარზე. ლარი მყარდება დოლართან მიმართებაში, ხოლო დოლარი ეცემა ევროსთან მიმართებაში. ჩვენ ძვირ საქონელს ვყიდულობთ.

ფასების რეგულაცია ძნელია, როცა მექანიზმები ნაკლებია," - განუცხადა "24 საათს" საინვესტიციო სფეროს ექსპერტმა ივანე ჭუმბურიძემ.

ექსპერტების შეფასებით, შემცირებულმა ბეგარამ ფასების დაკლება უნდა გამოიწვიოს, ფასების რეგულირების მეორე მეთოდი საქართველოში იშვიათად გამოიყენება - ეროვნული ბანკის მიერ არ კონტროლირდება რეფინანსირების ნიხრი. თუ დაიკლებს სესხზე საპროცენტო სარგებელი, ეს სესხების უფრო ფართო მასშტაბით გაცემას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ფულის მასა. მაგრამ, თუ ფულის მასა ჭარბი აღმოჩნდა, მაშინ ეს ინფლაციური მოვლენაა. როცა ქვეყანაში საბანკო კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი იწყება 18 პროცენტიდან და ბანკები არ გასცემენ სესხებს, ეს არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. თანაც, საგულისხმოა ისიც, რომ დღესაც ინვესტიციები არ იდება წარმოების სექტორში. რუსეთიდან შემოსული კაპიტალი ბანდდება სერვისსექტორში და ტურიზმში.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბაზარი მონოპოლიური წარმოების ხელშია, ნაკლებადაა წარმოდგენილი მცირე და კუსტარული საწარმოები, რომლებიც ამინდს ვერ ქმნიან. წარმოების ნაკლებობა კი იწვევს მოთხოვნას იმპორტირებულ საქონელზე. პრინციპში, ჩნდება მოთხოვნა კონტრაბანდაზეც. დღეს კონტრაბანდა შემცირდა და გარკვეულწილად, ფასების ზრდა ამანაც განაპირობა. "კონტრაბანდა უნდა შეწყდეს, რათა ადგილობრივი წარმოება გაძლიერდეს. თუმცა აქ არსებობს სხვა პრობლემაც - ადგილობრივი წარმოება ვერ ვითარდება კაპიტალის ნაკლებობის გამო," - მიაჩნია ივანე ჭუმბურიძეს. .

ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში ფარული ინფლაციის პროცესი ორი წლის წინ დაიწყო. ამიტომ ლარის შემდგომი გაუფასურება გარდაუვალი და აუცილებელი პროცესია. საქართველოში ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა რომ არსებობდეს, დღეს ეს პრობლემა არ იქნებოდა.

# საქართველო ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ევროპულ გაერთიანებას შეუერთდება

საქართველო "ევროპის ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციათა კონფერენციის" (CEPT) 47-ე წევრი გახდება. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე დავით წიკლაურმა განუცხადა, 13-14 ივნისს გერმანიის ქალაქ ახენში დაგეგმილ შეხვედრაზე ხელი მოეწერება განცხადებას აღნიშნულ ორგანიზაციასთან საქართველოს მიერთების შესახებ. საქართველო ორგანიზაციის წევრი მეორე ცდაზე გახდა, ამისთვის საჭირო იყო მისი წევრი ქვეყნების 2/3-ის თანხმობა. დავით წიკლაურის თქმით, "ევროპის ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციათა კონფერენცია" არ არის სრულყოფილი საერთაშორისო ორგანიზაცია და მის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცება მოგვიანებით საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირში (ITU) და "გაერთიანებულ საფოსტო კავშირში" (UPU) ხდება. დსთ-ს ქვეყნებიდან CEPT-ის წევრები არიან რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა და აზერბაიჯანი.

*პრაიმ-ნიუს ბიზნესი*

# ამინდი

| | 14/06 | 15/06 | 16/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 17 | 18 | 21 |
| რიგა | 26 | 20 | 19 |
| ვილნიუსი | 24 | 26 | 23 |
| მოსკოვი | 27 | 25 | 23 |
| მინსკი | 25 | 28 | 25 |
| პარიზი | 27 | 23 | 22 |
| რომი | 26 | 27 | 27 |
| ლონდონი | 21 | 22 | 24 |
| მადრიდი | 30 | 28 | 30 |
| ბონი | 26 | 19 | 26 |
| ვარშავა | 29 | 29 | 25 |
| ათენა | 25 | 27 | 30 |
| ბერნი | 28 | 27 | 26 |
| ამსტერდამი | 18 | 21 | 20 |
| ოსლო | 17 | 19 | 21 |
| ანკარა | 23 | 27 | 30 |
| ვარნა | 23 | 24 | 29 |
| დელი | 47 | 48 | 46 |
| ტოკიო | 26 | 21 | 23 |
| კოპენჰაგენი | 24 | 18 | 20 |
| ბაქო | 32 | 32 | 31 |
| ერევანი | 38 | 37 | 36 |
| ასტანა | 15 | 15 | 21 |
| ჰელსინკი | 21 | 20 | 20 |
| დუბლინი | 20 | 22 | 21 |
| ლისაბონი | 24 | 25 | 23 |
| პრაღა | 28 | 24 | 25 |
| სოფია | 23 | 19 | 26 |
| ბუდაპეშტი | 30 | 25 | 27 |
| ბუხარესტი | 23 | 23 | 29 |

# რეფორმები ელექტროენერგეტიკაში

პირველი გვერდიდან

ძირითადი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც ელექტროენერგეტიკის სფეროში მიიღეს, წარმოადგენს საქართველოს კანონს "ელექტროენერგეტიკის შესახებ". ამ კანონის მიხედვით, დარგის ნორმალურ ფუნქციონირებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი ძირითადად ორი უწყება გახდა: სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი). კანონის თანახმად სათბობ- ენერგეტიკის სამინისტროს დაეკისრა ელექტროენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია. იმავდროულად იგი გათავისუფლდა დარგში მესაკუთრის, ოპერატიულ- სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციებისგან. სემეკს დაევალა ტარიფების დადგენა და რეგულირება, ასევე ლიცენზიების წესებისა და პირობების დადგენა და ლიცენზიების გაცემა. შეუდგა რა სემეკი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას დაიწყო ელექტროენერგიის ტარიფის პერმანენტული ზრდის პროცესი. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 ივლისის N389 ბრძანებულებით ყველა კატეგორიის მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის ტარიფი ერთ კილოვატსაათზე 4,5 თეთრი დაწესდა. შემდგომ პერიოდებში ელექტროენერგიის ტარიფი ერთ/კვტ-საათზე შეადგენდა: 1998 წელს-6 თეთრი, 1999 წელს-9 თეთრი, 2000 წელს-9,8 თეთრი, 2001 წელს-12,4 თეთრი, 2002 წელს-13,7 თეთრი, 2003 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ელექტროენერგიის ტარიფი შემცირდა 12 თეთრამდე, ხოლო სემეკის 2006 წლის 15 მაისის N18 დადგენილებით ელექტროენერგიის საცალო ტარიფი გაიზარდა 15 თეთრამდე.

ცხადია, საქართველოში ელექტროენერგიაზე ტარიფის გაძვირება გამონაკლისი არ არის. ტარიფების ზრდის ტენდენცია დამახასიათებელია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. ასე მაგალითად, ბოლო 15 წლის მანძილზე ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა ბელგიაში-23,2%-ით, საფრანგეთში-33,8%-ით, აშშ-ში-44,4%-ით, ავსტრიაში-55,2%-ით, შვეიცარიაში-77,7%-ით, იაპონიაში-100,9%-ით და ა.შ. საქართველოში კი ბოლო 8 წლის განმავლობაში ტარიფი 400%-ით გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო ცხოვრების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზემოთ დასახელებულ ქვეყნებს, მაშინ ტარიფის ასეთი პერმანენტური ზრდა ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

სემეკ-ის აზრით, ტარიფის გამუდმებული ზრდის მიზეზი, სს "თელასის" პრივატიზების ხელშეკრულებით დამტკიცებული სატარიფო მოდელი წარმოადგენს. აღნიშნული მოდელის თანახმად 2002 წლის პირველი აპრილიდან 2008 წლის 30 სექტემბრამდე სს "თელასისათვის" ტარიფის განაწილების ზღვარი დაწესებული იყო 3,75 თეთრი ყოველ კვტ/სთ-ზე 20% დღგ-ის ჩათვლით. ამ განაწილების ზღვარის შეცვლა გათვალისწინებულია იმ შემთხვევებში თუ შეიცვლებოდა: სს "თელასისათვის" მიწოდებული ელექტროენერგიის ფასი, საქართველოში არსებული სამომხმარებლო კალათის მაჩვენებელი, მიმდინარე ვალუტის კურსი და აშშ-ის შიდა ეროვნული პროდუქტის ფასის დეფლიატორი. (გაოცებას იწვევს ამ უკანასკნელი მაჩვენებლის ტარიფში შეტანა).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან მხოლოდ ზოგიერთი მაჩვენებელი შეიცვალა, ამასთან ისიც უმნიშვნელოდ, მაშინ გაუგებარია სემეკ-მა თავისი დადგენილებებით თუ რა "დამსახურებისათვის" გაუზარდა სს "თელასს" ტარიფის განაწილების ზღვარი 3-ჯერ. ბუნებრივია აქ იბადება კითხვა, სემეკი მომხმარებლებს იცავს ელექტროენერგიაზე მონოპოლიური ფასებისაგან თუ პირიქით, ბუნებრივ მონოპოლიებს იცავს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისაგან?

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების, კონკურენციის ეტაპობრივი განვითარებისა და ენერგეტიკული სექტორის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, დაფუძნდა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი(სესბ), ხოლო სემეკის 1999 წლის 31 მაისის N2 დადგენილებით დამტკიცდა "საბაზრო წესები". საბაზრო წესების შესაბამისად, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის წევრობა სავალდებულო იყო ელექტროენერგეტიკის დარგის ყველა ლიცენზიანტისა და პირდაპირი მომხმარებლისთვის. ამასთან, ელექტროენერგიის აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, სემეკ-ის 2000 წლის 29 მარტის N21 გადაწყვეტილებით ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს გადაეცა ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის აღრიცხვის ექსკლუზიური უფლება.

საბითუმო ბაზრის მონაცემებით, 2005 წელს გამანაწილებელი კომპანიებიდან და პირდაპირი მომხმარებლებიდან თანხის ამოღების მაჩვენებელმა შეადგინა დარიცხული თანხის 46,8 პროცენტი, მათ შორის ნაღდი ფულის სახით 28,5 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებელი საბითუმო ბაზრის საქმიანობის "აქილევსის ქუსლი" გახდა. იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო ამოღებული თანხის მაჩვენებლები ხელისუფლებამ გადაწყვიტა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე მართვის უფლებით ოპერატორი კომპანიის "Ibedrola Ingenieria Consultoria" შემოყვანა. ხელშეკრულება გაფორმედა 2001 წლის 9 აგვისტოს. კომპანია ხელშეკრულებით იღებდა ვალდებულებას, რომ მისი საქმიანობის მე-4 წლისათვის თანხის ამოღების მაჩვენებელი 85 პროცენტამდე გაიზრდებოდა. მაგრამ როგორც ეს ზემოთ მოტანილი ციფრებიდან ჩანს ამოღებული თანხის მაჩვენებლები რეალურად შორსაა აღებული ვალდებულებისგან.

თანხის ამოღების დაბალი მაჩვენებლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, განაწილების სექტორში არსებული არაჯანსაღი გარემო და ბუნდოვანი ფინანსური განაწილებაა. ფაქტობრივად, გამანაწილებელი კომპანიები სესბ-თან ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ ე.წ. "ნარჩენი თანხების" პრინციპით, ანუ ამოღებული თანხები პირველ რიგში მიემართებოდა გამანაწილებელი კომპანიების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად, ხოლო დარჩენილი თანხები ირიცხებოდა სესბ-ის ტრანსფერტულ ანგარიშზე. სესბი, თავის მხრივ გამყიდველებთან ანგარიშსწორებას ახდენდა ტრანსფერტულ ანგარიშზე ჩარიცხული თანხების ფარგლებში, ანუ თვითონვე განსაზღვრავდა თუ რომელი გამყიდველისათვის ჩაერიცხა თანხა და რა მოცულობით. ცხადია, ასეთი სუბიექტური დამოკიდებულება გამყიდველი კომპანიების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა და იწვევს. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ ელექტროენერგიის კონკრეტულ მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს სამართლებრივად მოწესრიგებული სახელშეკრულებო ურთიერთობა. განხორციელებული რეფორმების შედეგი დღეს ასე გამოიყურება: პირველი, დარგში დასრულდა ვერტიკალური დანაწილების პროცესი, ანუ ერთიანი ენერგეტიკული სექტორი დანაწილდა წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და განაწილების სექტორებად, რომლებიც ფუნქციონირებენ დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტების სახით. ამასთან, დაიწყო საპირისპირო პროცესი - ინტეგრაციის სახით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სს"თელასის" მფლობელი გამანაწილებელი კომპანია "PAO EC"-ის მიერ გენერაციის სექტორში რამოდენიმე დიდი ობიექტის შეძენით და ამით კერძო ოლიგოპოლიური სტრუქტურის ფორმირება. მეორე, გენერაციის სფეროში ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზაცია და გადაცემისა და განაწილების სფეროში მენეჯმენტ-კონტრაქტორების შემოყვანა. პრივატიზაციის შემდეგ დარგში კვლავ რთული მდგომარეობა რჩება, ხოლო უცხოელ კონტრაქტორებთან დადებული სახეკშეკრულებო პირობები კი ქვეყნისათვის ძალზედ მძიმეა. ამჟამად მიმდინარეობს დარჩენილი ობიექტების უცხოელ ინვესტორებზე მიყიდვის პროცესის დაჩქარება. მესამე, შეიქმნა დარგის მარეგულირებელი ორგანო სემეკის სახით, რომელიც ძირითადად ტარიფების რეგულირებას და ლიცენზირებას ახორციელებს. ტარიფების დადგენის მიზნით იყენებს დანახარჯების მეთოდს. მკითხველს შევახსენებ, რომ ტარიფის დადგენა დანახარჯების მეთოდით საგეგმო ეკონომიკის პირობებში, მარქსისტულ-ლენინურ პოლიტეკონომიაში გამოიყენებოდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტარიფის დადგენის მიზნით, სავალდებულოა კვლევის თანამედროვე მარკეტინგული მეთოდების გამოყენება. ამ მეთოდების გამოყენება კი, როგორც ჩანს ჯერ კიდევ უცხო ხილია სემეკის თანამშრომლებისთვის. მეოთხე, დაფუძნდა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, რომელიც ძირითადად ელექტროენერგიის აღრიცხვისა და მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ანგარიშსწორების ფუნქციებს ახორციელებს. ამ ორგანიზაციის სახით საქართველოს ენერგეტიკას კიდევ ერთი მარეგულირებელი ორგანო დაემატა, ვინაიდან იგი ელექტროენერგეტიკაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების ნაცვლად ბაზრის წევრებს შორის ფინანსური ანგარიშსწორებითაა დაკავებული. ამასთან, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ, ამ დავალებასაც სათანადო დონეზე ვერ ასრულებს, ვინაიდან კაცმა არ იცის ვის ვისი ვალი აქვს და კონკრეტულად ვინ არის ამ დავალიანებებზე პასუხისმგებელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების მაჩვენებლები 1999-2005 წლების მიხედვით:**

| დასახელება | დარიცხვა (ლარი) | მთლიანი გადახდა (ლარი) | გადახდა ფულით (ლარი) | სხვა გადახდები (ლარი) | მთლიან გადახდაში (%) | ფულით გადახდაში (%) |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1999** | | | | | | |
| გამანაწილებელი კომპანიები | 101, 270, 876 | 28,017, 078 | 15, 209, 221 | 12, 807, 857 | 27.67% | 15.02% |
| პირდაპირი მომხმარებლები | 43 ,844, 732 | 16, 047 ,210 | 1 ,166 ,446 | 14, 880, 764 | 36.60% | 2.66% |
| **სულ** | **145, 115, 609** | **44 ,064, 288** | **16, 375, 667** | **27, 688, 621** | **30.36%** | **11.28%** |
| **2000** | | | | | | |
| გამანაწილებელი კომპანიები | 202, 784, 318 | 38, 923, 973 | 33, 078, 132 | 5, 845, 841 | 19.19% | 16.31% |
| პირდაპირი მომხმარებლები | 52 ,113, 613 | 16, 774, 703 | 7,290, 862 | 9, 483, 840 | 32.19% | 13.99% |
| **სულ** | **254, 897, 931** | **55, 698, 676** | **40, 368, 994** | **15, 329, 681** | **21.85%** | **15.84%** |
| **2001** | | | | | | |
| გამანაწილებელი კომპანიები | 141, 846, 902 | 30, 154, 785 | 23, 747, 619 | 6 ,407, 166 | 21.26% | 16.74% |
| პირდაპირი მომხმარებლები | 47, 127, 743 | 33, 694, 020 | 11, 472, 386 | 22, 221, 634 | 71.50% | 24.34% |
| **სულ** | **188, 974, 645** | **63, 848, 805** | **35, 220, 005** | **28, 628, 800** | **33.79%** | **18.64%** |
| **2002** | | | | | | |
| გამანაწილებელი კომპანიები | 148, 059, 992 | 96, 191, 802 | 16, 949,785 | 79,242,017 | 64.97% | 11.45% |
| პირდაპირი მომხმარებლები | 43, 855, 004 | 67, 447, 484 | 11, 212, 370 | 56,235,114 | 153.80% | 25.57% |
| **სულ** | **191, 914, 996** | **163, 639, 286** | **28, 162 ,155** | **135,477,131** | **85.27%** | **14.67%** |
| **2003** | | | | | | |
| გამანაწილებელი კომპანიები | 132,536,590 | 79,280,389 | 35,019,820 | 44,260,569 | 59.82% | 26.42% |
| პირდაპირი მომხმარებლები | 39,765,161 | 36,617,489 | 34,789,510 | 1,827,979 | 92.08% | 87.49% |
| **სულ** | **172,301,751** | **115,897,878** | **69,809,330** | **46,088,548** | **67.26%** | **40.52%** |
| **2004** | | | | | | |
| გამანაწილებელი კომპანიები | 142,900,921 | 36,906,964 | 23,667,333 | 13,239,631 | 25.83% | 16.56% |
| პირდაპირი მომხმარებლ ები | 54,210,241 | 53,019,300 | 52,507,459 | 511,841 | 97.80% | 96.86% |
| **სულ** | **197,111,162** | **89,926,264** | **76,174,792** | **13,751,472** | **45.62%** | **38.65%** |
| **2005** | | | | | | |
| გამანაწილებელი კომპანიები | 211,026,920 | 91,663,925 | 11,879,567 | 79,784358 | 43.44% | 5.63% |
| პირდაპირი მომხმარებლები | 58,466,655 | 63,306,428 | 58,769,432 | 4,536,996 | 108.28% | 100.52% |
| **სულ** | **269,493,575** | **154,970,353** | **70,648,999** | **84,321,354** | **57.50%** | **26.22%** |

# განვადება 30 წუთში

## "საქართველოს ბანკს" ბაზარზე კიდევ ერთი ნოვატორული პროდუქტი შემოაქვს

*"საქართველოს ბანკი" უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებულ ტრადიციას არ ღალატობს და ქართულ საბანკო სექტორში კიდევ ერთი ნოვაცია შემოაქვს. პირველად საქართველოში, "საქართველოს ბანკი", მომხმარებელს სთავაზობს სესხებს საოჯახო და კომპიუტერული ტექნიკის, ავეჯისა და მობილური ტელეფონების შესაძენად 30 წუთში, მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.*

ნინო ნარჩემაშვილი

ამჯერად სავაჭრო ცენტრ "მეგალაინში" "საქართველოს ბანკმა" მომენტალური განვადების ცენტრი გახსნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საბანკო სისტემაში კიდევ ერთი ახალი პროდუქტი - მომენტალური განვადება დაინერგა. კლიენტს შეუძლია, მისთვის სასურველი ნივთი სავაჭრო ცენტრ "მეგალაინში" განთავსებულ 20-მდე ელექტრო და საოჯახო ტექნიკის, კომპიუტერების, მობილური ტელეფონებისა და ავეჯის მაღაზიაში შეიძინოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბანკი არ ითხოვს პირველად შენატანს, ანუ თანამონაწილეობას. მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენით, მაღაზიაში შესულ კლიენტს 30 წუთში შეეძლება სასურველი ნივთით დაბრუნდეს სახლში. განვადებით სარგებლობისათვის კი კლიენტის ყოველთვიური შემოსავლები მინიმუმ 200-ს ლარს უნდა შეადგენდეს.

რაც შეეხება განვადების პირობებს, მისი მოცულობა 200-დან 2 000 ლარამდეა, ვადა - 3-დან 12 თვემდე, პირველადი შესატანი თანხა 0 პროცენტი და, რაც მთავარია, სესხის გაცემის დრო მხოლოდ 30 წუთი.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილის რამაზ კუკულაძის განმარტებით, **"მომენტალური განვადება საქართველოსთვის უახლესი საბანკო პროდუქტია, რომელსაც ბაზარზე ანალოგი არ გააჩნია. ჩვენი საცალო საბანკო მომსახურების სტრატეგიაა, მაქსიმალურად გამარტივებული პირობებით შევთავაზოთ კლიენტებს ნოვატორული საბანკო პროდუქტები მათთვის ხელსაყრელი და გამარტივებული პირობებით. "საქართველოს ბანკის" მომენტალური განვადება ერთ-ერთი ასეთი პროდუქტია და იგი კლიენტს საშუალებას აძლევს, მინიმუმ 30 წუთში, მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღოს სესხი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის შესაძენად. მომსახურებას კიდევ უფრო კომფორტულს და მიმზიდველს ხდის ისიც, რომ სესხის მიღება უშუალოდ მაღაზიაშივე მყოფ საკრედიტო ოფიცერთან ხდება."** მისივე თქმით, **"მუშაობა პარტნიორ ორგანიზაციებთან და უცხოელ პარტნიორებთან ცხრა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. შედეგად დაინერგა უახლეს საბანკო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ჩვენს მომხმარებელს მაქსიმალურად სწრაფად, ყველაზე მარტივი პროცედურითა და პირობებით მოვემსახუროთ."**

აღსანიშნავია, რომ "საქართველოს ბანკს" მსგავსი წერტილები, უკვე სამი თვეა, განლაგებული აქვს ქალაქის 20-ზე მეტ მაღაზიაში, სადაც მომხმარებელი ადგილზე იღებს სესხს მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე. მიმდინარე წლის ბოლომდე კი "საქართველოს ბანკის" პარტნიორ მაღაზიებში განთავსებული, მომსახურების მსგავსი წერტილების რაოდენობა ასამდე გაიზრდება.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

### გია ფირცხალავა: "დასავლეთ ევროპა პასიურობს"




C2

### კლაუდია შიფერი და მიხაელ შუმახერი: გერმანია ფინალში ითამაშებს!



C3

### თბილისის შვიდკაცა



C4



## სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

**მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!**
**უყურეთ ფეხბურთს!**
**უყურეთ პირველს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15




# ბრავო!!!



კახა ფაჩუაშვილი

ბრაზილიამ ხორვატიას - 1:0 მოუგო. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონების პირველი გამარჯვება მიმდინარე მუნდიალზე. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელებმა გააგრძელეს ტრადიცია და 1982 წლიდან მოყოლებული მეშვიდე მსოფლიო ჩემპიონატია, როცა პირველ მატჩებს იგებენ. ბრაზილიამ მოიგო, მაგრამ არავის მოუბრუნდება ენა ხორვატებზე აუგი წამოსცდეს.

ხორვატებმა იბრძოლეს ისე, როგორც ზღაპრის გმირებს ეკადრებოდათ და ოდნავი იღბალიც რომ ჰქონოდათ, არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს მატჩი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ხორვატების მაგალითი სამომავლოდ საუკეთესო მედიატორი იქნებოდა. ხორვატები სწორედ ის ხალხია, რომელსაც შეიძლება მიბაძო.

პირადად ჩემს აზრს თუ იკითხავთ, ამ შეხვედრაში ბრაზილიელთა უპირატესობა იმან განაპირობა, რომ უფრო მძლავრი ტექნიკური არსენალის ხარჯზე პენტაკამპეონებმა უკეთ გამოიყენეს თავისი შანსი, ვიდრე ხორვატებმა და ამიტომაც მინიმალური უპირატესობით მოიგეს. სხვა მხრივ კი, ხორვატები სახელოვან მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

ხორვატთა მწვრთნელმა ზლატკო კრანჩარიმ თამაშის წინ განაცხადა, რომ ის რეალისტია და ცდილობს, გუნდი ავსტრალიისა და იაპონიის წინააღმდეგ თამაშისთვის უფრო განაწყოს, ვიდრე ბრაზილიასთან საომრად. ეს პრაგმატიზმის მხრივ უფრო გონივრული ნაბიჯი იყო და ამის მიუხედავად ხორვატებმა ღირსეული თამაში აჩვენეს. ამდენად ნათელია, რომ ამ ჯგუფში ფავორიტებად ეს ორი გუნდი უფრო მოიაზრება, ვიდრე გუუს ჰიდინკის უაღრესად სიმპათიური გუნდი - ავსტრალია.

ერთადერთი გოლი თამაშის 44-ე წუთზე კაკამ გაიტანა შესანიშნავი დარტყმით საჯარიმოს მისადგომებიდან. ამის შემდეგ, მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ძალიან კარგად ითამაშეს მეკარეებმა დიდამ და პლეტიკოშამ. მომდევნო ტურში ბრაზილია ავსტრალიას შეხვდება, ხორვატია კი იაპონიას.

**ბრაზილია - ხორვატია 1:0**

**ბრაზილია:** დიდა, კაფუ, ლუსიო, ჟუნინიო, ემერსონი, რობერტო კარლოსი, ადრიანო, კაკა, რონალდინიო, ზე რობერტო, რონალდო (რობინიო, 69`).
**მწვრთნელი:** ზლატკო კრანჩარი
**ხორვატია:** პლეტიკოშა, სრნა, სიმუნიჩი, რ. კოვაჩი, ტუდორი, სიმიჩი, ბაბიჩი, პრშო, ნ. კოვაჩი (ლეკო, 41`), კლასნიჩი (ოლიჩი, 56`) კრანჩარი.
**მწვრთნელი:** კარლოს ალბერტო პარეირა
**გოლები:** 1:0 - კაკა (44`)
**გაფრთხილება:** ნ. კოვაჩი, ემერსონი, რ. კოვაჩი, ტუდორი.
**მსაჯი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)
**13 კარში დარტყმა** 9
**6 კარისკენ დარტყმა 3**
**20 ჯარიმა 20**
**5 კუთხური 7**
**3 თამაშგარე 4**
**50 ბურთის ფლობა 50**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** კაკა (ბრაზილია)

## გია ფირცხალავა: "დასავლეთ ევროპა პასიურობს"




დასავლეთ ევროპა საკმაოდ პასიურობს. ისეთმა გამოკვეთილმა ფავორიტებმა, როგორებიცაა ინგლისი, საფრანგეთი და იტალია, მთლად დამაჯერებელი და საჩემპიონო თამაში ჯერ ვერ აჩვენეს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით "გამოსარჩევია" საფრანგეთის ნაკრები. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, რაიმონ დომენეკმა, ჩემი აზრით, მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როცა ისეთი ფეხბურტელები არ წაიყვანა, როგორებიცაა ლიუდოვიკ ჟული და რობერ პირესი. ამ მოთამაშეებს ინდივიდუალურად შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა. რაც შეეხება შვეიცარიასთან მატჩს, უნდა ითქვას, რომ ფრანგები ძალზე ინერტულად გამოიყურებოდნენ. შესაძლოა, ეს ერთგვარად იმის ბრალიც იყოს, რომ სტარტს ფავორიტები, როგორც წესი, საკმაოდ მძიმედ იღებენ. თუმცა, ასეთი სტარტის შემდეგ ფრანგებს როგორი ფინიშიც ჰქონდათ 4 წლის წინ, ყველას კარგად გვახსოვს. კარგად ითამაშა ზიდანმა, გაცილებით მეტს მოველოდი ანრისგან. ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება - ფრანგებმა ნამდვილად ვერ დატოვეს ისეთი შთაბეჭდილება, ოქროს მედლების პრეტენდენტს რომ შეეფერება. ვნახოთ, შესაძლოა, დომენეკის შეგირდებმა მომდევნო მატჩებში გამოასწორონ ვითარება და მერვედფინალიდან უკვე სულ სხვა "სამფეროვნები" ვიხილოთ. თუმცა, ამისთვის ჯერ მერვედფინალში გასვლაა საჭირო.

თავის მეზობელ საფრანგეთთან შედარებით, იტალიამ გაცილებით უკეთ ჩაატარა მუნდიალის პირველი შეხვედრა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ განის ნაკრებთან თამაში უფრო იოლია, ვიდრე შვეიცარიასთან. არ მინდა, "სკუადრა აძურას" დამსახურება დავაკნინო, თუმცა, ჩემი აზრით, იტალიამაც არ დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, როგორსაც ტიფოზები მოელიან. ლიპის გუნდმა საგრძნობლად თუ არ მოუმატა, საჩემპიონო პრეტენზიები საფუძველს მოკლებული იქნება. უფრო დამაკმაყოფილებელი იყო, ვიდრე კარგი, ინგლისის ეროვნული გუნდის პირველი თამაში. ინგლისელებს აშკარად აკლიათ აგრესია და ვფიქრობ, რუნის დაბრუნებასთან ერთად, ეს გუნდი შეტევაში თამაშს მკვეთრად გააუმჯობესებს. პირველ ტურში განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება ჩემზე ჩეხეთის ნაკრებმა მოახდინა. ასევე, ძალზე მომეწონა კოტ დივუარი, რომელმაც, მარცხის მიუხედავად, თანამედროვე, სწრაფი და პროგრესული ფეხბურთის დემონსტრირება მოახდინა. მხოლოდ გამოცდილების ნაკლებობას მივაწერ იმ ფაქტს, რომ ეს აფრიკული გუნდი, პრინციპში თანაბარ თამაშში, ერთ-ერთ გამოკვეთილ ფავორიტთან, არგენტინასთან დამარცხდა. აქვე ვიტყვი, რომ შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია. გუნდებმა მხოლოდ თითო თამაში ჩაატარეს, ჩემპიონატი ახლა იწყება და მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი შეფასების გაკეთება მესამე, მინიმუმ, მეორე ტურის დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი."

## კურიოზები

ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი რონალდო ტრადიციას არ ღალატობს. მუნდიალის დაწყებამდე ერთი დღით ადრე პარეირამ თავის ფეხბურთელებს დასვენების საშუალება მისცა. რონალდომ იმ საღამოს ქალაქში არსებული თითქმის ყველა ღამის ბარი შემოიარა. ერთ-ერთ ბარში კი ბრაზილიელს გაუმასპინძლდნენ და, როგორც ამ ბარის მესვეურები ამბობენ, რონალდოს დაახლოებთ 700 ევროს ღირებულების სუფრა გაუშალეს. რა გასაკვირია, რომ მეორე დღეს რონალდომ ვარჯიში ველარ შეძლო.

■ ■ ■

ნეტარ არიან მორწმუნენი. ეს ფრაზა ზუსტად შეეფერება რუსეთის მოსახლეობის ექვს პროცენტს. ამას წინათ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოსახლეობის ექვსმა პროცენტმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს გერმანიაში მიმდინარე მუნდიალზე რუსეთის ნაკრები მოიპოვებს. საინტერესოა, რომ გამოკითხვის შედეგად რუსეთის ნაკრებს მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებმა გაუსწრო. 10 პროცენტი თვლის, რომ ჩემპიონი ბრაზილია გახდება. 4 პროცენტს კი ფავორიტად გერმანიის ნაკრები მიაჩნია. ჩვენ კი იმასლა დავამატებთ, რომ რუსეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე არ თამაშობს, თუმცა ქართველი გულშემატკივრისთვის ეს ისედაც კარგადაა ცნობილი. აი, რუსებს კი...

■ ■ ■

ესპანეთის ნაკრების მეკარე ხოსე მანუელ რეინამ განაცხადა, რომ ქორწილის თარიღი მსოფლიო ჩემპიონატის გამო შეცვალა. ფეხბურთელი სექტემბერში აპირებდა დაოჯახებას, თუმცა გადაწყვეტილება შეცვალა და ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მოიყვანა ცოლი.

"კმაყოფილი ვარ, რომ ოჯახის კაცის სახელით ჩავალ მსოფლიო ჩემპიონატზე. თუმცა, ერთი პრობლემაა: თაფლობის თვეს ჩემს მეუღლესთან კი არა, 22 ფეხბურთელთან ერთად გავატარებ. ახლა იმიტომ დავქორწინდი, რომ ჩემპიონატის დროს მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრო."

■ ■ ■

კოსტა-რიკასთან გასამართი მატჩის წინ მიროსლავ კლოზეს უჩვეულო პრობლემა შეექმნა. მას არ მისცეს საშუალება ეთამაშა თავისი საყვარელი ბუცებით. საქმე ისაა, რომ კლოზეს პირადი კონტრაქტი აქვს კომპანია "ნაიკთან" და გერმანელთა მთავარი გოლეადორი სწორედ ამ ფირმის ბუცებით აპირებდა თამაშს. გერმანიის ნაკრებს კი, ისევე როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, საკონტრაქტო ხელშეკრულება აკავშირებს ფირმა

"ადიდასთან". ასე რომ, გერმანიის ნაკრების ყველა ფეხბურთელმა სწორედ "ადიდასის" ამუნიციით უნდა ითამაშოს. კოსტარიკელებთან მატჩის წინ კლოზემ ნაკრების მესვეურებს სთხოვა, ჩემი ბუცებით მათამაშეთ, უფრო მეტ გოლს გავიტანო. მაგრამ თხოვნამ არ გაჭრა და კლოზე მინდორზე "ადიდასის" ბუცებით გავიდა. როგორც იცით, ამას ფეხბურთელის შედეგიანობაზე ცუდად ნამდვილად არ უმოქმედია.

# აფრიკელთა შავი მუნდიალი


კორეელები გამარჯვებას ზეიმობენ.

**კორეა - ტოგო 2:1**
**კორეა:** ვუნ ჯაე ლი, ჩუნგ გუგ სონგი, იუნგ ჩულ კიმი, ჟინ სეულ ჩოი, იუნგ პუ ლი, ეულ ინგ ლი (ნამ ილ კიმი 68), ჯუნ კუი კიმი (ჟუნგ ვან ანი 46), ჯი სუნგ პარკი, ჩუნ სუ ლი, ჯაე ჯინ ჩო (სანგ სიგ კიმი 83)
**მწვრთნელი:** დიკ ადვოკაატი
**ტოგო:** კოსი აგასა, ჩანგაი, აბალო, ნიბომბე, ასემოასა (ფორსონი 62), სალიფუ (აზიავონუ 86), ალექსის რომაო, ჩერიფ ტურე, აბდელ კადერი, ადებაიორი, სენაია (ასიმოუ ტურე 55)
**მწვრთნელი:** ოტო პფიტცერი
**გოლები:** 0:1 აბდელ კადერი (31), 1:1 ჩუნ სუ ლი (54), 2:1 ჟუნგ ჰვან ანი (72)
**გაფრთხილება:** იუნგ ჩულ კიმი, ჩუნ სუ ლი - აბალო, ალექსის რომაო, ჩანგაი
**გაძევება:** აბალო (53)
**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)
**6 კარში დარტყმა 3**
**16 კარისკენ დარტყმა 9**
**16 ჯარიმა 17**
**3 კუთხური 4**
**2 თამაშგარე 4**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჟუნგ ჰვან ანი

აფრიკული გუნდებისთვის წლევანდელი მუნდიალი საოცრად უიღბლოდ დაიწყო. გულშემატკივარი უკვე შეეჩვია, რომ შავი კონტინენტის წარმომადგენლები მსოფლიო ჩემპიონატებზე კარგ ფეხბურთს აჩვენებენ, მაგრამ, ეტყობა, გერმანული მუნდიალი გამონაკლისია. ერთი მხრივ, აფრიკული გუნდების წარუმატებლობა ალბათ თავიდანვე იყო პროგნოზირებადი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდნენ ისეთი აფრიკული გრანდები, როგორებიცაა ნიგერია და კამერუნი. მათ ნაცვლად მოხვედრილ გუნდებს კი აშკარად არ ყოფნით გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ კოტდივუარელები არგენტინასთან სწორედ გამოუცდელობის გამო დამარცხდნენ და საკმაოდ ძლიერმა განის ნაკრებმაც ამავე მიზეზით დაუთმო მატჩი იტალიელებს. ამჯერად კი დიდ ტურნირებზე თამაშის პრაქტიკის არქონას ტოგოს ნაკრები შეეწირა.

საერთოდ, ტოგოელები მუნდიალის მთავარი სკანდალის მომწყობები გამოდგნენ. ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ტოგოს ნაკრების ფეხბურთელებმა გუნდის გერმანელი მწვრთნელი ოტო პფიტცერი აითვალწუნეს და მისი გაგდება სურდათ. პფიტცერი თითქოს წავიდა კიდეც, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყვიტა დარჩენა. გუშინ ტოგოს ნაკრები სწორედ გერმანელმა სპეციალისტმა გაიყვანა მინდორზე. ტოგოელებმა თითქოს ურიგოდ არ დაიწყეს კორეელებთან მატჩი, ანგარიშიც კი გახსნეს, მაგრამ მეორე ტაიმში წინა მუნდიალის მთავარმა სენსაციამ ტემპს უმატა და ტოგოს ნაკრების დაცვაც დაიშალა. დიკ ადვოკაატის შეგირდება მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს და მეტად საჭირო სამი ქულაც მოიპოვეს.

გამარჯვების გოლი კი იმ ანმა გაიტანა, რომელმაც ოთხი წლის წინ იტალიის ნაკრების საჩემპიონო იმედები დაასამარა.

ამრიგად, გერმანულ მუნდიალზე უკვე მეოთხე აფრიკული გუნდი დამარცხდა. შავი კონტინენტის იმედი ტუნისის ნაკრებია, რომელიც დღეს საუდის არაბეთის გუნდს უნდა დაუპირისპირდეს.

# ულიე მართალი ყოფილა



**საფრანგეთი - შვეიცარია 0:0**
**საფრანგეთი:** ბარტეზი, აბიდალი, ვიეირა, გალასი, მაკელელე, ზიდანი, ვილტორდი (დორასო, 84`), ანრი, ტიურამი, სანიოლი, რიბერი (საა, 70`).
**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი
**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, მანინი, სენდეროსი, ფოგელი, კაბანიასი, ვიკი (მარგაირაზი, 82`), ფრეი, შტრელერი (გიგაქსი, 56`), ბარნეტა, მიულერი (ჯურუ, 75`), დეგენი.
**მწვრთნელი:** იაკობ კუნი
**გაფრთხილება:** მანინი, შტრელერი, დეგენი, აბიდალი, ზიდანი, კაბანიასი, ფრეი, სანიოლი.
**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი).
**9 კარში დარტყმა** 7
**3 კარისკენ დარტყმა 4**
**18 ჯარიმა 18**
**4 კუთხური 1**
**5 თამაშგარე 0**
**51 ბურთის ფლობა 49**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** კლოდ მაკელელე (საფრანგეთი).

ჟერარ ულიემ წინა დღით "ევროსპორტზე" განაცხადა, რომ ორივე გუნდი - საფრანგეთიც და შვეიცარიაც - უაღრესად ორგანიზებულნი არიან და ორივეს აქვს ჯგუფიდან გასვლის ამბიცია. მაგრამ რაკი საფრანგეთისთვის შვეიცარია ყოველთვის უხერხული მეტოქეა, ამიტომ ორივე გუნდი ფრთხილად იქნება და ფრეს დაყაბულდებაო - ასეთი იყო ულიეს ვარაუდი და, როგორც აღმოჩნდა, გამართლებული.

ფრანგებმა თავიდან თითქოს სცადეს უპირატესობის მოპოვება, ზიდანმა გააკეთა კარგი პასი ანრის მიმართულებით, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და შემდგომში თამაში სწორედ ისეთი სცენარით წარიმართა, როგორც ჟერარ ულიემ იწინასწარმეტყველა. შვეიცარიელებს ორი სახიფათო მომენტი ჰქონდათ და ვერც მათ გამოიყენეს. საბოლოოდ მატჩი ფრედ - 0:0 დასრულდა და ორივე გუნდი მომდევნო თამაშების იმედად დარჩა. მოგებული კი ამ მატჩიდან სამხრეთ კორეის გუნდი დარჩა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ტოგოს ნაკრები - 2:1. ახლა, თუ შვეიცარიელებსა და ფრანგებს ჯგუფიდან გასვლა უნდათ, სწორედ კორეელების დამარცხება მართებთ.

უაღრესად ინერტულად გამოიყურებოდა ფრანგების წინა ხაზი. ანრიმ ურთულესი სეზონი გადაიტანა ლონდონის "არსენალთან" ერთად. გუნდი სეზონის მსვლელობისას გადახალისდა და თაობათა ცვლის პროცესი მთლიანად ანრის კისერზე გადავიდა. რაც შეეხება ზინედინ ზიდანს, ის კარიერას ამთავრებს და, ბუნებრივია, ძველებური სისწრაფით ვერ გამოირჩევა. სხვა მხრივ, აშკარად გამოჩნდა, რომ ლუდოვიკ ჟიულისა და რობერ პირესს შეეძლოთ გუნდის შეტევითი პოტენციალის გაძლიერება, მაგრამ ისინი რაიმონ დომენეკმა შინ დატოვა.

## ინფოთეკა

### პირლომ შვილისთვის გაიტანა

იტალიის ნაკრებისა და "მილანის" ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ აღიარა: მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ პირობა მისცა შვილის, რომ პირველივე მატჩში გაიტანდა გოლს. "ეს ჩემთვის უდიდესი სიხარულია. ჩემმა ბიჭმა მთხოვა, რომ გოლი გამეტანა. რა უნდა მექნა, მეც შევპირდი, პირველივე მატჩში გავიტან-მეთქი. ბედნიერი ვარ, რომ დანაპირები შევასრულე", - განაცხადა პირლომ.

### შევჩენკო ითამაშებს

მოგეხსენებათ, ანდრეი შევჩენკოს თამაში ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ეჭვქვეშ იდგა, რადგან უკრაინელთა ლიდერს ტრავმა აწუხებდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ შევჩენკომ ტრავმა მთლიანად მოიშუშა და უკრაინული ფეხბურთის იმედი ესპანელებთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნება. "თავს მშვენივრად ვგრძნობ. ჩვეულებრივად ვვარჯიშობ და ამ მატჩს არაფრის დიდებით არ გამოვტოვებ", - განუცხადა ანდრეიმ ჟურნალისტებს.

### "ატლეტიკოს" აიმარი არ სჭირდება

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მადრიდის "ატლეტიკო" პაბლო აიმარის შეძენას აპირებს. გუშინ ეს ცნობა მადრიდული კლუბის ახალმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ უარყო. მწვრთნელის თქმით, მას აიმარის ტიპის ფეხბურთელი გუნდში საერთოდ არ სჭირდება.

### კოლერი განის წინააღმდეგ ითამაშებს

აშშ-სა და ჩეხეთის ნაკრების მატჩში იან კოლერმა ტრავმა მიიღო. ჩეხეთის ნაკრების ექიმების თქმით, ფეხბურთელი სერიოზულად არ დაშავებულა და შეძლებს ითამაშოს ჩეხების მეორე მატჩში, რომელსაც ეს გუნდი განის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს.

### "ინტერი" ტონიზე ნადირობს

მილანის "ინტერი" სერიოზულად დაინტერესდა ლუკა ტონის შეძენით. კლუბის ტექნიკური დირექტორის გაბრიელე ორიოლის განცხადებით, "ინტერმა" უკვე მიმართა "ფიორენტინას" ოფიციალური წინადადებით ტონის ტრანსფერის თაობაზე. "ფლორენციულ კლუბს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ტონის დონის ფორვარდმა უფრო ძლიერ კლუბში უნდა ითამაშოს", - აცხადებს ორიოლი.

### ბორხეტი მექსიკას ვერ დაეხმარება

მექსიკის ნაკრების ფორვარდი ხარედ ბორხეტი ვერ ითამაშეს ჯგუფური ეტაპის მატჩებში. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეხმარება თავის გუნდს, თუ მექსიკელები შემდეგ ეტაპზე გავლენ. ბორხეტიმ ირანთან მატჩში მიიღო ტრავმა. გუნდის ექიმების თქმით, მას ერთი კვირა მაინც მოუწევს დასვენება.

### ნესკენსმა "ბარსელონა" აირჩია

ჰოლანდიელ სპეციალისტს იოჰან ნესკენსს გუუს ჰიდინკი რუსეთის ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტის პოსტს სთავაზობდა. როგორც იცით, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჰიდინკი რუსეთის ნაკრებში იმუშავებს. ამჟამად ნესკენსი ჰიდინკის თანაშემწის ფუნქციებს ავსტრალიის ნაკრებში ასრულებს. სავარაუდო იყო, რომ რუსეთის ნაკრებშიც ორივე სპეციალისტი ერთად მივიდოდა. თუმცა, ვითარება შეიცვალა. ნესკენსს ფრანკ რაიკაარდმაც შესთავაზა მუშაობა და ნესკენსმაც რუსეთის ნაკრებს "ბარსელონაში" გადასვლა არჩია.

# მივიწყებული ლეგენდა

1970 წელს მექსიკაში გამართულ მუნდიალზე ბრაზილიის ნაკრებმა მესამედ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა. სელესაოს მაშინდელი წარმატების უპირობო ლიდერი ჟაიზირინიო გახლდათ. ფინალურ ეტაპზე გატანილი შვიდი გოლით ბრაზილიელი დღემდე ერთადერთია, ვისაც ჩემპიონატების ისტორიაში ყოველ შეხვედრაში აქვს მეტოქის კარი დალაშქრული. მის სახელს უკავშირდება 14 წლის რონალდოს აღმოჩენაც.

წლეულს ლეგენდარული ბრაზილიელი იმ თაობის სხვა ბრწყინვალე მოთამაშეებთან ერთად გერმანიას სტუმრობს. როდესაც სასტუმროში ჟაირზინიო ესპანელმა ჟურნალისტმა აღმოაჩინა, ბრაზილიელი სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა, რადგან, მისივე თქმით, დროის სვლასთან ერთად, ხალხი წარსულს ივიწყებს და ჟაირზინიოს, ალტაირის, ბრიტოს დონის ძველ ვარსკვლავებს ქუჩაში უკვე ველარ ცნობენ.

**- გერმანიაში რა ქარმა გადმოგაგდოთ?**

- ფიფამ მსოფლიოს ყველა დროის ჩემპიონები საგანგებოდ მოგვიწვია ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე დასასწრებად. სასიამოვნო იყო, როცა აქ იმ ფეხბურთელებს შევხვდი, ვის წინააღმდეგაც თავის დროზე მითამაშია. სამწუხაროდ, მათმა უმეტესობამ უკვე დატოვა გერმანია. ჩვენს გუნდს კი ჩემპიონატის ბოლომდე გვთხოვეს დარჩენა.

**- როგორ მოგწონთ გათამაშება?**

- საკმაოდ კარგ და მაღალ ტემპში დაიწყო. პირველი თამაშების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სანახაობრივი მხარეც მაღალ დონეზეა.


1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჟაირზინიომ 7 გოლი გაიტანა.

განსაკუთრებით მომეწონა გახსნის ცერემონიალი, რომელზეც ერთბაშად ამდენმა ძველმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი. სასიამოვნოა, როცა ვიღაცას კიდევ ახსოვხარ.

**- 60-70-იანი წლების ბრაზილიის ნაკრების დავიწყება შეუძლებელია...**

- სამწუხაროდ, ბევრს აღარ ახსოვს. ახლა მოდაში სხვა სახელები და გვარებია. ბრაზილიაში თითქმის ველარავინ გვცნობს. დრო შეიცვალა, იცვლება ცხოვრების წესიც, მათ შორის, ფეხბურთიც.

**- თქვენი აზრით, გახდება ბრაზილიელთა ეს თაობა წლევანდელი გათამაშების ჩემპიონი?**

- კარგი შანსი აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ევროპაში თამაში ყოველთვის გვიჭირდა. ევროპაში გამართულ ორ მსოფლიო ჩემპიონატზე მითამაშია, თუმცა ორჯერვე წარუმატებლად გამოვედით. იქნებ ახლა მაინც გაგვიმართლოს.

**- შეგიძლიათ წლევანდელი და თქვენი თაობის ნაკრებები ერთმანეთს შეადაროთ?**

- შეუძლებელია სხვადასხვა დროს მოთამაშე ფეხბურთელების შედარება. ჩვენ ჭკვიანურად მოთამაშე დიდებული ნაკრები გვყავდა. თავისებურად ახლანდელი შემადგენლობაც კარგია. მაგრამ თუ დღეს თამაშობენ რონალდინიო, რონალდო, კაკა, ჩვენ ერთბაშად ხუთიექვსი "ათი ნომერი" გვყავდა - პელე, ტოსტაო, რიველინო, ჟერსონი, მე... მარტო ტექნიკით კი არა, ჩვენ მოედანზე ტვინდაყოლილი თამაშითაც გამოვირჩეოდით.

**- თქვენს გუნდში რონალდინიოს თუ დააყენებდით?**

- არა. ახლა სხვა დროა. ახლანდელი ფეხბურთელები მილიონერები არიან, ჩვენს დროს კი ფეხბურთში ამხელა ფული არ ტრიალებდა. თანამედროვე ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ და იდეალურ პირობებში ვარჯიშობენ. ისინი აღარ არიან ბრაზილიელი ბრაზილიელები, ისინი ევროპელი ბრაზილიელები არიან. ჩვენ ერთი მაისურა და ორი წყვილი ბუცი გვქონდა, მაგრამ ლამაზ და გონიერ ფეხბურთს ვთამაშობდით.

**- ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?**

- რაღა თქმა უნდა, პელეს.

**- მარადონა?**

- ის კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ პელეს დონემდე ვერ მივა. მით უმეტეს, რომ ცუდი მაგალითი მისცა ახალგაზრდობას. თანამედროვე ფეხბურთი დოპინგმა ჩაკლა.

**- ფეხბურთიდან რომ წახვედით, რა საქმეს მოკიდეთ ხელი?**

- სან-პაულოში გავხსენი ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, რომელშიც უამრავი ნიჭიერი ბავშვი იზრდება.

**- ახალი ჟაირზინიო თუ არის მათ შორის?**

- რა თქმა უნდა. მერწმუნეთ, ტალანტების აღმოჩენის კარგი ალღო მაქვს. ბრაზილიაში უამრავი ტექნიკური ბავშვია, თუმცა მე ყოველთვის ისეთებს ვეძებ, ვისაც მარტო ფეხებით კი არა, თავით თამაშიც შეუძლია. თავის დროზე რონალდო მე აღმოვაჩინე და მას ბრწყინვალე მომავალი ვუწინასწარმეტყველე.

## კურიოზები

აგერ უკვე ერთი კვირა სრულდება, რაც მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო. რამდენიმე საინტერესო მატჩიც ვიხილეთ, თუმცა ამჯერად წმინდა საფეხბურთო თემას გადავუხვევთ და მუნდიალზე მომხდარ სკანდალებსა და კურიოზებზე მოგითხრობთ.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც ინგლისი-პარაგვაის მატჩს ბრიტანეთის რამდენიმე ქალაქში სერიოზული არეულობა მოჰყვა, ტელეკომპანია ბი ბი სის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია მატჩების ტრანსლირება ქალაქის მთავარ მოედნებზე დამონტაჟებულ დიდ სატელევიზიო ეკრანზე. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ბი ბი სის ხელმძღვანელებსა და ინგლისელ სამართალდამცავებს შორის, გამორიცხული არ არის, რომ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ მატჩების ტრანსლირება საერთოდ შეწყდეს. შეგახსენებთ: ინგლისი-პარაგვაის მატჩის დროს ლივერპულის ცენტრალურ მოედანზე ისეთი აურზაური ატყდა, რომ პოლიციელები იძულებული გახდნენ მოჩხუბრების დასაშოშმინებლად ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინათ. ლონდონში ჩხუბში 200 ადამიანი იღებდა მონაწილეობას.

■ ■ ■

არანაკლებ შემზარავი ფაქტი მოხდა ჰაიტის კუნძულზე. მართალია, ამ ქვეყნის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არ მონაწილეობს, მაგრამ ფეხბურთი ჰაიტელებსაც უყვართ, თანაც იმდენად ფანატიკურად, რომ ზოგიერთი მზადაა მკვლელობაზეც კი წავიდეს. კერძოდ, ჰაიტიზე მოხდა შეტაკება ორ შეიარაღებულ დაჯგუფებას შორის. დაპირისპირების მიზეზი კი ფეხბურთი იყო. საქმე ის არის, რომ ორივე დაჯგუფების წევრებს უნდოდათ გენერატორის მოპოვება, რათა ტელეტრანსლაციისთვის ეყურებინათ. ჰაიტელები უბრალო მუშტიკრივით არ შემოიფარგლენ და საქმეში ცეცხლსასროლი იარაღი ჩაერია. შედეგად დაიღუპა 6 ადამიანი.

■ ■ ■

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი კაფუ შესაძლოა სატუსაღოში აღმოჩნდეს. ამის მიზეზი მსოფლიო ჩემპიონატი არ გახლავთ, თუმცა საქმე მაინც ფეხბურთს ეხება. თურმე კაფუს იტალიის მოქალაქეობა ყალბი დოკუმენტებით მიუღია. 1998 წელს კაფუმ რომის სასამართლოში წარადგინა ცნობა, რომ მის ცოლს იტალიელი წინაპრები ჰყავს. ასე რომ, მას არ გასჭირვებია იტალიური პასპორტის აღება, რის შემდეგაც ევროპულ კლუბებში ის უცხოელად აღარ ითვლება. ახლა კი ირკვევა, რომ საბუთები ყალბია. თუ კაფუს დანაშაული დამტკიცდა, ბრაზილიის ნაკრების კაპიტანს ცხრათვიანი პატიმრობა ემუქრება.

■ ■ ■

სომალიში ისლამისტებმა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ყურება აკრძალეს. გასულ შაბათს ისლამისტმა მებრძოლებმა სომალის დედაქალაქი დაიკავეს. მათ რატომღაც თვალში არ მოუვიდათ ფეხბურთი, არადა, თითქმის მთელი ქალაქი ადევნებდა თვალყურს მუნდიალის გახსნას და პირველ მატჩს. ცოტა ხნით ადრე ისლამისტებმა ინდური ფილმების ჩვენებაც აკრძალეს, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს უზნეობაა. ახლა კი ფეხბურთიც აითვალწუნეს.

■ ■ ■

ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს ფიფაში გაარკვიოს, თუ რატომ არ აძლევდნენ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს პარაგვაისთან მატჩისას წყლით სავსე ბოთლებთან მისვლის საშუალებას.

ვინც თვალყურს ადევნებს მუნდიალის მატჩების ტელერეპორტაჟებს, შეამჩნევდა, რომ ყოველი პაუზის დროს ფეხბურთელები ტექნიკურ ზონასთან მიირბენენ და წყალს სვამენ ხოლმე. ინგლისელებს კი ამის უფლება არ მისცეს. აი, რა თქვა ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა ჯო კოულმა პარაგვაელებთან გამართული მატჩის შემდეგ: "რამდენჯერმე, როცა წყლის დასალევად ტექნიკურ ზონას მივუახლოვდი, სტადიონის მომსახურე პერსონალმა გამაჩერა და ამის საშუალება არ მომცა. არ ვიცი, რატომ ხდებოდა ასე, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ფეხბურთელისთვის საჭიროა მისთვის სასურველი რაოდენობის სითხის მიღება ასეთ ცხელ ამინდში."

თუმცა, ინგლისის ნაკრების ექიმები შეწუხებული არიან იმ ფაქტით, რომ ინგლისელები მინდორზე წყლის სმის მეტს არაფერს აკეთებენ. შაბათის მატჩის დროს ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა მთლიანობაში 70 ლიტრი წყალი დალიეს. ცხადია, ექიმებისა და კოულის განცხადებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სტადიონის მომსახურე პერსონალმა მხოლოდ ჯო კოული ამოიჩემა და მარტო მას არ აძლევდნენ წყლის დალევის საშუალებას.

# კლაუდია შიფერი და მიხაელ შუმახერი: გერმანია ფინალში ითამაშებს!

ჩემპიონატის მასპინძელ ბუნდესნაკრებს, ცხადია, სამშობლოში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, მათ შორის ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც "ფორმულა 1"-ის რეკორდსმენი პილოტი, გერმანელი მიხაელ შუმახერი და ტოპ-მოდელი კლაუდია შიფერი არიან.

შიფერს ჩემპიონატის საზეიმო ცერემონიალის გახსნის პატივიც ხვდა წილად და მსოფლიო თასი ფეხბურთის მეფე პელესთან ერთად ასწია. ბუნებრივია, მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალბატონი მუნდიალზე თავისი ქვეყნის პირველ გუნდს უჭერს მხარს:

**- ხომ არ ნერვიულობდით, როცა მოედანზე პელეს მხარდამხარ გახვედით და მსოფლიო თასი ასწიეთ?**

- ასე არასოდეს მინერვიულია, მაშინაც კი, როცა პოდიუმზე პირველად გავედი. ისე ვღელავდი, ნერვიულობისგან მაცახცახებდა კიდეც.

**- ყველაზე მეტად რომელი მსოფლიო ჩემპიონატი დაგამახსოვრდათ?**

- განსაკუთრებულად ვერც ერთს ვერ გამოვყოფ. ფეხბურთი ჩემთვის, პირველ რიგში, მაინც ოჯახთან ასოცირდება. ზაფხულობით მთელი ოჯახი ქალაქგარეთ გავდიოდით და ფეხბურთს ვთამაშობდით ხოლმე. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, ყველაზე დაუვიწყარი 2002 წლის მუნდიალი იყო, როცა ბრაზილიამ გერმანია დაამარცხა. თუმცა, ამ მომენტს ყოველთვის ტკივილით ვიხსენებ.

**- თუ არსებობს მატჩები, რომელსაც ვერ გამოტოვებთ?**

- რა თქმა უნდა. ნახევარფინალებსა და ფინალებს არასოდეს ვაკლდები. მით უმეტეს, როცა გერმანია და ინგლისი ხვდებიან ერთმანეთს.

**- გერმანიის ახალი სტადიონები როგორ მოგწონთ?**

- ჩემი აზრით, მიუნხენის "ალიანს სტადიონს" მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს.

**- დაბოლოს, რომელ ეტაპამდე გააღწევს გერმანიის ნაკრები?**

- რა თქმა უნდა, ფინალამდე.



*კლაუდია შიფერი გერმანია-კოსტა რიკის მატჩზე.*

**მიხაელ შუმახერი:**

**- კმაყოფილი ხართ თქვენი ნაკრების პირველი თამაშის შემდეგ?**

- უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. დასაწყისითვის კარგი სტარტი ავიღეთ. ოთხი გოლი ხუმარობა არ არის. ჩემი აზრით, იმ თამაშში მიღებული გამოცდილება ჩვენებს პოლონეთთან და ეკვადორთან წაეხმარება. ვფიქრობ, ორივე ეს მატჩი უფრო მძიმე იქნება.

**- თქვენი აზრით, კლინსმანის გუნდში რა არის დასახვეწი?**

- მცირე, უმნიშვნელო დეტალები ყოველთვის გასაუმჯობესებელია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მწვრთნელმაც და ფეხბურთელებმაც კარგად იციან, რა როგორ უნდა გააკეთონ.

**- ფორმულა 1-ის განახლება ჩემპიონატის მატჩების ყურებაში ხელს არ შეგიშლით?**

- იმედი მაქვს, ამერიკასა და კანადაში დროს გამოვნახავ, რომ გერმანიის თამაშებს ვუყურო. მონრეალის გრან-პრიმდე რამდენიმე დღე დასვენება მექნება და ამ დროს ოჯახთან ერთად ტელევიზორთან გავატარებ. ბუნდესნაკრებს კი მატჩების წინ განსხვავებული სასმისით დავლოცავ.

**- ჩემპიონი ვინ გახდება?**

- პროგნოზირება ძალიან ძნელია. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის წინ ვინმე წარმოიდგენდა, რომ საბერძნეთი გაიმარჯვებდა? რა თქმა უნდა, გერმანიას, ისევე როგორც იტალიას, ჩემპიონობის დიდი შანსი აქვს.

# მეცნიერება და ფეხბურთი

უილ ნაიტი
NEW SCIENTIST

მას შემდეგ, რაც მსოფლიო საფეხბურთო ციებ-ცხელებამ მოიცვა და გერმანულად დავარცხნილ მინდვრებზე მსოფლიო ჩემპიონატი გახურდა, New Scientist "ბრწყინვალე თამაშთან" დაკავშირებით აქვეყნებს მეცნიერულ პუბლიკაციებს, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივართათვის, მით უმეტეს, დღეს, სწორედ რომ მისწრება უნდა იყოს.

**1. სპორტის ყველაზე ამაღლევებელი სახეობა**

წლეულს, იანვარში გამოქვეყნებული ("სიურპრიზები ფეხბურთს სპორტის საუკეთესო სახეობად გარდაქმნის") მათემატიკური გამოკვლევები იმაზე მიუთითებს, რაზეც მილიონობით გულშემატკივარი ისედაც ეჭვობდა: ფეხბურთი არა მარტო სპორტის საუკეთესო სახეობაა, არამედ ყველაზე ამაღელვებელი. თუ, რა თქმა უნდა, მღელვარებას "დამწუხრების სიხშირით" გავზომავთ, ან იმის ალბათობას, რომ ჩამოწერილი უილბლო ნაკრები დაამარცხებს თქვენთვის სათაყვანებელ გუნდს. ამ შემთხვევაში ფეხბურთი გაცილებით მეტ მღელვარებას იწვევს, ვიდრე, ვთქვათ, კალათბურთი, ბეისბოლი ან ჰოკეი.

**2. გამარჯვებულთა გამოცნობა**

თუ არ შეგიძლიათ გადაიტანოთ ხუთი კვირა და 64 მატჩი იმისთვის, რომ შეიტყოთ, ვინ გაიმარჯვებს, ამისთვის არსებობს მათემატიკური ფორმულები, რომელიც წინასწარვე გვამცნობს გამარჯვებულის ვინაობას ("წარმატების ფორმულა მსოფლიო ჩემპიონატზე", Guardian). შესაბამისი ფორმულით ვიტყობთ, რომ საუკეთესო შანსები აქვს ბრაზილიას, შემდეგ საფრანგეთს, გერმანიასა და ჰოლანდიას. ინგლისს ფავორიტთა შორის მეცხრე ადგილი უკავია. ამის გამო წერილის ავტორი უილ ნაიტი მიიჩნევს, რომ ფორმულაში სერიოზული დეფექტია, თუმცა... ისე, ურიგო არ იქნება, თუ ინგლისიც კი ცუდად იასპარეზებს. კერძოდ, 2005 წლის სტატისტიკური მონაცემები ("გამარჯვება კარგია, მაგრამ დამარცხება უფრო უსაფრთხოა") გვიჩვენებს იმის ალბათობას, რომ მათი გუნდის დამარცხების შემთხვევაში გულშემატკივრები აჯანყდებიან და ერთმანეთს დააშავებენ.

**3. მშფოთვარე გამოხდომები**

აგრესიულ გულშემატკივრებთან გამკლავების სხვა საშუალებაა აკუსტიკური სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, ჰოლანდიაში შეიმუშავეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სკანდირებისას მსუბუქი ექოს შეტანა იმდენად აბნევს ბრბოს, რომ მას უნისონში ყვირილის უნარი ეკარგება ("ხულიგანთა სკანდირებას ექო ახშობს").

**4. წითელი - გამარჯვებულთა ფერი**

გამოკვლევების თანახმად, მენეჯერებსა და მოთამაშეებს მოწინააღმდეგეებთან უპირატესობა ეძლევათ. ყოველ შემთხვევაში, ასეთია მეცნიერული პირობა. მაგალითად, ბრიტანეთის უნივერსიტეტის - დარემის მეცნიერებმა შარშან, მაისში გამოაქვეყნეს ნაშრომი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ მოგების საუკეთესო შანსები აქვს იმას, ვინც წითელი ფორმით თამაშობს ("თუ გამარჯვება გსურთ, თქვენი ფერი წითელია").

**5. იდეალური ბუცები**

საფეხბურთო ამუნიციის სფეროში მრავლადაა ნოვატორული იდეები. საწარმოო ტექნოლოგია, სახელად ლაზერული შედუღება, შესაძლოა, ძალიან მალე გამოიყენონ ბუცების წარმოებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, განკუთვნილი იქნება იდეალურად შესაფერი მოთამაშეებისთვის ("ფეხსაცმელი ინდივიდუალური საზომებით იდეალურად ზის"), ხოლო "ჭკვიანი" მასალა d3, რომელიც, ჩვეულებრივ, მოქნილია, მაგრამ დარტყმისას მტკიცე ხდება, მისი გამოყენება შესაძლებელია მეკარის ხელთათმანების დასახვეწად და სხვა დამცავი საშულებებისთვის ("მოთხილამურეები ირჩევენ ჭკვიან ჯავშანს").

**6. ჭიტლაყი ტრუსებში**

კიდევ ერთი უჩვეულო იდეა: ესაა "ჰაპტიკური სპორტული ამუნიცია", რომელიც შედგება სოლენოიდებისგან, რომელიც ვარჯიშისას მსუბუქად უბიძგებს სპორტსმენს. ასეთი ტანისამოსი ზუსტად განსაზღვრავს ამა თუ იმ ილეთის არასწორად შესრულებას და იმაზე მიანიშნებს, თუ კუნთების რომელი ჯგუფი იძაბება ("ტანისამოსი სპორტსმენს ჭიტლაყს სთავაზობს").

**7. თვალი ცისკენ**

მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის კულისებს მიღმა რამდენიმე ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიას გამოცდიან. სათვალთვალო კამერების ქსელი სტადიონზე თვალყურს მიადევნებს გულშემატკივრებს, ხოლო საიტები თამაშის პირდაპირ ტრანსლაციას განახორციელებენ. ასევე გადასცემენ ახალ ამბებსა და დისკუსიებს ("ინფორმაციული ტექნოლოგიების დღესასწაული მსოფლიო ჩემპიონატზე", ZDNet News).

**8. შეუძლებელი თამაშგარე მდგომარეობა**

ასეთი რამ სიახლე არ არის არც გულშემატკივრებისთვის და არც მოთამაშეთათვის. 2000 წელს ჰოლანდიაში ჩატარებულ გამოკვლევებს იქამდე მივყავართ, რომ არასწორი გადაწყვეტილებებისგან თავის დაზღვევა შეუძლებელია. მიზეზი ისაა, რომ მსაჯს არ შეუძლია ერთდროულად მიადევნოს თვალი მოთამაშეს და ბურთს ("მსაჯებს არ შეუძლიათ შეცდომა არ დაუშვან").

**9. დააკვირდით ბურთს!**

ნაშრომი, რომელიც 2006 წლის მარტში ბელფასტის სამეფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს, ვარაუდობს, რომ ჩვენს თვალს არ შეუძლია ჩახვეულად მქროლავი ბურთის ტრაექტორიის წინასწარ განსაზღვრა. ასეთი ცნობა მეკარეებისთვის კარგი ცნობა არ არის. განსაკუთრებით მათთვის, ვისაც საქმე აქვთ დევიდ ბექჰემისა და რობერტო კარლოსის თავისუფალ დარტყმებთან ("მოძრაობა მხედველობას ატყუებს").

**10. თავით დარტყმა**

მეცნიერული გამოკვლევები ნათელს ჰფენს ფეხბურთისთვის სპეციფიკურ ტრავმებს. თავური დარტყმა კისრის ტრავმაში გადადის ("თავით ბურთთან შეხება კისრის ტკივილს იწვევს"). სპორტის ეს სახეობა ზრდის მოძრავი ნეირონების დაავადების რისკს ("ფეხბურთი დაკავშირებულია მოძრავი ნეირონების დაავადებებთან").

**11. რობოტების ფეხბურთი**

შორეულ პერსპექტივაში ადამიანების ნაცვლად ალბათ რობოტები ითამაშებენ. რობოტებმა უკვე ისწავლეს მაგიდის ფეხბურთის თამაში ("რობოტები მაგიდის ფეხბურთის სათამაშოდ გადიან"), ხოლო ზოგიერთი რობოტი უკვე გარდაიქმნა ღირსეულ მოწინააღმდეგედ ("Segways-ს რობოტები ადამიანებთან ფეხბურთს იწყებენ").

ასე რომ, ისღა დაგრჩენიათ, მსოფლიო ჩემპიონატს უყუროთ და შეიცხადოთ, რატომაა, რომ მსაჯები შეცდომებს უშვებენ.

# პოლიტიკური შეცდომა

ბრაზილიის ნაკრების ფორვარდის რონალდოს მეგობარმა გოგონამ რაიკა ოლივეირამ პირობა დადო, რომ შურს იძიებს ბრაზილიის პრეზიდენტზე, რადგან ამ უკანასკნელმა რონალდოს შეურაცხყოფა მიაყენა.

საქმე ის არის, რომ ბრაზილიის პრეზიდენტმა არასწორი ნაბიჯი გადადგა. ლუიშ ინასიო ლულა და სილვამ მუნდიალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა, რომ რონალდოს ნაკრებში აყვანა არასწორია, რადგან ფეხბურთელი ნამეტანი გასუქდა.

ცხადია, ეს ფრაზა რონალდოს არ მოეწონა და პასუხმაც არ დააყოვნა: მე თუ მსუქანი ვარ, ჩვენი პრეზიდენტი ლოთიაო, - უთქვამს რონალდოს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ასეთი რამ საქართველოში მომხდარიყო. ძნელი წარმოსადგენია, არა?

მაგრამ ბრაზილიაში ფეხბურთელებს აღმერთებენ და ლულა და სილვასაც, რომელმაც ცოტა ხანში არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა, საქმე სერიოზულად გაუფუჭდა. ბრაზილიელი პოლიტექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ ამ სიტყვების შემდეგ ლულა და სილვას რეიტინგი საგრძნობლად დაეცემა.



*რონალდოს სიმსუქნე დააბრალეს.*

პრეზიდენტს არც რონალდოს შეყვარებულმა დააკლო. თუ რონალდო სქელია, მეც სქელი ვყოფილვარ, ლულა და სილვას კი, რაც არ ესმის, ჯობს იმაზე ნუ ილაპარაკებსო.

რაიკას თქმით, ის აუცილებლად წავა არჩევნებზე და არაფრით არ მისცემს ხმას მოქმედ პრეზიდენტს. იგივეს ურჩევს ბრაზილიელებსაც. იმის გამო, რომ თავად რაიკაც ძალიან პოპულარული მოდელია ბრაზილიაში, ლულა და სილვას შანსი მომავალ არჩევნებში გამარჯვებაზე მცირდება.

ერთი კია. ყველაფერი ალბათ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებს ბრაზილიის ნაკრები მუნდიალზე. ვინ იცის, იქნებ პრეზიდენტი მართალიც გამოდგეს და რონალდომ მუნდიალი ჩააგდოს. თუმცა, გულშემატკივრები არც ამ შემთხვევაში აპატიებენ მას უსაყვარლესი ფეხბურთელის შეურაცხყოფას.

## ქართველი ტიფოზის სვეტი

დიანა ჩაჩუა

- რიო ფერდინანდი!
- ვარ...
- ჯონ ტერი!
- არ არის...
- ფრენკ ლამპარდი!
- არ არის...
- დევიდ! არც დევიდია?
- არც ეგ არის...
- ოუენ! შენ არა, მეორე - მაიკლ!
- არც ეგ არის.
- ლენონ!
- ეგ 25 წელია ჩვენს გულებში ცოცხლობს!!! 1981-ში გავიდა გალმა...
- რას სულელობთ! სად არის აარონ ლენონი?
- არ გახლავთ...
- ჰარგრეივსი?
- მე აქ ვარ...
- ჯო კოულ!
- აქ ვარ, შენი ჭირიმე!
- სოოოლ!! კემპბელ!
- არ არის, დამრიგებელო...
- კი მაგრამ, რა ხდება, ამიხსენით! რიო, ფეხი ფეხზე რომ გადაგიდია და ოცნებებში დაფრინავ, რა ხდება, სად არის ნახევარი გუნდი?
- საქმე ის არის, რომ რუნი თავს ცუდად გრძნობდა და ჯონ ტერიმ, ფრენკ ლამპარდმა, დევიდ ბექჰემმა, მაიკლ ოუენმა, სოლ კემპბელმა და აარონ ლენონმა სასტუმროში გააცილეს...
- შენ რატომ არ გაყევი, ფერდინანდ? რა იყო, ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა? ეს რა უმსგავსობაა! ერთ საათში ყველა აქ იყოს, თორემ მე მაგათ...

ჯობს აქ შევჩერდეთ. რა მოხდა შემდეგ, მაგის გამოცნობა თქვენთვის მომინდვია…

თუმცა, შაბათს კინოთეატრ "რუსთაველში" შეკრებილ ინგლისის ნაკრების ფანებს გუნდი სრულ შემადგენლობაში დახვდა. თვით შეუძლოდ მყოფი რუნიც კი არ აკლდა მოედანს, უფრო სწორად, სტადიონს, რადგან ეს უკანასკნელი სათადარიგო სკამიდან მოწყენილი იყურებოდა. ჩვენი დედაქალაქის ცენტრში ნანახ სიტუაციას ასე იოლად, უბრალოდ, სიტყვებით ვერ გადმოსცემ. თბილისში ატეხილი სამუნდიალო ეიფორიის შემხედვარემ პირველად ვინატრე ტელეჟურნალისტი ვყოფილიყავი, რომ ეს ემოციები თქვენთვის გადმომეცა. შესაძლოა, ვინმესთვის ეს ძალიან ჩვეულებრივი გულშემატკივრობის გარემოა, თუმცა დღევანდელი საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თაობის წარმომადგენლები ფეხბურთის გულშემატკივრობის ასეთი საბაბით განებივრებულნი ნამდვილად არ ვართ. ამიტომ ოთხი წლის მანძილზე საკუთარი ნაკრების წარუმატებლობით დაღლილი გულშემატკივრები ოთხი წლის თავზე იკრიბებიან და იძულებული არიან სხვა რჯულის ნაკრებს უქომაგონ. თუმცა, თავი იმით დავიმშვიდოთ, რომ მსოფლიოში ჩვენზე ძლიერი ნაკრების მქონე ბევრი ასეთი ქვეყანაა.

საქართველოში სპორტის ამ სახეობის მიმართ ყოველთვის იგრძნობოდა განსაკუთრებული, ხაზს ვუსვამ - განსაკუთრებული დამოკიდებულება. წელს საქართველო ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს მაინც განსკუთრებულად შეხვდა. ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, სპონსორების აქტიურობის სეირიოზული ხელი ატყვია. ნებისმიერ შემთხვევაში მე კმაყოფილი ვარ, მეტიც ბედნიერი. მე ხომ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ: "არა უშავს, ჩვენი ბიჭები ცდილობდნენ. ...წელს ...-ში გამართულ ჩემპიონატზე კი აუცილებლად გაგვიმართლებს". წერტილების ნაცვლად ჩემპიონატის თარიღისა და ადგილის ჩაწერის პრეროგატივა თქვენი ფანტაზიისთვის მიმინდვია.

მთელი საქართველო ცისარტყელას ფერებში გამოწყობილი და სხვადასხვა "შტაბებში" დაბანაკებული რომ დავინახე, მივხვდი: მოქმედების დრო დადგა. მატჩების შინ ყურება არც აქამდე მომწონდა, ახლა მით უმეტეს... ერთი შესწორება: თქვენ ახლა იტალიელი გულშემტკივრის, იგივე ტიფოზის წერილს კითხულობთ. მოკლედ, გადავწყვიტე თბილისში გახსნილ ყველა ქვეყნის ფანკლუბს ვწვეოდი და მათი ფავორიტის მატჩისთვის მათთან ერთად მეყურებინა.

"მტრის ბანაკების" შესწავლა ინგლისით დავიწყე.

კინოთეატრ "რუსთაველში" წასასვლელად მზადება ადრიანად დავიწყე. ხუმრობა ხომ არ არის "ინგლისელ" ფანებთან ერთად ფეხბურთის ყურება?! "რუსთაველის" შესასვლელთან ინგლისის ფორმაში გამოწყობილი მეგობარი დამხვდა, რომელმაც მოულოდნელად ფანების ჰიმნის ტექსტი, გუნდის ძირითადი შემადგენლობა შემომაჩეჩა და ტაშისა და "ENGLAND"-ის შეძახილის თანხლებით უცნაური მოძრაობების შესრულება დაიწყო, აქაოდა, მატჩის დაწყებამდე გაერკვიეო. ინგლისის ნაკრების შემადგენლობა ჩემთვის უცნობი არასოდეს ყოფილა. სხვა საქმეა ჰიმნი "IT'S COMING HOME"-ის შესრულება და იტალიის ნაკრების გამოჩენისას გამაყრუებელი გუგუნის ატანა. ტიფოზების წინაშე გულზე ხელს ვიდებ: "ინგლისელ" ფანებთან მისვლის ერთადერთი განზრახვა ცნობისმოყვარეობა იყო. ისე კი, ლამაზი ფეხბურთი, იტალია ასრულებს მას თუ ინგლისი, ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. უბრალოდ, ინგლისის ნაკრების თამაშის ყურებისას თვალს და გონებას უხარია მხოლოდ. აი, იტალიელების ყურებისას კი უმნიშვნელოვანესი - გულიც ერთვება. აქ უკვე ველარაფერი გაჭრის. ტიფოზობა - სამუდამო დაავადებაა. . .

"დავანგრიოთ გერმანია და ფინალში მოვუგოთ ბრაზილიას," - არ ცხრებოდნენ ქართველი "ინგლისელი" ფანები პარაგვაის წინააღმდეგ მატჩის დაწყებამდე. მერე ამას მოსდევდა ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ჩამოთვლა და ყოველ გვარზე გამაყრუებელი ტაში. დევიზიც ფრიად ორიგინალური მოუფიქრებიათ - ხან მოვიგებთ, ხან მოვიგებთ... "პარაგვაის ჩვენი უუუუუუუუუუუუუუუუუუუუუ და მერე ჩვენი საფირმო ტაშიიიიიიიიიიიი!!!!"

ინგლისელ ფანებს გულწრფელად სჯერათ თავისი გუნდის. ამ შემთხვევაში არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ რეალურად ინგლისი ფიფას რეიტინგში მხოლოდ მე-10 ადგილზეა. ზოგი თავს იმით იმშვიდებს, რომ წარსულში ნაკრებისთვის ყველა წარუმატებელ ჩემპიონატში გუნდს რაღაც ემართებოდა. ასე მაგალითად: გლენ ჰოლდი რომ არა, თავისი მედიუმების თანხლებით... ეს "სულელი ბიჭი" (ასე შეარქვეს ბექჰემს 1998 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული წითელი ბარათის შემდეგ) რომ არა... აი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი რომ კიგანი (ევროპის 2000 წლის ჩემპიონატი) ან ერიქსონი არ ყოფილიყვნენ... და ასე უსასრულოდ...

"რუსთაველში" თავმოყრილი ფანების მხრიდან ყველაზე ხშირად ერთი შეკითხვა ისმოდა: ვინ გაიტანს გოლებს? ერთ-ერთი ინგლისური გაზეთის ვებ-გვერდზე წავიკითხე: ნაკრების თავდასხმაში იქნებიან: "კოჭლი" (რუნი), "ნახევრად კოჭლი" (ოუენი), "კეთილი გოლიათი" (კრაუჩი) და "ჩვილი" (უოლკოტი). რას იზამ, რეალობას ვერ გაექცევი...

ის, რომ ინგლისი ჩემი ფავორიტის სახიფათო მეტოქეა, პირველი ტაიმის დასასრულისთვის უკვე კარგად მქონდა გააზრებული (თუმცა, ეს იქამდეც გაცნობიერებული მქონდა). თუმცა, ინგლისელი ფანების მსგავსად, ტიფოზებსაც ჩვენი გუნდის არანაკლებ გვჯერა, თუ მეტად არა... აბა, ტიფოზებო, ჩვენი საფირმო ტაში და FORZA ITALIAAAAAAAAAAAAAAAAAAA!!!

## ვიდიჩისთვის მუნდიალი დასრულდა

სერბეთის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ნემანია ვიდიჩი მსოფლიო ჩემპიონატზე ველარ ითამაშებს. ფეხბურთელმა ვარჯიშზე მიიღო მძიმე ტრავმა. "თავს როგორ ვგრძნობ? მკითხეთ, რაც გინდათ, ოღონდ ამას ნუ შემეკითხებით. მსოფლიო ჩემპიონატით ვცხოვრობდი, ახლა კი ველარ ვითამაშებ," -განაცხადა ფეხბურთელმა.

სერბეთის ნაკრების მწვრთნელი ილია პეტკოვიჩი კი ფეხბურთელის ტრაგედიას ფილოსოფიურად მიუდგა. "ასეთია ფეხბურთი, ასეთია ცხოვრება", - თქვა პეტკოვიჩმა.

## ვან ნისტელროი "ბაიერნში"

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი შესაძლოა, მიუნხენის "ბაიერნში" გადავიდეს. სააგენტო "სკაი სპორტის" ინფორმაციით, კარლ ჰაინც რუმენიგემ ამ ტრანსფერის თაობაზე ასეთი რამ თქვა: "მას ჯერ კიდევ 2001 წელს უნდოდა "ბაიერნში" გადმოსვლა. ახლა უნდა გადავწყვიტოთ, მართლა ღირს თუ არა ვან ნისტელროი ის თანხა, რომელსაც მასში "მანჩესტერი" ითხოვს."

შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა უკვე გადაწყვიტა ბრიტანული გრანდის დატოვება და მისი ბედი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გაირკვევა.

## შვედებმა იჩხუბეს

შვედეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა მედიას, რომ არ გახმაურდეს ლიუნგბერგსა დე მელბერგს შორის მომხდარი ინციდენტი. "ნუ გაამახვილებთ ამაზე ყურადღებას, ჩხუბი არ ყოფილა, უბრალოდ, ფეხბურთელები წაკინკლავდნენ", - ნათქვამია შვედეთის ნაკრების პრესსამსახურის განცხადებაში.

ტრინიდადთან მატჩის შემდეგ ლიუნგბერგმა მელბერგს პრეტენზიები წაუყენა, რაც შვედეთის ნაკრების მცველმა ვერ მოითმინა და ფეხბურთელებმა იჩხუბეს. საინტერესოა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მელბერგი და ლიუნგბერგი ჩხუბობენ. 2002 წლის მუნდიალზე შვედეთის ნაკრების ერთ-ერთი ვარჯიშისას ამ ორ ფეხბურთელს შორის ნამდვილი მუშტი-კრივი გაიმართა.

## ლიპის შვილს ბილეთი მოჰპარეს

მარჩელო ლიპის 28 წლის ვაჟმა კინაღამ გამოტოვა იტალიისა და განის ნაკრები გუნდების მატჩი.

იტალიის ნაკრების მწვრთნელის ვაჟმა კონვერტში ჩადებული ორი ბილეთი სასტუმროს ჰოლში მაგიდაზე დადო. ცოტა ხანში კი აღმოაჩინა, რომ კონვერტი ვიღაცამ მოიპარა. თუმცა უმცროსი ლიპი მეგობართან ერთად მაინც მოხვდა მატჩზე. მას ორი ბილეთი სპეციალური სარეზერვო ფონდიდან გამოუყვეს.

## კრაუჩი არ იცეკვებს

ინგლისის ნაკრების ფორვარდი პიტერ კრაუჩი გატანილ გოლს რობოტის ცეკვით აღნიშნავს ხოლმე. ამან ტანმაღალ ფორვარდს ინგლისში დიდი პოპულარობა მოუტანა, თუმცა მუნდიალზე კრაუჩი გატანილი გოლების ასე აღნიშვნას არ აპირებს.

"აქ იმისთვის არ ვარ, რომ რობოტივით ვიცეკვო. მე გოლები უნდა გავიტანო, ნაკრებმა კი გაიმარჯვოს", - აცხადებს კრაუჩი.

ისე კი, როგორ აღნიშნავს გოლს კრაუჩი, ინგლისელებს ალბათ სულ არ ადარდებთ. მთავარია, მან გოლი გაიტანოს და შემდეგ რას იზამს, ინგლისელთა ფანებისთვის ნამდვილად სულ ერთია.

## პარაგვაი ძირითადი მეკარის გარეშე

პარაგვაის ნაკრების ძირითადი მეკარისთვის ხუსტო ვილიარისთვის მსოფლიო ჩემპიონატი უკვე დასრულდა. შეგახსენებთ, რომ პარაგვაელთა კიპერმა ინგლისთან მატჩში სრულიად უწყინარ ვითარებაში მიიღო ტრავმა. თავდაპირველად ითქვა, რომ 28 წლის მეკარე მხოლოდ ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოახერხებდა თამაშს, თუმცა ახლა გაირკვა: ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ ვილიარი ვერც შემდეგ ეტაპზე ითამაშებს (იმ შემთხვევაში, თუ პარაგვაის ნაკრები მერვედფინალში გავიდა).

## ტოტის არაფერი ემუქრება

იტალიისა და განის ნაკრები გუნდების მატჩში ალბათ მილიონობით იტალიელ ფანს შეუწუხდა გული, როდესაც მიკაელ ესიენმა ფრანჩესკო ტოტის ფეხებში ჩაარტყა და იტალიელთა ლიდერი მინდვრიდან გაიყვანეს. შეგახსენებთ, რომ ტოტიმ მუნდიალის დაწყების წინ მოიშუშა მძიმე ტრავმა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ განასთან შეხვედრაში მიღებული ტრავმა სერიოზული არ არის და ფრანჩესკო იტალიელთა მომდევნო მატჩში შეძლებს მინდორზე გასვლას.

## ისევ რუნის გარეშე

შანსი იმისა, რომ უეინ რუნიმ ითამაშოს ინგლისისა და ტრინიდადის ნაკრები გუნდების მატჩში, საგრძნობლად შემცირდა. დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფი, რომელმაც გასულ კვირაში გამოკვლევა ჩაუტარა ფეხბურთელს და მას მუნდიალზე თამაშის ნება დართო, გერმანიაში პარასკევამდე ვერ ჩაფრინდება, რათა კიდევ ერთხელ შეამოწმოს მისი ჯანმრთელობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუნი ვერც ტრინიდადის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.

## მსაჯმა ბოდიში მოიხადა

ეგვიპტელმა არბიტრმა ესამ აბდ ელ ფათაჰმა, რომელიც იაპონია-ავსტრალიის მატჩს ემსახურებოდა, ბოდიში მოიხადა ავსტრალიის ნაკრების წინაშე.

შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში იაპონელებმა გაიტანეს პირველი გოლი და იმ მომენტში ზიკოს გუნდის ფეხბურთელებმა აშკარად დარღვიეს წესები, თუმცა მსაჯმა ეს ვერ შენიშნა. "მსაჯი შეიძლება შეცდეს, ისიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ შეცდომის აღიარება ყველას როდი შეუძლია. ეგვიპტელმა არბიტრმა კი ეს გააკეთა. მიმაჩნია, რომ ეს ყველასთვის სამაგალითო უნდა იყოს", - განაცხადა ავსტრალიის ნაკრების მეკარემ მარკ შვარცერმა.

საინტერესოა, რა გუნებაზე იქნებოდნენ ავსტრალიელები და რამდენად მისაღები იქნებოდა მათთვის ეს ბოდიში, მატჩის ბოლო 6 წუთში მათ სამი გოლი რომ არ გაეტანათ და მსაჯის შეცდომის გამო თამაში წაეგოთ.

# თბილისის შვიდკაცა


გოგიტა ბახაიძის ფოტო

თბილისის "შვიდკაცა" მოვიგეთ

საქართველოს რაგბის კავშირი წელს მეოთხედ მასპინძლობს ევროპის შვიდკაცა რაგბის სერიის ერთ-ერთ ეტაპს. შარშან რაგბის კავშირმა 7-კაცას ეს ეტაპი აჭარის რეგიონში რაგბის პოპულარობის ზრდისა და განვითარების მიზნით ბათუმში ჩაატარა. 2005 წლის ბათუმის შვიდკაცაზე საქართველოს ნაკრებმა დაძაბულ ფინალურ ბრძოლაში რუსებთან გაიმარჯვა. 2003-სა და 2004-ში თბილისური შვიდკაცაც მოვიგეთ.

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები სახლში უდავო ფავორიტია და წლების მანძილზე დამკვიდრებული ეს ტრადიცია წელსაც არ უნდა დაირღვეს.

7-კაცა ნაკრებმა არსებობის მცირე პერიოდში ბლომად მწვრთნელი გამოიცვალა: თავიდან შვიდკაცას სორელი მოძღვრავდა, შემდეგ, 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე (11-12 ადგილი) და ირბ-ის ეგიდით გამართულ მსოფლიო რაგბის სერიის ორ ეტაპზე გუნდი ზაზა ლეჟავამ გაიყვანა. 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე და ევროპული რაგბის სერიის ორ ტურნირზე ნაკრებს მალხაზ ჭეიშვილი წვრთნიდა.

2001 წელს არგენტინაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე შვიდკაცაში მეათე ადგილზე გავედით. ამავე წელს მსოფლიო რაგბის სერიის ერთ-ერთი ეტაპის ტურნირზე ნახევარფინალში ვითამაშეთ.

ბოლო დროს ქართული შვიდკაცა აშკარად მოიკოჭლებს - წელს დაბალი სარეიტინგო მაჩვენებლის გამო ირბ-ის მსოფლიო რაგბის სერიის ტურნირებზე არ გამოგვიძახეს. ივნისის დასაწყისში ლუნელსა და მონპელიეში გამართულ ევროპული რაგბის სერიის ტურნირზე IV ადგილის დაკავება მონაწილე გუნდების სათამაშო კლასის გათვალისწინებით წარმატებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება (სატურნირო ცხრილი და თამაშების შედეგები იხილეთ ფირა/აერ-ის ვებგვერდზე).

თბილისის შვიდკაცა, როგორც ევროპული რაგბის სერიის ყველა ტურნირი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპებია. თითო გუნდი ევროპის შვიდკაცა რაგბის სერიის ორ ეტაპზე მონაწილეობს და აქ დაგროვილი ქულებით ირჩევა 12 საუკეთესო, რომელიც მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში (გაიმართება მოსკოვში, 15-16 ივლისს).

ევროპის შვიდკაცას სერიის ტურნირებზე ქულების დარიცხვის სისტემა ასეთია:

I ადგილი . . . . . . . . 16 ქულა
II ადგილი . . . . . . . . 12 ქულა
III ადგილი . . . . . . . . 10 ქულა
IV ადგილი . . . . . . . . 10 ქულა
V ადგილი . . . . . . . . 8 ქულა
VI ადგილი . . . . . . . . 8 ქულა
VII ადგილი . . . . . . . . 6 ქულა
VIII ადგილი . . . . . . . . 4 ქულა
IX ადგილი . . . . . . . . 2 ქულა
X ადგილი . . . . . . . . 0 ქულა

ლუნელსა და მონპელიეში გამართულ ტურნირში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იყო ვასილ აბაშიძე.

თბილისის ეტაპზე გუნდის მწვრთნელები იქნებიან მამუკა ტყეშელაშვილი და კახა ალანია. ნაკრები ივარჯიშებს "შევარდენის" ბაზაზე.

თბილისის ტურნირი გაიმართება 17-18 ივნისს "ლოკომოტივის" სტადიონზე.

ქვემოთ მოყვანილია ინფორმაცია ტურნირში მონაწილე გუნდების რეიტინგის, ქვეჯგუფებისა და ტურნირის პროგრამის შესახებ.

### რეიტინგი 2005 წლის შედეგების მიხედვით

1. რუსეთი
2. საფრანგეთი
3. გერმანია
4. **საქართველო**
5. უკრაინა
6. ლატვია
7. მონაკო
8. ბულგარეთი
9. აზერბაიჯანი
10. ისრაელი

### ქვეჯგუფები

| "ა" ქვეჯგუფი | | | "ბ" ქვეჯგუფი | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **A1** | რუსეთი | 2 | **B1** | საფრანგეთი |
| 4 | **A2** | საქართველო | 3 | **B2** | გერმანია |
| 5 | **A3** | უკრაინა | 6 | **B3** | ლატვია |
| 8 | **A4** | ბულგარეთი | 7 | **B4** | მონაკო |
| 9 | **A5** | აზერბაიჯანი | 10 | **B5** | ისრაელი |

### ტურნირის პროგრამა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **შაბათი 17 ივნისი** | | | |
| 1 | A5 | აზერბაიჯანი | - | რუსეთი | A1 |
| 2 | B5 | ისრაელი | - | საფრანგეთი | B1 |
| 3 | A2 | საქართველო | - | უკრაინა | A3 |
| 4 | B2 | გერმანია | - | ლატვია | B3 |
| 5 | A1 | რუსეთი | - | ბულგარეთი | A4 |
| 6 | B1 | საფრანგეთი | - | მონაკო | B4 |
| 7 | A2 | საქართველო | - | აზერბაიჯანი | A5 |
| 8 | B2 | გერმანია | - | ისრაელი | B5 |
| 9 | A3 | უკრაინა | - | ბულგარეთი | A4 |
| 10 | B3 | ლატვია | - | მონაკო | B4 |
| 11 | A1 | რუსეთი | - | საქართველო | A2 |
| 12 | B1 | საფრანგეთი | - | გერმანია | B2 |
| 13 | A3 | უკრაინა | - | აზერბაიჯანი | A5 |
| 14 | B3 | ლატვია | - | ისრაელი | B5 |
| 15 | A2 | საქართველო | - | ბულგარეთი | A4 |
| 16 | B2 | გერმანია | - | მონაკო | B4 |
| | | **კვირა 18 ივნისი** | | | |
| 17 | A1 | რუსეთი | - | უკრაინა | A3 |
| 18 | B1 | საფრანგეთი | - | ლატვია | B3 |
| 19 | A4 | ბულგარეთი | - | აზერბაიჯანი | A5 |
| 20 | B4 | მონაკო | - | ისრაელი | B5 |
| | | **ნახევარფინალი (სინი)** | | | |
| 21 | 3. A | პული A ადგილი 3 | - | პული B ადგილი 4 | 4. B |
| 22 | 4. A | პული A ადგილი 4 | - | პული B ადგილი 3 | 3. B |
| | | **ნახევარფინალი (თასი)** | | | |
| 23 | 1. A | პული I A ადგილი 1 | - | პული B ადგილი 2 | 2. B |
| 24 | 2. A | პული A ადგილი 2 | - | პული B ადგილი 1 | 1. B |
| | | **პლეი-ოფები** | | | |
| | | **მე-9 ადგილისთვის (Bowl Final)** | | | |
| 25 | 5. A | პული A ადგილი 5 | - | პული B ადგილი 5 | 5. B |
| | | **მე-7 ადგილისთვის** | | | |
| 26 | 21 | დამარცხებულები 21 | - | დამარცხებულები22 | 22 |
| | | **მე-5 ადგილისთვის (სინის ფინალი)** | | | |
| 27 | 21 | გამარჯვებულები 21 | - | გამარჯვებულები22 | 22 |
| | | **მე-3 ადგილისთვის** | | | |
| 28 | 23 | დამარცხებულები 23 | - | დამარცხებულები24 | 24 |
| | | **პირველილი ადგილისთვის (თასის ფინალი)** | | | |
| 29 | 23 | გამარჯვებულები 23 | - | გამარჯვებულები24 | 24 |

*დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის ოფისს (ტელ.: 294 754 / 294 763 / 235 693) ან უშუალოდ გიორგი მამარდაშვილს (ტელ.: 895 221 005).*

# 101 წელი კივთა უძლეველად



რაგბის სამხრეთული ტესტების პირველ უიკ-ენდზე ოთხივე მასპინძელმა გაიმარჯვა: ზელანდიამ ულამაზეს თამაშში ბოლოსლა აჯობა ირლანდიას, ავსტრალიამ გაუვალი დაცვით გააბითურა ფაზურ რაგბიზე გადარეული ინგლისი, აფრიკამ შერკინებით თავიდანვე დაიბრიყვა შოტლანდია და გემოზე იბურთავა, არგენტინამ კი ჭიდაობითა და ფეხოსნობით გასაქანი არ მისცა უელსს.

უკვე 101 წელია ირლანდია ეთამაშება ზელანდიას, მაგრამ ნავსი ვერც ამჯერად გატეხა და მეცხრამეტე შებმაში მეთვრამეტედ დამარცხდა. სამყურებმა საოცრად ლაღად და თამამად ითამაშეს, მაგრამ დასკვნით ათ წუთში ოლ ბლექსის კლასმა მაინც თავისი გაიტანა. ერთი კია: კელტები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ და შაბათს უკეთეს სეირს გვპირდებიან.

ზელანდიამ სტუმრები კიკოფიდან, 43-ე წუთზე დაალელოვა: მალილი მულიაინამ გამოაქცუნა ბურთი, რონან ოგარას გაუჭრა ხაზი, არონ მეიჯერმა (12) კი კუთხისკენ დაგეზა დაგ ჰაულიტი. მერე ძირითადი შემადგენლობის ნახევრით მოთამაშე კივები უეცრად აირივნენ, კიდეზე ზედიზედ სამჯერ უხეიროდ მოიგერიეს ბურთი, ირლანდიამ დერეფნიდან ბეკებით შეუტია და ბრაიან ოდრისკოლმა ნონუ და ჯო როკოთოკო (11) ბითუმად მოაღორა.

ოლ ბლექსს შესვენებამდე დაემტვრა 9 ნომერი ბაირონ კელეჰერი და მის ნაცვლად ჯიმი ქოუანი შევიდა. ირლანდია გასახდელში 8-ქულიანი ფორით წაბრძანდა. თამაშის განახლებისას მასპინძელმა ბეკებმა კვლავ დიდებულად წაიბურთავეს და ხაზში ჩამატებულმა მულიაინამ ორ მბოჭავს აჯობა, მაგრამ ვალში არც სტუმრები დარჩნენ: ფაზური შტურმის ბოლოში ოგარამ ორი მეტოქე მიიზიდა და ალამთან ახლოდან შეგზავნა ნორჩი ენდრიუ თრიმბლი.

დაიწყო ბოლო მეოთხედი, ირლანდია კი კვლავ წინ იყო და უტევდა. აქ ოგარამ დაახაია, შერკინების წინ კი სტუმრები მსაჯთან კამათისთვის დაჯარიმდნენ. ოლ ბლექსმა ფაზური მიძალება დაიწყო, ჯარიმა გამოიმუშავა და ლუკ მაკალისტერმა ზუსტად დაკრა, მერე კი ბებერმა პიტერ სთრინგერმა (9) მიჰქარა, საკუთარი 22-დან მდევრებს კარის პირდაპირ გადაუკიდა ბურთი, ოვალი კელტთა ნაცვლად ნონუმ იხელთა, დამხვური სთრინგერი მოისროლა და ნაკრებში ხუთი წლის შემდეგ დაბრუნებული ტროი ფლეველი ახეირა.

### გრეგანი ბურთში შეეზიარა

ინგლისს ავსტრალიასთან დროის გვარიანი წილი ეპყრა ბურთი, მაგრამ ვერაფერი იხეირა. პომეზმა მთლად ახალი გუნდი ათამაშეს, ოზებს კი მხოლოდ პირველი ხაზი ჰყავდათ გამოუცდელი. დებიუტანტებმა გაამართლეს, მაგრამ ეგეც ჩანდა, რომ მასპინძლები შერკინებაში მაინც მამაძაღლობდნენ, რის გამოც რეფს სამართლის გასაჩენად მეტოქეთა ხელახლა დაწყობა და მალიმალ სტვენა სჭირდებოდა.

მოედანი წვიმისგან წამხდარი იყო. ხაზის გაჭრა ორივე გუნდს უჭირდა. შესვენებამდე სთერლინგ მორტლოქმა ორი გასატანი ჯარიმა გააფუჭა, მაგრამ სამი შეაგდო, ოლი ბარქლმა კი ისეთი ააცილა, ბავშვიც რომ გაიტანდა. ზედ ამ ფათერაკის წინ, როცა ავსტრალია 6:0 იგებდა, მაიკ ქეთმა (12) გადაიკიდა და კართან აიღო, მერე ბარქლმა იენ ბალშოს (15) შეუგორა და ამანაც იხელთა, მაგრამ შემტევს 119-კეპოსანი ჯორჯ გრეგანი (9) ბურთში შეეზიარა და აფრიკელმა ტელი-რეფმა, კრეგ იუბერმა ლელო ველარ ჩათვალა.

პირველი ლელოს გატანას ლამის საათი დასჭირდა. მორტლოქმა დერეფნიდან პასი შეუქცია კრის ლეითემს, ამან კი ქეთს ათოხლა და ბალშოს შემოურბინა. მერე ინგლისმა ერთხელ 20 ფაზა ამაოდ უტია. ოზთა მეორე ლელოზე კლაიდ რესბოუნი (21) საკუთარი 22-დან გამოიქცა და მარკ ჯერარდმა თავისივე გადაკიდებული იღბლად დაიჭირა, ბოლოს კი ვოლაბმა მორკინალებმა ოფლოუდები ზედიზედ გაახერხეს, მარცხნივ ფილ ვო (19) ოვალს დროულად შეელია და 130-კილოიანმა ტანკმა, როდნი "როძილა" ბლეიქმა მსუბუქი მეთიუ ტეიტი (13) გაიტანა.

### ჟანს ნეკნები ჩაემტვრა

თუ ოლ ბლექსმა შარშან იზეიმა 100 წლისთავი, წლეულს ასეთივე იუბილეს აფრიკის ბოკე დღესასწაულობს. ბურებმა სქოთთა შერკინებას ბევრჯერ დაახევინეს უკან და უფრო გამართულად რომ ეთამაშათ, მეტი სხვაობით გაიმარჯვებდნენ. პირველ ლელოზე ჯო ფანიკერკმა (8) 5-მეტრიან შერკინებაში აიტაცა ბურთი და სხალკ ბერგერმა წვალებით ხაზს იქით გადადო, მაგრამ სტუმრები ამტკიცებენ, გადააგორა და ირლანდიელ ტელი-რეფს, საიმონ მაკდოუელს არ უნდა ჩაეთვალაო.

ბოკემ უმალ კიკოფიდან გაიტანა მეორეც, როცა ბერგერმა მოლიდან მოკლე ფრთაზე გაქუსლა, ჟოან სმითმა (7) კი თმამოზრდილი მულატი, ბრეიტონ პოლსე გააჭენა. ზედ შესვენების წინ სქოთმა შონ ლეიმონთმა (11) ხისტად შებოჭა ჟან ლეფილიერსი (12) და თავად გახდა შესაცვლელი, მაგრამ ბოკეს ბეკთა ლიდერმა მესამე ლელოზე რომ გააკეთა გადამწყვეტი პასი, კრის პატერსონმა ხელი კიდევ მოარტყა და ნეკნებჩამტვრეული ქერა ბური ბრძოლას გამოეთიშა.

არგენტინამ პატაგონიაში, XIX საუკუნეში დაფუძნებულ კელტურ კოლონიაში მიიღო უელსი. მავლთულხლართიანი მოედანი ვიწრო იყო, ლელოები კი ისე მოკლე, რომ ხუან-მარტინ ფერნენდეს-იობე სარეკლამო ფარს დაეჯახა. უელსს პირველ ტაიმში ორი მესამეხაზელი გაუსინზინეს და 13 ქულა იზარალა. ტაფიები ბოლოს მაინც წამოეწიენ პუმებს, მაგრამ ამათ სამი წუთი მეტოქის ნახევარზე გაატარეს და თამაშის დასამთავრებლად ჯარიმა კარის ნაცვლად კიდეზე დაარტყეს.

### ზაფხულის ტესტები. პირველი უიკ-ენდი

| | | |
|---|---|---|
| **ზელანდია** | **34:23** | **ირლანდია** |
| **აფრიკა** | **36:16** | **შოტლანდია** |
| **ავსტრალია** | **34:3** | **ინგლისი** |
| **არგენტინა** | **27:25** | **უელსი** |

*მასალა მომზადებულია სარაგბო საიტ rugby.ge-ს მიერ*

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

**სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი**

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტს, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA) და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF). პროექტი ხორციელდება სამი მიმართულებით: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა, რომელიც გამოიცდება ერთ-ერთი შერჩეული მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე; (გ) გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმის პილოტირებისთვის შერჩეულია მევენახეობისა და მეხილეობის პრიორიტეტული მიმართულებები. რეფორმა ხორციელდება სსიპ- მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტსა და სსიპ- საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრებზე. აღნიშნული ინსტიტუციური რეფორმის მოდელი შემუშავებულია და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ გამოყოფილი სესხის სახსრების ნაწილის გამოყენება კონსულტანტის (ფიზიკური პირის) დასაქირავებლად, რომელის ამოცანაა დაეხმაროს სსიპ-საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტსა და სსიპ-საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრებს კვლევისა და სწავლების თანამედროვე დონეზე განხორციელებისათვის საჭირო აპარატურისა და ხელსაწყოების შესყიდვის დაგეგმვასა და განხორციელებაში, აგრეთვე ამ დანადგარების ექსპლუატაციისათვის პერსონალის სწავლებაში. (კონსულტანტის მიერ განსახორციელებელი დეტალური დავალებების გასაცნობად, გთხოვთ, მიმართოთ პროექტების საკოორდინაციო ცენტრს). ზემოაღნიშნული დავალება კონსულტანტმა უნდა შეასრულოს კონტრაქტის გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე ფიზიკურ პირებს აღნიშნული მომსახურებისათვის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ავტობიოგრაფიული მონაცემები ( CV ) დიპლომისა და სერთიფიკატების ასლებთან ერთად.

დაინტერესებულმა პირებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი ძირითადი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება:

კონსულტანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- სამეცნიერო ხარისხი ბიოლოგიის, ქიმიის ან სხვა მონათესავე საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში;
- თანამედროვე ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოტექნოლოგიის კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა;
- კვლევით ლაბორატორიებში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი, რაც, სხვა ფუნქციებთან ერთად, მოიცავდა ლაბარატორიული აპარატურის შეძენაში, მონტაჟსა და კალიბრაციაში აქტიურ მონაწილეობას;
- ამჟამად ბაზარზე არსებული ლაბორატორიული კვლევის აპარატურისა და მასალების მახასიათებლების, აგრეთვე მათი მწარმოებლებისა და მომწოდებლების შესახებ ტექნიკური და საკონტაქტო ინფორმაციის ფლობა და საჭიროებისამებრ დამატებით მოპოვების უნარი.

ადგილობრივი კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული სახელმძღვანელო დებულებების „კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ“ დებულებების შესაბამისად.

საკონკურსო განაცხადები და ავტობიოგრაფიული მონაცემები მიიღება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 28 ივნისის 17:00 საათამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.
საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას 41,
მე-3 სართული, ოთახი 327. ტელ.ფაქსი: 93 46 51.
ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge

---

## მაისი 2006
## საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
## თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ: 996 000, ფაქსი: 969 831
## ლ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

| | |
|---|---|
| 01 | სამინისტრომ, მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნების ცენტრის მონაწილეობით, დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო და სალიტერატურო სტიპენდია "მუზა". კონკურსის საფუძველზე შერჩეული სტიპენდიანტები - უცხოელი მკვლევარები და მწერლები 3 თვის განმავლობაში იცხოვრებენ საქართველოში და პროექტის დაწყებიდან 1 წლის ვადაში გამოაქვეყნებენ მხატვრულ ან სამეცნიერო ნაშრომს საქართველოს შესახებ. პირობები: www.dlf.ge/muse.ge/ge. |
| 05 | საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოების არჩერვნების პირველი ეტაპი დაიწყო. არჩევნების პილოტირება თბილისის 3 და კასპის რაიონის სკოლებში ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობა მშობელთა 68% და მასწავლებელთა 92% მიიღო. |
| 06 | "უმაღლესი განათლების შესახებ კანონის" საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცხადდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებს ღია კონკურსის მეშვეობით შერჩეული მეცნიერები სამი წლით დაიკავებენ. |
| 07 | მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ჯგუფის ხელმძღვანელმა სიმონ ჯანაშიამ ბათუმის მე-10-ე საჯარო სკოლაში პედაგოგებს სამინისტროს საქმიანობის ანგარიში და ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირების ანალიზი წარუდგინეს. 8 მაისს, ანალოგიური შეხვედრები მოეწყო ხულოსა და შუახევის პედაგოგიურ საზოგადოებასთან. შეხვედრებს 800 პედაგოგი დაესწრო. |
| 13 | მინისტრი ალექსანდრე ლომაია საგანმანათლებლო რესურ-ცენტრების ახალ ხელმძღვანელებს შეხვდა. 2006 წლიდან განათლების განყოფილებების ნაცვლად 67 საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი ჩამოყალიბდა. რესურს-ცენტრების ხელმძღვანელები ღია კონკურსით შეირჩნენ, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა: (1) ტესტირება: სამართალი, უნარები, კომპიუტერი, (2) გასაუბრება კომისიასთან. კონკურსში მონაწილეობდა 260 კანდიდატი. |
| 15 | სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 521 მეცნიერ-თანამშრომელსა და პროფესორ-მასწავლებელს დაენიშნა. |
| 16 | ფონდმა "ირმის ნახტომი" გამოაცხადა კონკურსი "IEARN-ფერადი პლანეტა-2006" საჯარო სკოლებისთვის. კონკურსის ფარგლებში სკოლები გაწევრიანდებიან საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ქსელში (IEARN) და ითანამშრომლებენ სხვადასხვა ქვეყნის სკოლებთან. გამარჯვებული ქართული სკოლის გუნდი 2006 წლის 3-7 ივლისს მონაწილეობას მიიღებს ჰოლანდიაში გამართულ საერთაშორისო ქსელის IEARN სამიტში. დეტალები: www.dlf.ge. |
| 18 | მინისტრი ალექსანდრე ლომაიამ, ევროკომიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ და სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ კონკურსში "გზა ევროპისაკენ" გამარჯვებულები დააჯილდოვეს. შემოქმედებითი კონკურსში, რომელიც სამინისტრომ საქართველოში ევროპის დღეების ფარგლები ჩაატარა, მონაწილეობდა 545 მოსწავლემ. |
| 19 | საქართველო ბოლონიის საბჭოს წევრი გახდა. ბოლონიის ახლადარჩეულ საბჭოს ამიერიდან წარმოადგენს სამი ქვეყანა: საქართველო, საფრანგეთი, რუმინეთი და რამდენიმე ევროპული სტრუქტურა, მათ შორის, ევროკომისია და ევროსაბჭო. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ვენაში გამართულ სხდომაზე ბოლონიის კომიტეტმა. |
| 22 | საქართველო ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირების (ESIB) კანდიდატი წევრი გახდა. ეს გადაწყდა სერბეთში გამართულ ESIB-ი 50-ე სამიტზე. კანდიდატ წევრად არჩევა განაპირობა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური ლიგის ჩამოყალიბებამ. მანამდე საქართველოს სტუდენტური კავშირი ამ ორგანიზაციის ასოცირებული წევრი იყო. |
| 23 | სამინისტროს დელეგაცია მინისტრის ალექსანდრე ლომაიას ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქართულენოვან სკოლებს ეწვივნენ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქანის, კახის, ზაქათალის რაიონების 12-ვე ქართულენოვან სკოლას საჩუქრად გადაეცემათ სასკოლო სახელმძღვანელოები (4330 ცალი) და საკანცელარიო ნივთები. კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში 12 ქართულენოვანი სკოლაა, სადაც 388 მასწავლებელი დაახლოებით 2345 მოსწავლეს ასწავლის. 2004-2006 წლებში ამ სკოლებში: გადამზადდა 388-ვე მასწავლებელი; 2 400 მოსწავლეს საჩუქრად გადაეცა 20 000 სასკოლო სახელმძღვანელო, 70 სახის თვალსაჩინოება, მხატვრული ლიტერატურა სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის. ორგანიზებულ იქნა აზერბაიჯანის სკოლების 90 ქართველი ეროვნების მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასვენება კოჯრისა და ბორჯომის დასასვენებელ ბაზებზე. |
| 25 | დაიწყო ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში სახელმწიფო ენის ინტენსიური სწავლების პროგრამის მეორე ეტაპი. კონკურსის შედეგად შეირჩა 38 მსმენელი. |
| 25 | ალექსანდრე ლომაია საქველმოქმედო ფონდის "იავნანა" პრეზიდენტს პაატა ბურჭულაძეს შეხვდა. ფონდმა 6 წარჩინებულ სტუდენტს დაუნიშნა ყოველთვიური სტიპენდია, წყნეთის საბავშვო სახლში მცხოვრებ 6 და-ძმას დახმარება აღმოუჩინა, ხოლო ქ. რუსთავში სიდუხჭირის ზღვარზე მყოფ ბავშვების ბიოლოგიურ დედას საჩუქრად 4-ოთახიანი ბინა გადასცა. პარალელურად, სამინისტროს სოციალურმა მუშაკებმა წყნეთის ბავშვთა სახლიდან 6 და-ძმის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებაზე დაიწყეს მუშაობა. |
| 27 | მინისტრი ალექსანდრე ლომაია და მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი მარინა ჟვანია სიღნაღის რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას შეხვდნენ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონცეფციას 300 მასწავლებელი გაეცნო. სიღნაღელმა პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა პროფესიული სტანდარტების შექმნაში მიიღეს მონაწილეობა. |
| 31 | სამინისტროს "ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის" პროგრამის 9 ბენეფიციარმა დაბადების დღე ბავშვთა ქალაქ "რია-რიაში" აღნიშნა. 9 იუბილარი რუსთავის, თელავისა და თბილისის №1 ბავშვთა სახლებიდან ბიოლოგიურ და მიმღებ ოჯახებში დაბრუნდა. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს. |
| 31 | პროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო. სწავლა ახალ სკოლაში 2006-2007 სასწავლო წელს დაიწყება. |
| 31 | მინისტრის №500 ბრძანებით დამტკიცდა 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგი: ქართული ენა და ლიტერატურა 10-11 ივლისი; ზოგადი უნარები 13-14 ივლისი; უცხო ენები 17,18,19 ივლისი; მათემატიკა 20 ივლისი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 24 ივლისი; ლიტერატურა 25 ივლისი. |

---

## შ.პს. „საქაერონავიგაცია“ აცხადებს ტენდერს შპს „საქაერონავიგაციის“ 2005 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმების მომსახურების ორეტაპიანი ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - შპს „საქაერონავიგაციის“ 2005 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმების მომსახურება**
**დაფინანსების წყარო - შ.პ.ს. „საქაერონავიგაციის“ სახსრები**
**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს შპს „საქაერონავიგაციის“ 2005 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმების მომსახურების შესყიდვის მიზნით. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. აუდიტორული შემოწმება უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი რიგი საწარმოების 2005 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმებისათვის აუდიტორული კომპანიების შერჩევის წესის შესახებ“ სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2006 წლის 20 იანვრის N1-3/24 ბრძანების დანართი N2-ით დამტკიცებული „ტექნიკური დავალების“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, 2006 წლის ივლისიდან.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ ტელ: 27-43-27.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 6 ივლისის 16 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ ადმინისტრაციული შენობა.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ ს/კ 208144051
ა.ა. N111467601, „თი-ბი-სი“ ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, აუდიტორული მომსახურება.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 6 ივლისის 10 საათიდან 2006 წლის 6 ივლისის 16 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტები წარადგენენ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და პირველად სატენდერო წინადადებებს ღირებულების მითითების გარეშე. პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის ინსტრუქცია:

1. პირველადი სატენდერო წინადადება არ უნდა შეიცავდეს ღირებულებას;
2. პირველად სატენდერო წინადადებაში პრეტენდენტმა უნდა დეტალურად მიუთითოს თუ რა მეთოდების გამოყენებით და რა ვადებში შეძლებს იგი შპს „საქაერონავიგაციის“ 2005 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმების მომსახურების შესრულებას ტექნიკური დავალების შესაბამისად;
3. პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის მიერ გასაწევი მომსახურების შემსყიდველის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პრეტენდენტის გამოცდილებისა და პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი. პირველადი სატენდერო წინადადებების და საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას უპირველეს ყოვლისა ყურადღება გამახვილდება პრეტენდენტის საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შესაბამის გამოცდილებასა და მომსახურების გაწევის ვადებზე. საკვალიფიკაციო შერჩევის ეტაპზე სატენდერო კომისია განიხილავს და აფასებს პირველად სატენდერო წინადადებებსა და საკვალიფიკაციო მონაცემებს. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები ეცნობება პირველადი სატენდერო წინადადებების წარმომდგენ ყველა პირს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადისა.

პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:
- საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შესაბამისი გამოცდილება;
- პრეტენდენტის პერსონალს უნდა გააჩნდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული სერტიფიკატები (უნდა იქნეს წარმოდგენილი შესაბამისი სერტიფიკატის ასლი);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 27-43-27. დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე საკონტაქტო პირები: ნათია შარაშანიძე და ეკა ბუთხუზი.

*სატენდერო კომისია*

---

## სს ნავთობის ეროვნული კომპანია “საქნავთობი”

# ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს

სს ნეკ “საქნავთობის” ბალანსზე რიცხული, სამგორი-თელეთის 13 კმ.იანი მონაკვეთის გაზის მილის იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.

| | |
|---|---|
| საწყისი თვიური საიჯარო ქირა | გატარებულ 1000 $მ^3$ გაზზე - 8 აშშ დოლარის ექვ. ლარებში და არანაკლებ 1500 ლარისა (დღგ-ეს გარეშე) |
| "ბე" | 200 ლარი |
| იჯარის ვადა | 2 წელი (ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების გათვალისწინებით) |
| მისამართი | სამგორი-თელეთის (სამგორი-ვაზიანის 13 კმ.იანი მონაკვეთი) |
| იჯარით გასაცემი ობიექტი | 13 კმ.-იანი გაზის მილი (დიამეტრი 159მმ.) |
| განცხადების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ადგილი | ქ.თბილისი, კოსტავას 65, (საქნავთობის შენობა), ოთახი №54, ტელ - 33-49-17 |
| განაცხადების მიღების ვადა | კონკურსის გამოცხადების დღიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში |
| კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი) | განცხადების მიღების დამთავრების დღეს |
| სს ,,საქნავთობის" საბანკო რეკვიზიტები | გაერთიანებული ქართული ბანკის ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი: 212274377, კოდი: 220101666, ანგარიში 1753606;14.2. |

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საქართველოს და საზღვარგარეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**საკონკურსო პირობებია:**
- კონკურსში მონაწილის მიერ საიჯარო ქირის თანხის ოდენობის გადახდა ყოველთვიურად.
- კონკურსში მონაწილის მიერ იჯარით გასაცემ ობიექტზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება მეიჯარის მიერ ხარჯების ანაზღაურების გარეშე.
- ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იჯარის ვადის გასვლის შემდეგ (თუ არ ხდება ხელშეკრულების გაგრძელება) აღნიშნული ქონება უბრუნდება სს „საქნავთობს“.
- კონკურსის მონაწილე უზრუნველყოფს მილის ექსპლუატაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
- სს „საქნავთობის“ რეორგანიზაციის ან პრივატიზების შემთხვევაში მისი უფლებამონაცვლე (მყიდველი) უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე.

**საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:**

ა) მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის ოდენობის დასახელება, რომელიც უნდა უტოლდებოდეს ან აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

ბ) ვალდებულების აღება დანარჩენ საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად “საქნავთობს'' უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება და კონკურსში მონაწილის თანხმობა გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
ბ) კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის ოდენობის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება).
გ) საბანკო რეკვიზიტები.
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში)
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს (ბოლო მდგომარეობით ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან)
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ტელ. 33-49-17 (10.00-16.00 - სთ-მდე.) საკონტაქტო პირი - დავით თეთვაძე

